

ფრიდრიხ შილერი

მარია სვიუარში

გრაფიკა

თარგმნილი გარგანულიდან

ვანტანგ ზეჟუჟელისა

მოქმედი პიკაბი

მლისაბედი, ინგლისის დედოფალი.
მარიამ სტოუარტი, შოტლანდიის დედოფალი, ინგლისში დაპატიმრებული.
რობერტ დედლი, გრაფი ლაისტერი.
ჯორჯ ტალოტი, გრაფი შრუსბერი.
უილიამ ხესილი, ბარონი ბერლეი, მოლარეთუხუცესი.
გრაფი კენტი.
უილიამ დევისონი, სახელმწიფოს მდივანი.
ამიას პოლეთი, რაინდი, მარიამის მცველი.
მორტიმერი, მისი ძმისწული.
გრაფი ობუზინი, ფრანგთა ელჩი.
გრაფი ბელიევი, საფრანგეთის საგანგებო დესპანი.
ოკელი, მორტიმერის მეგობარი.
დრეჯონ დრური, მარიამის მეორე მცველი.
მელვილი, მარიამის სახლთუხუცესი.
ანა კენედი, მარიამის ძიძა.
მარგარიტა კერლი, მარიამის მოახლე.
საგრაფოს შერიფი.
დედოფლის სამცველოს ოფიცერი.
ფრანგი და ინგლისელი რაინდები.
ქეშიკები.
კარის მსახურნი ინგლისის დედოფლისა.
მსახური ქალები და კაცები შოტლანდიის დედოფლისა.

მოქმედება პიკაბელი

ოთახი ფოტრინგეის ციხეში

პიკაბელი გამოხვლა

ანა კენედი, შოტლანდიის დედოფლის ძიძა, გაცხარებული ჩხუბობს პოლეთთან, რომელიც ცდილობს კარადის გაღებას. დრეჯონ დრური, მისი დამხმარე, რკინის კეტით ხელში.

კენედი

სერ, რას აკეთებთ? რა ახალი უტიფრობაა!
უკან მიდევით კარადიდან!

პოლეთი

ეს სამკაული

აქ როგორ გაჩნდა? მოვლიდან თუ გადმოისროლეს;
ამ განძით, ალბათ, მოესყიდათ უნდა მეზაღე...
ო, ეს ქალური ეშპაკობა დასწყევლოს ღმერთმა!
მიუხედავად ჩემი ასეთ სასტიკ ძებნისა,
კვლავ საიდუმლო, უძვირფასეს ნივთებს ვპოულობთ!
(ყვავ ტრიალებს კარადასთან და რაღაცას ეძებს)
სადაცაა იყო დამალული, იქ სხვაც იქნება!

კენედი

უკან მოდევით, უსირცხვილო, თავხელო კაცო!
აქ ჩემი ლედის საიდუმლო ნივთები არის.

პოლეთი

მეც მაგათ ვეძებ.

(გამოიღებს წერილებს)

კენედი

უმნიშვნელო ქალაქებია,
მოცლილობის ეპის მისი კალპის ნავარჯიშევი,
საპატიმროში, მძიმე წუთთა შესამოკლებლად.

პოლეტი

მოცილობის ქამს ავი სული უფრო მოქმედებს.

ქენელი

ეგ წერილები ფრანგულია.

პოლეტი

მით უარესი! —

ინგლისელების მტრის ენაზე...

• ქენელი

კონსპექტებია

დედოფლისათვის გასაგზავნი ბარათებისა.

პოლეტი

მეც მას გადაეცემ... შეხე ერთი! აქ რა ციმციმებს?

(ხსნის საიდუმლო ხამპაჩიან ყუარს და იქიდან იღობ უძვირფასეს სამკაულს)

დედოფლის ჯილა, მოოქვილი ძვირფასი ქვებით,

ზედ საკრანგეთის შროშანები ამოკვეთილი!

(აძლევს თავის დამხარეს)

მანდ შეინახე ესეუ, დრუჩი. ჩადევი სხვებთან!

(დრუჩი გადის)

ქენელი

ო, სამარცხვინო ძალადობავ, რაღას არ ვითმენთ!

პოლეტი

სანამღე კიდევ ის რამეს ფლობს, ყოველთვის ძალუძს

ჩვენთვის ზიანის მოყენება, რადგან მის ხელში

ეს ყველაფერი იარაღად გადაიქცევა.

ქენელი

გთხოვთ შეგვიბრალოთ, ნუ წაგვართმევთ, ბატონო ჩემო,

ჩვენი ცხოვრების უკანასკნელ ძვირფას სამკაულს!

ძველი დიდების გადანაშთიც კი თვალს ახარებს,

რადგან ისედაც ყველაფერი წაგვართვით უკვე.

პოლეტი

ის კეთილ ხელში იმყოფება. სინდისიერად

დაგიბრუნდებათ ყველაფერი თქვენ თავის დროზე!

ქენელი

ვით მოიფიქრებს, ვინც შეხედავს ამ შიშველ კედლებს,

რომ აქა ცხოვრობს დედოფალი? აბა, სად არის

საჩრდილობელი გაეალაქი მის საეარძელზე?

ხალზე სიარულს მიჩვეული იმისი ფეხი

უნდა ამ შიშველ იატაკზე იარებოდეს?

მისთვის სადილი მოაქვთ კალის უხეში ქურკლით,

რომლიდან ჭამა აზნაურსაც კი შერცხვებოდა.

პოლეტი

იგი ამგვარად მასპინძლობდა ქმარს სტერლინში,

თვითონ კი სვამდა ოქროს თასით სატრფოსთან ერთად.

ქენელი

ახლა პატარა, უხვირო სარკვე არა აქვს.

პოლეტი

სანამდე იგი თვის მედიდურ სახეს უცქერის,

როდი დაეარგავს იმედსა და გამბედაობას.

ქენელი

არც წიგნები აქვს, რომ გონება კითხვით გაირთოს.

პოლეტი

ბიბლიის კითხვით განიწმინდოს ცოდიელი გული.

ქენელი

ასე განსაჯეთ, ბარბითიც კი არ დაუტოვეს.

პოლეტი

რადგან ბარბითზე სამიჯნურო ლექსებს მღეროდა.

ქენელი

აღბათ, განგებამ არგუნა მას ასეთი ხვედრი,

რომ, აკვანშივე წოდებული უკვე დედოფლად,

მორთულ-მოკაზმულ სასახლეში მედიჩებისა,

სიხარულსა და სიუხვეში აღზარდეს იგი!

დაე იკპარონ, რომ წაართვეს ძალაუფლება,

მისთვის ეს ზიზილ-პიბილები რად უნდა შურდეთ?
კეთილშობილი უდიდესსა უბედურებას
უფრო ეჩვევა, მაგრამ მინც სამწუხაროა,
როცა ვისპობენ ცხოვრების ამ მცირე ნუგეშსაც.

პოლეტი

ისინი მხოლოდ მდიდურად აქცევენ მის გულს,
რომელმაც უნდა ცოდვა თვისი მოინანიოს.
კაცი მდიდრულსა და ცოდვიან ცხოვრებას მხოლოდ
გაპირებით და დამცირებით გამოისყიდის.

კენელი

თუ დააშავა მისმა ნორჩმა ახალგაზრდობამ,
დაე ეს ღმერთმა განსაჯოს და თვით მისმა გულმა,
აქ კი, ინგლისში, არვინაა მსაჯული მისი.

პოლეტი

სადაც შესცოდა, იქ მოხდება გასამართლებაც.

კენელი

რა ცოდვა უნდა ჩაედინა ბორკილდადებულს?

პოლეტი

ღიახ, მან ბორკილდადებულმაც მშვენივრად შესძლო
ხელის გაწვედენა ქუეყნისათვის, რომ ჩვენს მხარეში
სამოქალაქო ომის ცეცხლი გადაესროლა;
სწორედ აქედან აამხედრა ჩვენს დედოფალზე, —
ო, დაიფაროს იგი ღმერთმა! — მკვლელების ბანდა,
ამ კედლებიდან განა თვითონ არ წააქეზა
ბოროტმოქმედი ბებნიგტონ და უილიამ პერ,
წყვეულ საქმისთვის, თვით ხელმწიფის მოსაკვდინებლად?
ანდა ამ რკინის ბადებებმა თუ დააბრკოლეს,
რომ მოეხიბლა კეთილშობილ ნორფოლკის გული?
ამ მთელ კუნძულზე უკეთესი ვაგაკაცის თავი
ისი გულისთვის ძირს დაეცა ჯალათის ცულობით...
ან საშინელმა მაგალითმა თუ შეაშინა
ეს უგუნური, რომელნიც კვლავ ერთუთრის ჯიბრით,
მისი გულისთვის უფქურულსაც არ ერიდებიან?
და მუდამ ასე მიიღებს კვლავ ჯალათის კუნძი

ახალ-ახალ მსხვერპლს, სასიკვდილოდ განწირულს მისთვის...
ეს საქმე ასე გაგრძელდება, სანამდე თვითონ
არ შეიქნება მსხვერპლი თავის შეცოდებათა.
— წყველიმც იყოს ის დღე, როცა ჩვენი კუნძულის
ნაპირთ მიიღეს ეს ელენე სტუმართმოყვრულად.

კენელი

სტუმართმოყვრულად მიიღო იგი ინგლისმა?
ამ უბედურმა და საბრალომ სწორედ იმ დღიდან,
როდესაც ფეხი შემოადგა ამ ქვეყანაში,
შველის მოაჯემ, სამშობლოდან გამოდევნილმა,
ნათესავებთან მფარველობის მაძიებელმა,
წინააღმდეგ თვით ხელმწიფური მისი ღირსების,
და ერთა შორის არსებული სამართალისა,
ტყვედ იგრძნო თავი და საშინელ საპყრობილეში
ეგრეთ მწუხარედ ატარებს აწ ახალგაზრდობას.
და მას ამჟამად, იმის შემდეგ, რაც პატიმრობის
მთელი სიმწარე გამოსცადა, ვით დამნაშავეს,
აიძულებენ სასამართლოს წინაშე წარადგეს,
რომ საშინელი განაჩენი გამოუტანონ,
გამოუტანონ და მერე ვის? — თვითონ დედოფალს!

პოლეტი

იგი მოვიდა ამ მხარეში, ვითარცა მკვლელი,
ტახტწართმეული, განდევნილი თავის ხალხისგან,
რომელიც თვით მან შეარქვინა საზოგადოარ საქმიან,
ის გამოცხადდა, ვით შეთქმული ჩვენს წინააღმდეგ,
რომ სისხლიანი დრო ესპანელ მარიამისა
კვლავ ადღადგინოს, გააერცელოს კათოლიკობა
და ფრანგთ მიჰყიდოს ინგლისელთა ბედნიერება.
რატომ უარყო ედინბურგის ხელშეკრულება,
რატომ არა თქვა მას უარი თვის უკვლებზე
ინგლისის მიმართ და უბრალო ხელის მოწერიით
არ გახსნა კარი თავის ბნელი საპყრობილისა?
მან ამჯობინა პატიმრობა, მკაცრად მოპყრობა,
ვიდრე უარის თქმა ამ ფუჰად მბრწყინავ ტიტულზე.
რად ჩადის ამას? იმიტომ, რომ, კვლავ შეთქმულების
ბოროტ ძალებზე და ხრიკებზე დაჰყარებულსა,
მას იმედი აქვს თავის ზნელი საპატიმროდან
თანდათანობით ხელთ ჩაიგდოს მთელი კუნძული.

კენელი

თქვენ მკაცრად ხუმრობთ და სიმკაცრეს ზედ ურთავთ კიდევ
წყარე, გესლიან და ცინეასაც! მას იმედი აქვს!
მას, ვინც ცოცხლადვე დამარხულა ამ კედლებს შორის?
მას, ვის ურამდევ ევლარ აღწევს ვერც ნუგეშის ხმა
და ვერც ფერფლის მისი ქვეყნის საღამო ტკბილი?
ვინც რა ხანია ევლარ ხელავს ადამიანებს,
გარდა პირქუში სახეების ზედამხედველთა,
რომელთაც კიდევ მიემატა ახალი მცველი,
თქვენი გულცივი და უკუჩხი ძმ. სწულის სახით,
და კვლავ ახალი რკინის ბადე მოავლეთ საკანს...

პოლეტი

მის მზაკვრობისგან რკინის ბადე ვერ დაგვიფარავს.
აბა რა ვიცი, რომ ეს ბადე არ ვინ გაქლიბა,
რომ საპატიმროს იატაკი; ან ეს კედლები
შიგნით მთელია, თუმც ვარედან მაგარი მოჩანს,
და მოლაღატე არ შედის შიგ, როდესაც მძინავს?
მე წილად მერგო დაწყველილი მოვალეობა,
ამ ცბიერ, ვერაგ მემამბოხეს რომ ვუდარაჯო.
მისი შიშისგან თელემაც კი ვერ გამიბეღია;
ირგვლივ დაეძრწვიარ ღამით, როგორც მწუხარე სული,
ვამოწმებ ციხის კლიტებს და გუშავთ სიფრთხილეს
და ყოველი დღის გათენებას კანკალით ველი,
რომელსაც ძალუძს გააპართლოს სასტიკი შიში.
მე კიდევ ისღა მაშეიღებს, რომ იმედი არის,
აწ მალე ბოლო მოვლება ყველაფერ ამას.
თორემ ვარჩევდი ჯოჯობხეთის კარებთან დგომას,
ვიდრე ამ ვერაგ დედოფლისა ყარაულობას!

კენელი

აქეთვე მოდის იგი თვითონ!

პოლეტი

მაცხოვრით ხელში,
ამპარტავნობით და ბიწიერ ვნებით აღსავსე.

მთრია გამოსვლა

მარიამი, ლეჩქობხეული, ჯვარცმით ხელში. იგივენი.

კენელი

(მეშურება მას შესახებდრად)

ო, დედოფალო! მთლად გაგეძარცვეს, გაგვთელეს ფეხით,
ძალმომრეობას და მხეცობას საზღვარი არ აქვს,
ყოველ ახალ დღეს ჩვენთვის მოაქვს ახალი ტანჯვა
და შერცხვენა მაგ გვირგვინოსან თავის.

მარიამი

გამხნევი!

მითხარ, ახალი რაღა მოხდა?

კენელი

ერთი შეხედვ!

გატეხეს უკვე შენი ყუთი, შენი წერილი,
შენი ძვირფასი სამკაული, დღემდე ჩვენ მიერ
გადარჩენილი ჯვარისწერის მორთულობიდან,
საფრანგეთიდან თან რომ მოგყვა, ამის ხელშია.
გამარცხული ხარ, ხელწიფური არა შეგჩნა რა.

მარიამი

დამშვიდდი, ანა. განა ამ ყალბ სამკაულებით
ვიყავ ოდესმე დედოფალი? მათ შეუძლიათ
მდებლად მოგვეყურან, მაგრამ ვერ კი დაგვამდებლებენ.
ინგლისში უკვე შევეჩვიე ბევრ ასეთ რამეს
და ძალმძის ესეც ავიტანო. სერ, თქვენ აქ ძალით
მიისაკუთრეთ იგი, რაც დღეს ჩემი სურვილით
მინდოდა თქვენთვის გადმომეცა. მაგ წერილებში
ჰპოვებთ ერთ ბარათს განკუთვნილსა ჩემი დისათვის,
დედოფლისათვის ინგლისისა... მომეცით სიტყვა,
რომ მას გადასცემთ პირდაპირი დანიშნულებით
და არ ჩაუგდებთ მოლაღატე ბერლის ხელში.

პოლეტი

მე შემდეგ თვითონ მოვიფიქრებ, თუ რა უნდა ვქნა.

მარიამი

უნდა ბარათის შინაარსი იცოდეთ თქვენაც.
მე მაგ ბარათში ვთხოვ მოიღოს წყალობა დიდი

და დედოფალმა ნება დამართოს პირადად ნახვის,
იგი ხომ თვალით არ მინახავს ჯერ არასოდეს.
სასამართლოზე მე გადამცეს იმ მამაკაცებს,
რომლებსაც ჩემად თანაბრებად მე ვერ ჩავთვლიდი
და არც შემძლო მათთვის ჩემი გული მიმენდო.
ელისაბედი კი ჩემივე მოდემისა არის,
ჩემივე სქესის, ხარისხითაც თანაბარ ჩემი...
და შემძლია, რომ მხოლოდ მას, ჩემ დას, დედოფალს,
ყოველივეში გამოვუტყუდე მე გულახდილად.

პოლეტი

მიღედი, ხშირად თქვენს ბედსა და პატიოსნებას
ანდობდით ხოლმე იმ მამაკაცთ, რომელნიც თქვენი
პატივისცემის ღირსი ძალზე ნაკლებად იყვნენ.

მარიამი

მე ვთხოვ მას კიდევ, რომ მოილოს სხვა მოწყალებაც,
რაზედაც უარს მე ვერ მერტყვის ადამიანი.
დიდი ხანია ბნელ საიანში მოკლებული ვარ
სულის სიმშვიდეს, აღსარების გაუნდობელი,
და ვინც წამართვა გვირგვინი და თავისუფლება,
ვინც ემუქრება ჩემს სიცოცხლეს, ჩემს არსებობას,
ხუ მოისურვებს დამიხზოს მე ზეცის კიშკარიც.

პოლეტი

მაგ სურვილს თქვენსას აქაური ჩენი დეკანიც...

მარიამი

(სწრაფად შეაწყვეტინებს)

მისი სახელის გაგონებაც არ მსურს. მე ვითხოვ
ჩემივე რწმენის მქონე ნობეღარს... მინდა აგრეთვე
ნოტარიუსი და მდივანი, უკანასკნელი
ჩემი ანდერძის შესადგენად, დასამოწმებლად.
დიდი ხანია საპატიმროს უბედურება
ღრღნის ჩემს სიცოცხლეს, დათვლილია დღეები ჩემი
და მსურს ჩემს თავსაც მივუტყუო აწ ყურადღება,
ვით მომაკვდავმა.

პოლეტი

კარგად შერებით, რადგანაც სწორედ
თქვენ იმას ფიქრობთ, რაც მველაზე მეტად გპირდებათ.

მარიამი

და მე რა ვიცი, რად ვიფიქრო, რომ სწრაფი ხელი
არ დააჩქარებს ამ ჩემს ხანგრძლივ, მწუხარე საქმეს?
ამიტომ მინდა შევადგინო ანდერძი ჩემი,
თუ კიდევ რამ მაქვს, გამგებელი თვით ვიქნე მისი.

პოლეტი

სრული ნება გაქვთ, ქალბატონო. დედოფალს ჩვენსას
თქვენი გაძარცვით გამდიდრების სურვილი არ აქვს.

მარიამი

კარგა ხანია განმამორეს ერთგულ მოახლეთ, —
რა ბედი ერგოთ, სად არიან ისინი ნეტავ?
ო, რა თქმა უნდა, მათ გარეშე (ცხოვრება ძალმიძს,
მაგრამ მე მაინც მინდა ვიყო დამშვიდებული,
გასაჰირს ხომ არ განიცდიან ერთგულნი ჩემნი?)

პოლეტი

თქვენს მსახურებზე, ქალბატონო, იზრუნეს უკვე.
(სურს წასვლა)

მარიამი

წასვლას აპირებთ? უპასუხოდ მტოვებთ მე ისევ,
არ გსურთ განტვირთოთ ჩემი გული შეშინებული
გაურკვევლობის გამოუცნობ მწუხარებისგან.
თქვენთა დარაჯთა გახუწყვეტელ სიფიხის გამო,
მე ჩამოვმორდი მთელ ქვეყანას, არავითარი
ცნობა არ აღწევს ჩემს ყურამდე ამ კედლებს შიგნით,
ჩემი ბედი კი იმყოფება ჩემს მტერთა ხელში.
ტანჯვით აღსავსე თვე გავილა უკვე მას შემდეგ,
რაც მე ორმოცი კომისარი დამესხა თავსა,
შეუფერებელ აჩქარებით, მოულოდნელად,
დამცველთ გარეშე. სამსჯავროსთვის მოუშვადებლად
წამაყენეს ამ გაუგონარ სასამართლოს წინ,
თავხარი დამცეს ეშმაკურად შეთხზულ ბრალდებით
და მიიძულეს, რომ პასუხი გამეცა მათთვის...
როგორც სულები, მოვიდნენ და სწრაფადვე გაქრნენ.
მას აქეთ ჩემთვის ყველას ბაჯე დაღუმებულა,
ამაოდ ვცდილობ თქვენს თვლებში ამოვიკითხო

ვინ გაიმარჯვა: თავდადება მეგობრებისამ,
ჩემმა სიმაართლემ, თუ ბოროტმა რჩევამ მტრებისამ.
ო, დაარღვიეთ მბ დუმლი, გამაგებინეთ,
რის მეშინოდეს, ანდა რისი იმედი მქონდეს.

პოლეტი
(პაუზის შემდეგ)

ვამ გაასწორეთ ანგარიში მაღალ ზეცასთან.

მარიამი

მისი წყალობის იმედი მაქვს და ჩემს მიწიერ
მსაჯულთაგანაც ველი მკაცრ და სწორ განჩინებას.

პოლეტი

მათ სიმაართლეში ნურასოდეს ნუ დაქუდვებით.

მარიამი

ჩემი პროცესი დამთავრეს?

პოლეტი

არა ვიცი რა.

მარიამი

გაპოშიტანეს განაჩენი?

პოლეტი

არ ვიცი, ლედი.

მარიამი

აქ ძლიერ სწრაფი მოქმედება უყვართ და იქნებ
შუბა დამეცეს თავზე მკვლელი, ვით მოსამართლე?

პოლეტი

იფიქრეთ, რომ ეს ასე არის და მაშინ იგი
გპოკვებთ თქვენ უფრო გამხნივებულს, ვიდრე ახლა ხართ.

მარიამი

ო, იცოდეთ, სერ, ვერასოდეს ვერ განვაკვიფრებ
მე განაჩენი ვესტმინისტერის სასამართლოსი,
სადაც წადილი პეტონის და ბარონ ბერლდის

ღრმა სიძულვილი ყოველივეს შესარჯლებენ...
ვიცი, დედოფალს ინგლისისას რაც შეეუძლია.

პოლეტი

ინგლისის მეფეთ შეუძლიათ შიში არ ქონდეთ
არაფრის, გარდა პარლამენტის და სინდისისა.
რასაც გადასწყვეტს უშიშარი მართლმსაჯულება,
იმას საქვეყნოდ აღასრულებს ხელისუფლება.

მასამი გამოსვლა

იგივენი. მორტიმერი, პოლეთის ძმისწული, შემოდის; იგი სტიუარტს
არავითარ ურადლებას არ აქცევს, ისე ნიშნათვის პოლეთს.

მორტიმერი

გეძებენ, ბიძაგ.

(იგი გადის ისე, რომ სტიუარტს ურადლებას არ აქცევს. შეამჩნევს რა ამას ძალზე
ნაწყენი დედოფალი შეაჩერებს პოლეთს, რომელსაც სუოს თავის ძმისწულს გაჰყვას)

მარიამი

კიდეც ერთი სათხოვარი მაქვს.

როდესაც თქვენთან ვსაუბრობ მე, ძალმიძს მოაშენა
ბევრი რამისა. მე თქვენ ასაკს დიდ პატივსა ვცემ,
მაგრამ არ ძალმიძს ავიტანო თქვენი ღმისწულის
კადნიერება, ვთხოვთ დაიხსნათ თვალეზი ჩემი,
მისი უხეში, მედიდური საქციელისგან.

პოლეტი

რაც თქვენ ზიზღსა გგვრით, იგი მასში მე ძვირად მიღირს.
ჩემი ძმისწული არ ეყუთენის იმ გულჩვილ სულელთ,
რომელთაც ქალის ყალბი ცრემლი მოაღბობს ხოლმე...
იმოგზაურა მან პარიზში, რაიხსივც გახლდათ
და ჩამოიდა კვლავ ერთგული ბრიტანე აიისა.
მასთან ეგ თქვენი ხელოვნება ამაო არის.
(გადის)

მითხი გამოსვლა

მარიამი, კენელი

კენელი

ვამ სიტყვამკვახემ როგორ გადართ ამის თქმა პირში!
ო, რა მწარეა!

მარიამი

(ფიქტიური ჩაბრუნული)
როცა დიდებით ვბრწყინავდი ჩვენ, სიამოვნებით
ვისმენდით ხოლმე ფარისეულთ პირმოთენ სიტყვებს,
სამართლიანი არის ძალზე, კეთილი კენედ,
რომ ჩვენ ეს მკაცრი საყვედურით გადავიტანოთ.

კენელი

როგორ? მიღედი, ნუთუ ასე დაეცით სულით?
აქამდე როგორ მხიარული იყავით, ხოლმე
როგორ ზრუნავდით ჩემზე მუდამ, მანუგეშებდით;
დღემდე მე ვგმობდი უფრო მაგ თქვენს ქარაფშტობას,
ვიდრე მაგ დარდს და მწუხარებას.

მარიამი

მე ვიცნობ იმას,—
მეფე დარნღვის აჩრდილია, სამარიდან რომ
ზეწამომდგარა სისხლიანი, მრისხანე სახით;
ჩემს სულს არ მისცემს მოსვენებას იგი, სანამდე
არ აღსრულდება ყველა ჩემი უბედურება.

კენელი

მაგას რას ფიქრობთ...

მარიამი

გავიწყდებათ, ძვირფასო ანა,—
მე კი არასდროს არ მღალატობს მესიხურება,—
უკვე შესრულდა დღეს წლისთავი იმ უბედური,
ბოროტ საქმიდან და მე მიინდა დღევანდელი დღე
ლოცვა-მარხვაში გვატარო, მოვიზინაო.

კენელი

ბოლოს და ბოლოს მოსვენეთ აწ ევ აჩრდილი.
თქვენ ხომ ეს ცოლვა უკვე ხანჯაძლივ მოზანებით,
თქვენი სხეულის ტანჯვა-გვემით გამოისყიდეთ.
ეკლესიაშიც, რომელს ყველა დანაშაულის
გასაღები აქვს, და ზეცამაც შევინდღეს უკვე.

მარიამი

ოდნავ დაფარულ სამარიდან კვლავ წამომდგარა
ეს სისხლიანი ცოლვა, დიდ ხნის ნაპატიები,
16

და აჩრდილს ქმრისას, შურისგების ცეცხლით ანთებულს,
ვერ დაამშვიდებს ხმაიალი გუგუნე ზართა,
ვერც მოძღვართაგან სალოცავად გაწვდილი ხელი.

კენელი

დარნღვი ხომ თქვენ არ მოგიკლავთ! — ის სხეებმა მოკლეს!

მარიამი

მაგრამ ვიცოდი ყველაფერი ამის შესახებ.
თვით დავრთე ნება მკვლელობისა, ნაზი ალერსით,
მე შევიტყუე სასიკვდილო მახეში იგი.

კენელი

ახალგაზრდობა ამსუბუქებს თქვენს დანაშაულს.
მაშინ თქვენ ძლიერ ახალგაზრდა იყავით, ლედი.

მარიამი

ო, ძლიერ, ძლიერ... მაგრამ მძიმე დანაშაული
ტვირთად დააწვა ახალგაზრდა სიცოცხლეს ჩემსას.

კენელი

თქვენ გაგაბრაზათ აუტანელ შეურაცხყოფამ
და კადნიერმა ზვიადობამ აღამიანის,
რომელიც თქვენმა სიყვარულმა ბნელ წყვილიადიდან
ზეამოზიდა, როგორც წმიდა ღვთაების ხელმა,
ვინც მეფის ტახტზე აიყვანეთ სარეცელიდან,
თქვენი მგზნებარე პიროვნებით ბედნიერ მკავით.
ნუთუ შეეძლო დავიწყება, რომ მისი ხვედრი
იყო ნაყოფი დიდსულოვან სიყვარულისა?
მაგრამ ეს მაინც დავიწყა უღირსმა კაცმა!
თავის უხეშო, სულმდაბალი ექვიანობით
და მკაცრი ქცევით შეურაცხყო ევ ნაზი გული,
სწორედ ამიტომ შევიზიზღა იგი თქვენს თვალებს.
გაქრა თილისმა, თქვენთა თვალთა შემაცდენელი,
აღშფოთებული გაურბოდით მოხვევენას მისას,
სამაგიეროს სიმულვილით უხდიდით თქვენცა.
მაშინ კი სცადა მოჰოცება თქვენი წყალობის?
თუ გთხოვთ მან თქვენ პატიება? ანდა თქვენს ფერხთით

2. ფრიდრიხ შილერი.

თბ. მხ. თვითომ.
კვლესაგანბ. ხასწ.
გიგელიოშაძა



818
- 3907 -
- 518/

თუ ღაემზო ის? თუ შვეგბირდათ გამოსწორებას?
ის საზიზღარი, მარტოოდენ თქვენი ქმნილება,
ცდილობდა დიდი ღაყინებით, რომ გამზღარიყო
თქვენივე მეფე, ამიტომაც თქვენ თვალთ წინაშე
მოაკვლევინა თვის ხელქვეითი ტურფა რიჩიო,
თქვენი ძვირფასი საყვარელი და მომღერალი, —
თქვენ კი სისხლითვე სისხლისათვის შური იძიეთ.

მ ა რ ი ა მ ი

და ჩემზეც სისხლით სისხლისათვის შურს იძიებენ,
გსურს დამამშვიდო და განაჩენს კი მატყობინებ.

კ ე ნ ე დ ი

როცა ქმრის მოკვლის ნება დართეთ, როს წააქეზეთ
იმისი მკვლენი, სრულ ჭკუაზე არც კი იყავით,
ბრმა ვენბათლეღვამ გონებიდან გადაგაცდინათ,
რადგან ხელთ ჰყავდით ჩაგდებული საშინელ მაცდურს,
უბედურ ბოტველს. ვინც თავისი ვაჟაკურ ნებით
ღავიმორჩილათ, მბრძანებლობდა თქვენზე, რომელმაც
ჯოჯახეთური ჯადოსნობით მძვინვარე სული
უფრო აგინათ.

მ ა რ ი ა მ ი

მისი მთელი ჯადო-თილისმა
იყო იმისი ვაჟაკობა, ჩემი სისუსტე.

კ ე ნ ე დ ი

არა, ვამბობ მე. უნდა ეზო დასახმარებლად
ავი სულები დაწვევლილი ჯოჯახეთიდან,
რომ შეეჯავა მას ნათელი თქვენი გონება.
მეგობართა წრეელ. ათილ რჩევას ყურნი დაუხშეთ,
კეთილსასურველ საქმეთა წინ დახუჭეთ თვალი.
დასტოვეთ ნაზი სიმორცხვე და ქალური შიში.
თქვენი ღაწები, უწინ მორცხველ რომ წითლდებოდნენ,
ან რებულიყვენ მარტოოდენ სურვილის ცეცხლით.
შორს გადასტყორცნეთ საუარველი იღუმალების
და მამაცურმა, გაბედულმა ბიწვიერებამ
სძლია სიმორცხვეს უწინდელს; კადნიერ სახით,
ქვეუნი წინაშე გააშიშვლეთ სისუსტე თქვენი,
18

თქვენ ნება დართეთ მკვლელს, რომელმაც დაიმსახურა
წყველა ხალხისა, შოტლანდიის მეფეთა ხმალი
თქვენს წინ ზეიმით, ედინბურგის ფართო ქუჩებში,
ეტარებინა. აბჯროსანი ჯარისკაცები
გარს შემოარტყით სასამართლოს და პარლამენტსა,
მართლმსაჯულების სახელმწიფო წმინდა ტაძარში
მოსამართლენი აიძულეთ, არ ღაესაჯათ
ხელმწიფის მკვლელი, საზიზღარი საქმის ჩამდენი.
შემდეგ კი, შემდეგ... ღმერთო ჩემო!

მ ა რ ი ა მ ი

ჰო, დაასრულე!
საკურთხევლის წინ გავუწოდე მას ჩემი ხელი.

კ ე ნ ე დ ი

ღე მარადიულ მღუმარებით გადაიფაროს
მე საქმე, ასე საშიში და ამღელვებელი,
ღირსი თქვენივე აღსასრულის. მაგრამ ჯერ კიდევ
არ ხართ მთლიანად განწირული... მე კარგად გიცნობთ,
თქვენ ჩემ ხელში ხართ გამოზრდილი; ბუნებით ჩელი
გული გამოგყვით და ამიტომ ხშირად კარს უღებს
იგი სირცხვილსა; თქვენი ცოდვა ის არის მიოლოდ,
რომ განუსჯელად მოქმედებით და ვიეორებ,
ამ ქვეყანაზე არსებობენ ბოროტნი სულნი,
რომელნიც ქალის კეთილსა და უმწეო მკერდში
ანაზღველად თავშესაფარს მოიპოვებენ,
ისინი მასში უსაშინლეს საქმეს ჩაღიან
და, ჯოჯახეთში გაფრენილი, საშინელებას.
ტოვებენ ხოლმე ჩირქმოცხებულ, შეღამდულ გულში.
იმ საქმის მერე, რომელიც თქვენ ასე ჩირქსა გცხებთ,
აღარაფერი ცოდვა აღარ ჩავიდენიათ,
მოწმე ვარ თვითონ, რომ თქვენ კეთილ გზას დაადექით.
მამ გამხნედიოთ და მოიპოვეთ სულის მშვიდობა!
თუ რამე ცოდვას გიგრძნობთ უფლი, თქვენ ხომ ინგლისში
ღანაშაული არ მიგიძღვით, ვერც დედოფალი
და ვერც ინგლისის პარლამენტი ვერ გახდებია
თქვენი მსაჯულნი; ღე ღავთრგუნონ; ძალა ხელთა აქეთ.
თქვენ შეგიძლიათ მათ სამსჯავროს წინაშე წარსდგეთ,
უბიწოების მამაცური გამბედაობით.

მარიამი

ვინ მოდის აქეთ?

(კართან გამოჩნდება მორტიმერი)

კენელი

ძმისწულია. შებრძანდით შიგნით.

მეხუთე გამოსვლა

იგივენი, მორტიმერი შემოდის მორიდებით.

მორტიმერი

(ძიას)

გარეთ გაბრძანდით და კარებთან იყარაულეთ, მე დედოფალთან მსურს საქმეზე ვილაპარაკო.

მარიამი

(ვადახედავს ანას)

აქ დარჩით, ანა!

მორტიმერი

ნურაფერზე ნუ შიშობთ, ლედი,

მე ვინც ვარ, თვითონ ეს წერილი შეგატყობინებს.

(აძლევს წერილს)

მარიამი

(წერილის ნახვაზე უკან დაიხვეს)

ა! ეს რა არის?

მორტიმერი

(ძიას)

ქალბატონო, გარეთ გაბრძანდით

და გვიდარაჯეთ, ბიძაჩემმა არ შემოგვისწროს.

მარიამი

(ძიას, რომელიც ყოყმანობს და დედოფალს შეჭურვებს, თუ რა ქნას)

წადი, წადი! ჰქენ, რასაც ამბობს.

(გაოცებული ძიას გადის)

მეექვსე გამოსვლა

(მორტიმერი, მარიამი)

მარიამი

ბიძაჩემისგან,

საფრანგეთიდან, ლოტარინგის კარდინალისგან! (კითხულობს)
უნდით მორტიმერს, რომელიც ამ წერილს მოგიტანთ,
29

მასზე ერთგული მეგობარი ინგლისში არ გყავთ*.

(გაოცებული უცქერის მორტიმერს)

შესაძლო კია? მოჩვენება ხომ არ მატყუებს?

ასე მახლობლად მე ვპოულობ მეგობარს ისევე, როცა მეგონა, რომ ქვეუნიდან განწირულ ვიყავ; და მას ვპოულობ თქვენი სახით, ჩემივე ციხის ზედამხედველის, ჩემივე მტრის ძმისწულის სახით.

მორტიმერი

(დაეცემა მის ფეხებით)

გთხოვთ მომიტევოთ, დედოფალო, რომ თქვენს წინაშე სახეშეცვლილი გამოვცხადდი საძაგელ ნიღბით, რომლის ტარება საკმარისად ძვირი დამიჯდა, მაგრამ მე ამით შეეძელ თქვენთან დაახლოება, რომ გიშველოთ და დალუპვისგან გადაგარჩინოთ.

მარიამი

ზე წამოდექით... თქვენ თავზარს მცემთ... ასე უცრად, უბედურებით გადაქელილს, არ შემძლია კიდევ იმედი ვიქონიო... ილაპარაკეთ, — იქნებ ვირწმუნო კარს მომღვარი ბედნიერება.

მორტიმერი

(აღგება)

დრო სწრაფად მიჰქრის. ბიძაჩემი აქ მაღე მოვა და უსაძაგელს ადამიანს თან მოიყოლებს. მაგრამ სანამდე თავზარს დაგცემთ იმათი ცნობა, გთხოვთ მოისმინოთ, ზეცა როგორ გთავაზობთ ზველას.

მარიამი

იგი მთავაზობს ყოვლის შემძლე სასწაულითა!

მორტიმერი

ნება მიბოძეთ, ჯერ ჩემზე ვთქვა.

მარიამი

ილაპარაკეთ!

მორტიმერი

მაშინ შეეცრულდი, დედოფალო, მე ოცი წლისა, როცა, აღზრდილი საშინელი მკაცრი წესებით

და უდიდესი სიძულვილით პაპობისადმი,
გამიტაცა მე დიდმა ცნობისმოყვარეობამ,
ხმელეთის შორი მხარეები მენახა თვალით.
შუან დაუტოვე პურიტანთა სამლოცველო და
ჩემი სამშობლო, გავემგზავრე აჩქარებული,
გზად საფრანგეთზე გადავლით მე მთელი არსებით
მივისწრაფოდი სახელგანთქმულ იტალიისკენ.

იყო ზემო უდიდესი, საეკლესიო,
სუყველა გზებზე ფუსფუსებდნენ ლეთისმლოცველები,
შემკობილ იყო გვირგვინებით ყოველი ხატი,
თითქოს ზეცისკენ დაძრულიყო კაცობრიობა,
ლეთის მოწყალემის მისაღებად. მეც გამიტაცა
მორწმუნე ხალხის მდინარეებში მოზღვავებულმა
და უცებ რომის კედლებს შიგნით ამოგყავ თაფი.
თვითონ არ ვიცი, დედოფალო, რა დამემართა!
როდესაც ჩემს წინ აღმმართნენ ეგზომ დიადნი
მაღალნი სვეტნი და თაღები უზარმაზარი,
კოლიზუუმის უდიადეს წიაღსა შინა,
თითქოს შემბოჭა შემოქმედის ძლიერმა სულმა
და გადამტყორცნა თილისმათა ნათელ მხარეში!
უწინ არ მეგრძნო ხელოვნების ძლიერი ძალა;
იმ ეკლესიას, რომელშიაც მე აღვიზარდე,
სძულს ყველაფერი, რაც ხიზლავს ჩვენს აზრსა და გრძნობას,
პატივის სცემს მხოლოდ უსიკოცხლო, ცარიელ სიტყვებს.
და ჰოი რა არ დამემართა, როდესაც შემდეგ
ტაძარში შევედ, ღვთაებრივი მუსიკა ზეცის
თაფს მეფუჭეოდა, გუნბათიდან და კედლებიდან
ინზირებოდნენ სურათები ცოცხალი სახით;
და ქვეყნის მთელი სილამაზე, დიდებულება
გამოჩნდა ნათლად ალტარებულ აზრის წინაშე,
როდესაც თვალით ვიხილე მე ყველა ღვთაება,
ხარება მთავარანგელოზის, შობა ქრისტესი,
მაცხოვრის დედა მარიამი, წმიდა სამება,
ნათლით შემოსევა ღვთაებისა—ფერისცვალება...
ბოლოს ვიხილე დიდებული პაპი, რომელიც
გულმოდგინებით ასრულებდა წირვას და შეცას
ლოცვა-კურთხევას ვამოსთხოვდა მთელი ხალხისთვის.
რა არის ოქრო, ბრწყინვალეობა ძვირფასთა ქვათა,
რომლითაც ავრე შემკობილან ქვეყნის მეფენი!

მხოლოდ ის არის ღვთაებრივი შუქით მოსილი,
მისი სასახლე არის მხოლოდ მაღალი ზეცა,
რადგანაც მასში მიწიერი არაფერია.

მ ა რ ი ა მ ი

ო, შემიბრალებ! აღარა თქვათ! ნულარ გადაშლით
ჩემს წინ სიკოცხლის ნოხსა, ევრეთ აყვავებულს...
მე ხომ აქ ტყვე ვარ, პატიმარი და უბედური.

მ ო რ ტ ი მ ე რ ი

მე ც ტყვე ვიყავი, დედოფალო! ჩემი საკანი
გაილო უცებ, ჩემი სული გათავისუფლდა
და მიესალმა ამ ცხოვრების ღამაზე განთიადს.
მე ფიცი დავედე, სიძულვილით ზურგი მექცია
გაუბეზარი, ბუნდოვანი წიგნებისაგან,
თავი შემემკო ამ ახალი, ნორჩი გვირგვინით
და სიხარულსა სიხარულით ვზნარებოდი.
იქ გავიცანი მე მრავალი შოტლანდიელი,
მხიარულ ფრანგთაც ძალზე ახლოს დაუემგობრდი.
მათ წამყვანეს ბიძათქვენთან, კარდინალ გიზთან...
ო, რა კაცია! დიდებული, ქუჟანათელი,
ხასიათმტკიცე!.. ქეშმარიტად შობილა იგი
ყველა გონების, ყველა სულის დასაუფლებლად.
ის იშვიათი ნიმუშია სამეფო კარის
მღვდელმთავარისა; მე აქამდე ჯერ არ მინახავს
იმისი მსგავსი წინამძღვარი ეკლესიისა.

მ ა რ ი ა მ ი

მაშ თქვენ გინახავთ ევრეთ სათნო, ძვირფასი სახე
საყვარელი და დიდებული ადამიანის,
ვინც წინამძღოლი იყო ჩემი ახალგაზრდობის.
მითხარით რამე მის შესახებ! მიგონებს კიდე?
ბედი კლავ სწყალობს, ისევე ჰყუავის სიკოცხლე მისი,
კვლავ დგას, როგორც კლდე, ბურჯად ჩვენი ეკლესიისა?

მ ო რ ტ ი მ ე რ ი

თვით დიდებული ჩამოგშვა ძირს იმისათვის,
რომ განემართა ქეშმარიტი ღვთაების რწმენა
და გაეფანტა ჩემი გულის ექვნი მშფოთარნი.

მან მიუწყო, რომ უნაყოფო ჰქუა და ფიქრი
კაცს ქვეყნად მუდამ გადააცდენს ქეშმარიტ გზიდან,
რომ მისი თვალიც სწორედ იმას უნდა ხედავდეს,
რაც უნდა სწამდეს იმის გულსა, რომ ეკლესიას
სჭირდება მტკიცე მეთაური; რომ სავანეში
წმიდა მამათა ქეშმარიტი სული ისვენებს.
გაქრა ბავშვური ჩემი მცდარი შეხედულება
მისი გონების სხივმოსილი განსჯის წინაშე,
წინაშე მისი მომხიბვლელი მეტყველებისა!
ისე დაბრუნდი ეკლესიის წიაღსა შინა,
მისი შეწვევით ჩამოვეცილდი შეცდომას ჩემსას.

მ ა რ ი ა მ ი

თქვენ ხართ ერთ-ერთი იმ ბედნიერ ათასთავანი,
ვინც კარდინალმა, თავის სიტყვის ღეთაებრივ ძალით,
ვით მაღალ მთაზე აღვლენილმა მქადაგებელმა,
აღაფრთოვანა, დაუბრუნა უკვდავ სიცოცხლეს.

მ ო რ ტ ი მ ე რ ი

როცა ის უცებ, სამსახურის საქმეთა გამო,
გაწვეულ იქნა საფრანგეთში, მან მე გამეზავნა
რაიმსში, სადაც ინგლისისთვის ამზადებს მოძღვრებს
ამხანაგობა იესოსი გულმოდგინებით.
აქ შევხვდი მ ო რ გ ა ნ ს, კეთილშობილ შოტლანდიელსა,
მარად თქვენს ერთგულ ლეკ ლ ე ი ს ა, განსწავლულობით
სახელმწიფოებრივ ეპისკოპოს რო ს ი ს ა: ისინი,
ფრანგთა მიწაზე განდევნილნი, დღეებსა ლევენ
უსინარულოდ... ამ ღირსეულ პირთ მე ძალიან
დავუახლოვდი, განვიმტკიცე ღეთაების რწმენა...
ერთ დღეს, როდესაც მე, ბინაში ეპისკოპოსის,
ვსინჯავდი სურათთ, იქ კედლებზე გამოკიდებულთ,
მზერა მიიპყრო უცბად ერთი ქალის სურათმა,
რომელმაც ისე ამაღლდა თავის მწუხარე
მშვენიერებით, რომ თვალები ვერ მოვაცილე.
ეპისკოპოსმა მითხრა მაშინ: ნამდვილად გმართებთ.
რომ მაგ სურათზე შეაჩეროთ თვალები თქვენი,
იგი, ამ ქვეყნის ყველა ქალზე ულამაზესი,
ყველაზე მეტად ღირსი არის შებრალებისა,
რადგანაც დიდად იტანჯება ჩვენი რწმენისთვის,

ხოლო ქვეყანა, სადაც ასე ეწამება ის,
არის ინგლისი, თვითონ თქვენი საშობლო მხარე.

მ ა რ ი ა მ ი

მართალო კაცო! ყველაფერი არ დამიკარგავს,
რაკი ასეთი მეგობარი კვლავ შემრჩენია.

მ ო რ ტ ი მ ე რ ი

შემდეგ დაიწყო მან საოცარ მქვერმეტყველებით
აღწერა თქვენი გაუგონარ ტანჯვა-წამების
და თქვენი მტრების უღმობელი სისასტიკისა.
მანვე მითხრა, რომ თქვენი გვარის დიდებული შტო
მომდინარეობს ტიუდორთა დიდ სასახლიდან
და დამარწმუნა, რომ ინგლისის ტახტი კანონით
გეკუთვნით თქვენა და არა ამ ცრუ დედოფალსა,
ვინაც მრუშობის სარცეულზე არის შობილი
და ვისაც თვითონ თავის მამამ სამეფო ტახტზე
უარი უთხრა, როგორც უღირს, უკანონო შვილს.
არ დავერწმუნე მარტოოდენ მტკიცებას მისას,
საქმის სისწორის გამორკვევა მრავალმხრივ ვცადე:
დიდი გულდასმით გადავსინჯე საღებრო წიგნნი,
მივმართე რჩევის საკითხავად უდიდეს მცოდნეთ.
და საქმის ასეთ ყოველგვარმა ჩხრეკა-ძიებამ
მე მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ბრიტანეთის
კანონიერი მბრძანებელი თქვენა ხართ მხოლოდ.
ახლა ვიცი, რომ თქვენი მთელი დანაშაული
არის ინგლისზე დედოფლობის თქვენი უფლება,
რომ თქვენ გეკუთვნით ეს სამეფო; კანონის ძალით,
სად უსამართლოდ იტანჯებით პატიმრად მყოფი.

მ ა რ ი ა მ ი

ო, ეს უფლება, ეგრეთ სავსე უბედურებით!
ეგაა წყარო, ერთადერთი, ჩემთა ტანჯვათა.

მ ო რ ტ ი მ ე რ ი

ამ დროს მივიღე ინგლისიდან ახალი ცნობა,
რომ თქვენ ტალბოტის ციხიდან აქ გადმოგიყვანეს
და ციხის მცველად ბიძაჩემი პოლეთ დანიშნეს.
მასში შევეცანე საოცარი განზრახვა ზეცის.

ბედის ხმაბალა მოწოდება, რომ ჩემი ხელი
მაღალმა ღმერთმა აირჩია თქვენს დასახსნელად.
მე მეგობრებიც დამეთანხმნენ, თვით კარდინალმა
მომცა საქრო დარიგება, თუ თვალთმაქცობის
ხელოვნება ვით მომეხმარა და მძიმე საქმის
აღსასრულებად გამომგზავნა ლოცვა-პურთხევით.
მაშინვე გეგმა შევადგინეთ და გამოვწვიე
სამშობლოსაკენ, რომლის ნაპირთ, როგორც თქვენც უწყით,
ათი ღღის წინათ მოვადექ და აქა ვარ უკვე.

(შეგრძობა)

აქ თქვენ გიხილეთ, დედოფალო, არა სურათზე,
არამედ თვითონ.. ჰოი, რარიგ უძვირფასეს განძს
ფარავს ეს ციხე! ო, ეს ციხე სულაც არაა,
არამედ ბინა ღვთაებისა, უფრო ბრწყინვალე,
ვიდრე ინგლისის ხელწიფეთა ვრცელი დასახლე...
ნეტარება მას, რომელსაც აქვს ნება დართული
თქვენთან ყოფნის და თქვენთან ერთი ჰაერის სუნთქვის.
ო, მათ სწორად ქნეს, რომ დაგმალეს ამ ბნელ ჯურღმულში!
წამს აღდგებოდა ინგლისელი ახალგაზრდობა,
ქარქაშში აღარ დარჩებოდა არც ერთი ხმალი
და აჯანყება წამომდგარი გოლიათივით
ამ ჩვენს წყნარ კუნძულს გრიგალივით გადაუვლიდა,
როცა ნახავდა ბრიტანელი საკუთარ თვალით
თავის დედოფალს!

მ ა რ ი ა მ ი

კარგი იყო, რომ თქვენი თვალით
უმზერდეს თავის დედოფალს ყოველი ბრიტი.

მ ა რ ტ ი მ ე რ ი

ნეტავ იყოს ის ჩემებრ მოწმე თქვენი ტანჯვისა,
თქვენი სიმშვიდის და მხნეობის კეთილშობილის,
რომლითაც ითმენთ უღირს ქცევას თქვენი მტრებისას.
განა არ იტანთ თავსდატვილ უმედურებას,
ვით დედოფალი? საპრობილემ აუტანელმა
განა წაგტაცათ ბრწყინვალეობა სილამაზისა?
რაც ამ ცხოვრებას ამშვენებს, მას მოკლებული ხართ,
მაგრამ სიცოცხლით და ნათლით ხართ გარემოცული.
ისე არასდროს ვადმიმიდგამს ამ ზღურბლზე ფეხი,

რომ ჩემი გული, დაფლეთილი მწუხარებისგან,
აღტაცებას არ მისცემიყო თქვენს შეხედვაზე! —
მაგრამ მწუხარედ ახლოვდება ამ საქმის ბოლო,
ყოველი წუთით ახლოვდება საშიშროება;
და მე არ ძალმიძს დაყოვნება... არ ძალმიძს დიდხანს
საშინელებას გიმაღავდეთ...

მ ა რ ი ა მ ი

გამომიტანეს

განაჩენი მე? თქვით თამამად. მოსმენა ძალმიძს.

მ ა რ ტ ი მ ე რ ი

გამოგიტანეს. ორმოცდარო მსაჯულის მიერ
თქვენ ცნობილი ხართ დამნაშავედ. ორივე პალატა:
ლორდთა და თემთა და ლონდონის მოქალაქენი
დიდად ცდილობენ, დედოფალო, თქვენს მალე დასჯას;
მხოლოდ აყოვნებს დედოფალი არა იმიტომ,
რომ თითქოს თქვენზე მოწყალების მოღება სურდეს,
არა, ვერაგი განზრახვა აქვს: სურს აიძულონ.

მ ა რ ი ა მ ი

(მხნედ)

მე თქვენი ცნობა, სერ მორტიმერ, ვერ გამაკვირვებს
და იგი მე ვერც შემაშინებს. კარგა ხანია,
რაც უკვე მტრდობდით მაგვარ ამბავს. მშვენივრად ვიცნობ
ჩემს მოსამართლეთ. ასეთ მკაცრი მოპყრობის შემდეგ,
რასაც მე ვიტან, კარგად მესმის, რომ მათ არ ძალუძთ
თავისუფლება მომანიჭონ... ვიცოი, რაც უნდათ.
სურთ სამუდამოდ პატიმარ მყონ და ბნელ ჯურღმულში
დამარხონ ჩემი შურისგება, ჩემი უფლება.

მ ა რ ტ ი მ ე რ ი

ო, არა! არა, დედოფალო!.. ისინი ამით
არ მშვიდდებიან. ტირანიას ის როდი ჰყოფნის,
რომ სანახევროდ გააკეთოს თავისი საქმე.
სანამ თქვენ სტოცხლობთ, ცოცხლობს ჩვენი დედოფლის შიშიც.
ვერავითარი საპატიმრო ვერ შეიძლება თქვენს
დასამარებას საკმაოდ ღრმად. იმის ტანტს მხოლოდ
თქვენი სიკვდილი უშიშრის ჰყოფს და განამტკიცებს.

მარიამი

ნუთუ გაბედავს, ჩემი თავი გვირგვინოსანი დაადებინოს სამარცხენოდ ჯალათის კუნძებზე?

მორტიმერი

გაბედავს, ეჭვი ამაში ნუ შეგეპარებათ.

მარიამი

ნუთუ გაბედავს, რომ თავისი და ყველა მეფის დიდი ღირსება ამოსვაროს ტალახში ასე? არ ეშინია საფრანგეთის შურისძიების?

მორტიმერი

იგი ამყარებს საფრანგეთთან სამუდამო ზავს, ანუის ჰერცოგს სთავაზობს ტახტს და თავის ხელსაც.

მარიამი

არ ამხედრდება ჩემთვის მეფე ესპანეთისა?

მორტიმერი

გინდ იარაღით აღდგეს მისზე მთელი ქვეყანა, სანამ თვის ხალხთან აქვს მას მშვიდი განწყობილება, არ უფრთხის იგი.

მარიამი

ნუთუ შესწევს იმდენი ძალა, რომ ბრიტანელებს აჩვენოს ეს სანახაობა?

მორტიმერი

უკანასკნელ დროს ეს ქვეყანა, ძვირფასო ლედი, უფრო მის ნახვას მიეჩვია, რომ სკიპტროსანი ქალბატონები ტოვებენ ტახტს და ეშაფოტზე აღიან ხოლმე. თვითონ დედამ ელისაბედის ხომ ეს გზა განვლო და ეს ხედრი გაიზიარეს ეკატერინე პოვარდმა და ანა გრემიაც, რომელიც იყო დედოფალი გვირგვინოსანი.

მარიამი

(რამდენიმე ხნის დუმის შემდეგ)

არა, მორტიმერი! თქვენ ნამდვილად თვალს გიხვევთ შიში, ანდა ეს თქვენი ძვირფას გულის მზრუნველობაა,

რაც ამ ამოო შიშმა თქვენში გამოიწვია. სერ, სრულებითაც არ მაშინებს მე ეშაფოტი. არსებობს სულ სხვა უხილავი საშუალება, რითაც ინგლისის მბრძანებელი მომიღებს ბოლოს, რომ მოისვენოს მეტოქისგან. ჯალათზე უმალ დაქირავებულ და ფარულს მკვლელს ჰპოვებენ ალბათ. — ესაა, რისიც მეშინია, რაც მე მათრთოლებს! სასმლით საესე თასს ბავს ისე ვერ მივაჯარებ, რომ კანკალმა არ ამიტანოს, ვინ იცის, იქნებ იგი ჩემი დის სიყვარულმა შემომთავაზა.

მორტიმერი

არა, ვერ უნდა მოახერხოს თქვენი სიცოცხლის ხელყოფა მტერმა, ვერც აშკარამ და ვერც ფარულმა. ნუ გეშინიათ! ყველაფერი უკვე მზადაა. მე თორმეტ ჰაბუკს ჩემს კავშირში ვაერთიანებ, დღეს დილით იმათ აღთქმა დადეს ზიარების დროს, რომ მტკიცე ხელით ამ ციხიდან გამოგიყვანონ. და თვითონ გრაფმა ობეპინმა, ფრანგების ელჩმა, დახმარებისთვის შეგვთავაზა თავისი ხელი, მის სასახლეში ვიკრიბებით ჩვენ საიდუმლოდ.

მარიამი

მე მთლად ავთრთოლდი, მაგრამ არა სიხარულისგან, არამედ ცუდი წინათგონობა სულს დაეუფლა. მაგას რას ფიქრობთ, იცით კარგად? თქვენ არ გაშინებთ არც ბეზინგტონის, არც ტიჩბერნის მოჭირილი თაენი, ლონდონის ხილზე შუბთ წვერებზე ჩამოცემულები? არ გაშინებთ თქვენ მრავალ ხედრი, რომელსაც ჩემთვის თავი გაწირეს მამაცურად, სიკვდილი ჰპოვეს და ამით უფრო დაამძიმეს ბორკილი ჩემი? გზას გადამცდარო ახალგაზრდავ, წადით სასწრაფოდ! იჩქარეთ, სანამ კიდევ დროა, ვიდრე ბერლვის არ გაუგია თქვენს შესახებ ჯერ არაფერი, ვიდრე გამცემი თქვენში ჯერ არ გამოჩენილა. გაიქეციეთ ამ სამეფოდან! ჩემი დაცვისთვის არვის რგებია კარგი ბედი,

მორტიმერი

მე არ მაშინებს

არც ბებინგტონის, არც ტიგბერნის მოკრილნი თავნი,
ლონდონის ხილზე შუბთ წვერებზე ჩამოცმულები,
არც თავგანწირვა თქვენთვის მსხვერპლად უამრავ კაცთა,
რომელნიც ეგრე მამაცურად დაეცნენ თქვენთვის,
მათ მოიპოვეს საუკუნო დიდება ამით,
თქვენი გულისთვის სიკვდილი ხომ ნეტარებაა.

მარიამი

მე ვერ დამიხსნის ვერც ძალა და ვერც ცბიერება.
მტერი ფხიზლობს და ძალაც იმის მხარეზე არის.
არა პოლტი მარტოოდენ. თვის გუშაგებით, —
მთელი ინგლისი იცავს კიშკარს ჩენი ციხისას.
მხოლოდ დედოფლის კეთილ სურვილს შეუძლია, რომ
გააღოს იგი.

მორტიმერი

ო, მაგისი იმედი ნუ გაქვთ!

მარიამი

არის ამ ქვეყნად ერთადერთი კაცი, რომელიც
შესძლებს გაღებას ამ კიშკარისას.

მორტიმერი

დამისახელეთ

მე ვგ კაცი!

მარიამი

გრაფ ლაისტერი.

მორტიმერი

(გაოცებული უკან დაიხვეს)

ახ, ლაისტერი!

გრაფ ლაისტერი, მეგობარი ელისაბედის,
დაუძინარი მტერი თქვენი, მტერი, რომელიც...

მარიამი

მე გადაბარჩენს, მხოლოდ იგი შესძლებს ჩემს დახსნას.
— წაღით თქვენ მასთან, გამოუტყდით ყოველივეში
30

და იმის ნიშნად, რომ მე გგზავნით, ჰა, ეს ბარათი,
მიუტანეთ მას. მასში ჩემი სურათი არის.

(უბიდან იღებს ქაღალდს. მორტიმერი უკან დაიხვეს და წკრილის გამორთმევა
ვერ გადაუწყვეტია.)

გამომართვით. ეს უბით დამაქვს, კარგა ხანია,
რადგანაც თქვენი ბიძის მკაცრმა სიფრთხილემ გრაფთან
მიმავალი გზა დაიკეტა... თქვენ გამოგზავნათ
ჩემმა კეთილმა ანგელოზმა...

მორტიმერი

გთხოვთ, რომ ამიხსნათ

ეს ამოცანა...

მარიამი

მას აგიხსნით გრაფ ლაისტერი,
მიენდეთ, იგიც მოგენდობათ... ვინ მოდის ნეტავ?

კენედი

(შემოდის აჩარებით)

სერ პოლეტ მოდის, კარისკაცი ვილაც მოჰყვება.

მორტიმერი

ლორდ ბერლეია. მოიკრიბეთ, მილედი. ძალა,
ძლიერ გულგრილად მოისმინეთ, რასაც გაცნობებს.
(ჯადის გვერდის კარიდან. უკან კენედი მისდევს.)

მეზვილე გავოსვლა

მარიამი. ლორდ ბერლეი, ინგლისის მოღარეთუხუცესი და რაინდი
პოლეტო.

პოლეტო

თქვენ დღეს გინდოდათ სინამდვილე გაგეგოთ. თქვენი
ბედის შესახებ, მას გაცნობებთ მილორდ ბერლეი.
გთხოვთ, მოისმინოთ დამშვიდებით და მორჩილებით.

მარიამი

ისეთ ღირსებით, რაც შვედურის უტოლველობას.

ბერლეი

მე მოველ, როგორც მოცემული სასამართლოსი.

მარიამი

ლორდი მზადა ემსახუროს თავის ენითაც
იმ სასამართლოს, რომლისაც ის იყო მსახური
თავის გონებით.

პოლეტი

ლაპარაკობთ როგორაც ისე,
თითქოს იცოდეთ განაჩენი თქვენი წინასწარ.

მარიამი

მას მე მაუწყებს ლორდ ბერლეი, ამიტომ ჩემთვის
ის ნათელია.

ბერლეი

ლდი, თქვენ ხომ დაემორჩილეთ
ორმოცდარი მსაჯულისგან შემდგარ სამსჯავროს...

მარიამი

გთხოვთ მომიტყევთ, მილორდ, რომ თქვენ დასაწყისშივე
შეგაწყვეტინოთ უნდა სიტყვა... დავემორჩილე
ორმოცდარი მსაჯულისგან შემდგარ სამსჯავროს?
არა, მე იმას არას გზით არ დავემორჩილე.
მე ნება არ მაქვს დაეამცირა ხარისხი ჩემი,
ჩემი შეილისა, ყველა ქვეყნის მეფეებისა,
ამით შევლახე ჩემი ხალხის ღირსებას მხოლოდ.
თქვენს კანონებში ხომ სწერია, რომ ბრალდებული
უნდა მისივე თანაბარმა გაასამართლოს?
ვინ არის ჩემი თანაბარი? მხოლოდ მეფენი.

ბერლეი

თქვენ მოისმინეთ მუხლობრივად მთელი ბრალდება,
დაკითხვისთვის კი გამოცხადდით სასამართლოზე.

მარიამი

ღიბს, რადგანაც შემეცდინა ჰეტონის ბილწმა
და ვერაგულმა მოქმედებამ, რადგანაც მსურდა
დამეცვა ჩემი ღირსება და პატიოსნება;
და რადგან ჩემი გამარჯვება მტკიცედა მწამდა,
მე დავეთანხმე საბრალდებო მუხლთა მოსმენას,
რათა აშკარა მეყო მათი უსაფუძვლობა,—

მაგრამ მე ამით პატივი ვეც ლორდთა ღირსებას,
ხოლო მათ, როგორც ჩემს მსაჯულს, მუდამ უარყვოფ.

ბერლეი

ცნობთ, თუ არა ცნობთ, მილდი, მათ თქვენს მსაჯულებად,
მას ჩვენთვის მხოლოდ ფორმალური აქვს მნიშვნელობა,
რომელს არ ძალუძს შეაჩეროს მსჯელობა საქმის.
თქვენ სუნთქავთ ჰაერს ინგლისისას, მისი კანონით
თქვენაც სარგებლობთ და ამიტომ მის მპრძანებლობას
დაემორჩილოთ უნდა ახლა.

მარიამი

მე ესუნთქავ ჰაერს
გამომწყვდეული ინგლისის ბნელ საპატიმროში.
ამასა ჰქვია სარგებლობა თქვენი კანონით
და ცხოვრება თქვენს ბრიტანეთში? მე მაგ კანონებს
კარგად ვერც კი ვცნობ, არც მათ დაცვას შეგპირებივართ.
მე ხომ ინგლისის მოქალაქე არა ვარ. მე ვარ
თავისუფალი დედოფალი უცხო ქვეყნისა.

ბერლეი

ნუთუ ფიქრობთ, რომ მეფურ სახელს განუსაზღვრელად
შეუძლია თქვენ გემსახუროს, თუნდ სისხლისმღერელი
განხეთქილება მოახდინოთ სხვის ქვეყანაში?
ან სახელმწიფოს სიმტკიცეს რა მოუფიცილოდა,
რომ დამნაშავეთ, პირუთენელი თემიდას ხმალი,
ყველას ერთგვარად არა სჯიდეს გინდ იყოს მეფე;
სტუმრად მოსული, გინდ გლახაკი მოხეტიალე?

მარიამი

სულაც არა მსურს გავექვე მე პასუხისგებას,
მხოლოდ უარყვოფ მოსამართლეთ, მსაჯულებს თქვენსას.

ბერლეი

მოსამართლებს? მერე რატომ? განა ისინი
არიან ბრბოსგან შემთხვევითად ვადარჩეულნი
უსირცხვილონი, მოლაყბნი და მეკრთამენი,
რომელთ მსჯავრდება და სიმართლე მოსყიდულთა
და მხოლოდ ჩაგვრის იარაღად გადატყვეულან?

3. ფრიდრიხ შილერი.

განა ისინი არ არიან პირველი კაცები
ჩვენი ქვეყნისა, საკმარისად თავისუფალნი
იმისათვის, რომ ყველას მიმართ მართალნი იყვნენ,
რომელთათვისაც უცხო არის მონური შიში
ხელმწიფეთა წინ და მოსყიდვა საზოგადო ქრთამით?
განა ისინი არ არიან, კეთილშობილ ხალხს
სამართლიანად რომ მართავენ, რომელთ სახელის
ერთი ხსენებაც წამს გაჭყანტავს ყოველნიერ ეჭვს
და გულბოროტის ეჭნულ ხმას მსწრაფლ დაადუმებს?
მეთაურობენ მათ: პრიპასი კენტენერისა,
პატისანი მწყემსი ხალხის, — ბრძენი ტოლბოტი,
ვინც სახელმწიფოს ბეჭედს იცავს, და თვით ჰოვარდი,
მთავარსარდალი სახელმწიფოს საზოგადო ფლოტის.
თქვით! რა შეეძლო ჩვენ დედოფალს იმაზე მეტი,
გარდა იმისა ამ პირთათვის მიენდო მშვიდად
ამ უდიდესი სახელმწიფო დავის გადაჭრა?
თუნდაც დაეუშვათ, პარტიულმა შულმა და მტრობამ
ზოგიერთები გაიტაცა, მაგრამ ორმოცი
ჩრეული კაცი ერთად ხომ არ შეითქმებოდა
ჩიკრძობულ განაჩენში?

მ ა რ ი ა მ ი

(რამდენიმე ხნის დემილის შენდევ)

მე გაოცებით

ვუსმენ იმ ბაგეს, რომელს მუდამ უბედურება
მოჰქონდა ჩემთვის... როგორ ძალბიძს განუსწავლელ ქალს,
რომ შევედარო მოსუბრეს, თქვენებრ გაწაფულს! —
კარგიო! ეგ ლორნი ნამდვილად რომ ისეთნი იყვნენ,
როგორც თქვენ სახაეთ, სამუდამოდ გავრუმდებოდი
და ჩემს საქმესაც წაგებულად ჩავთვლიდი მაშინ,
თუკი ისინი მიმიჩნევდნენ მე დამნაშავედ.
მაგრამ ეგენი, რომელთაც თქვენ დიდად აფასებთ
და რომელთაც სურთ სამუდამოდ გაზანადგურონ,
გხვდავ, სულ სხვა როლს თამაშობენ, მილორდ ბერლევი,
ინგლისის ბედში, სახელმწიფოს ისტორიაში.
გხვდავ, მაღალი წრე ინგლისელ თავადებისა
და სახელმწიფოს დიდებული სენატიც როგორ
ცდილობენ თავის მლიქვნელობით ასიამოვნონ
ჩემს პაპა ჰენრიხს, ვით მონებმა უწიან სულთანს.
გხვდავ იმასაც, რომ ეგ თქვენი ზედა პალატაც

ქვედას თანაბრად მექრთამე და უსიციველიოა.
მეფის ბრძანებით კანონთ სცემენ და აუქმებენ,
ხან დაარღვევენ ქორწინებას, ხან აღადგენენ,
ხელმწიფოს ასულთ დღეს ართმევენ მემკვდრეობას,
როგორც ნაბუშრებს, აწბილებენ, უტეხენ სახელს,
ხვალ კი დედოფლად აპყავთ ისეც სამეფო ტახტზე.
კარგად ვხედავ, ეგ ღირსეული ლორდები, ოთხი
მმართველობის დროს, როგორ სწრაფად იცვლიან რწმენას
და მასთან ერთად ოთხჯერ თავის შეხედულებას.

ბ ე რ ლ ე ი

ამბობთ, ინგლისის კანონების არა გესმით რა,
უბედურება ინგლისისა კი კარგად უწყით.

მ ა რ ი ა მ ი

ეგ ხალხი არის მოსამართლე ჩემი! — ბერლევი
მინდა თქვენს მიმართ ვიყო სწორი, სამართლიანი
და თქვენც ჩემს მიმართ ასეთივე იკავით, მილორდ!
ამბობენ, რომ თქვენ კეთილი გსურთ ამ სამეფოსთვის
და დედოფლისთვის, ხართ ბეჯითი და უანგარო,
მეც მინდა, რომ ეგ დავიჯერო. არა პირადი
სარგებლობისთვის მოლვაწობთ, არამედ ქვეყნის
სიკეთისათვის. ვერ გენდობთ სწორედ ამიტომ,
რომ სიმართლედ არ მოგეჩვენოთ, ის რაინ ქვეყნისთვის
სასარგებლოა. მე არ ვეჭვობ, რომ სამსჯავროში,
ჩემს მსაჯულთ შორის, თქვენთან ისხდნენ კეთილშობილი
პირები, მაგრამ ისინი ხომ პ რ ო ტ ე ს ტ ა ნ ტ ე ბ ი
არაიან რწმენით და იცავენ ბრიტთა სიკეთეს.
მე მსაჯულთ უნდათ, რომ მე ძალზე მკაცრად დამსაჯონ,
ვით შოტლანდიის დედოფალი, როგორც პაპისტი.
ძველოაგან თქვეულა, რომ სიმართლეს შოტლანდიელი
ინგლისელებისგან არასდროს არ უნდა ელოდეს.
ამიტომ დარჩა ჩვეულებად ძველი დროიდან,
რომ ერთმანეთის წინააღმდეგ სასამართლოში
მოწმედ გამოსულა არ ძალუძთ მათ. კანონი ისეც
ჩვენ გვიკარნახა იძულებამ. ღრმა აზრი ცოცხლობს
ამ ძველ წესებში და ჩვენც უნდა მას პატივი ვცეთ.
თვითონ ბუნებამ ამ ფიცარზე ოკეანისა
გადაისროლა ორი ერი. არათანაბრად

განაწილა ის მათ შორის და თან უბრძანა,
რომ ამ ფიცრისთვის იბრძოლონ მათ შეურიგებლად;
მათ შორის ზღვარი დასდო მხოლოდ მდინარე ტვიდმა,
თუმცა მის ტალღებს მებრძოლთ სისხლი ერთვოდა ხშირად.
მას აქეთ ათი საუკუნე ვავიდა უკვე,
რაც მის ორივე ნაპირიდან მრისხანედ მოჩანს
ხმლიანი ხელი. არასოდეს თავს არ დასხმია
მტერი ინგლისელთ ჯერ ისე, რომ შოტლანდიელიც
არ მიმხრობოდა ამ თავდამსხმელს, და არასოდეს
ჯერ შოტლანდიის ქალაქები არ ვადაუწყავს
სამოქალაქო ომის ხანძარს ისე, რომ ბრითებს
არ ვადღესროლათ მათში ცეცხლი. და არც ჩაქრება
მათ შორის მტრობა, სანამ ძმურად არ შეაერთებს
ამ ორ ერს ერთი პარლამენტი და ვიღარე ერთი
სამეფო სკიპტრა არ დაუწყებს მთელ კუნძულს მართვას.

ბერლეი

და ეს სიკეთე მოუტანოს უნდა ინგლისელთ,
ალბათ, ერთ-ერთმა სტიუარტმა?

მარიამი

რატომ ვიცროუო?

დიახ, მე ძალმიძს ვაღიარო, რომ ეოცნებობდი
მათ შეერთებას ნეტარ ჩრდილში ზეთისხილისა,
ორივე ერის სასახელოდ, სასიხარულოდ.
არა მჯეროდა, თუ მე მსხვერპლი შევიქნებოდი
ამ ორი ხალხის სიძულვილის. ხანგრძლივი შური
ერთურთისადმი და მათ შორის განხეთქილების
მგზნებარე აღი სამუდამოდ მსურდა ჩამეჭრო.
ისე, ვით ჩემმა წინაპარმა რიჩმონდმა ერთურთს
შეაკავშირა ორი ვარდი, დიდ სისხლის ფასად,
მეც ვფიქრობდი, რომ დაზაზეებით ერთად შემეჭრა
ინგლისისა და შოტლანდიის ორი გვირგვინი.

ბერლეი

ძლიერ ცუდი გზით მილიოდით თქვენ მაგ მიზნისკენ.
თქვენ მოისურვებთ გადაგეწვით მთელი სამეფო
სამოქალაქო ომის ცეცხლით და ტახტზე ისე
ასულიყავით.

მარიამი

ეგ არ მსურდა, ვფიცავ ლეოებას!
ეგ როდის მსურდა? აბა, მაგას რითი ამტკიცებთ?

ბერლეი

აქ საქამათოდ არ მოვუსულვარ, რადგანაც საქმე
აწ პაექრობას უკვე აღარ ემორჩილება.
დამნაშავედ გცნო ორმოცმა ხმამ ორის წინაშე,
რომ დაარღვეით გასული წლის აქტი, რის გამოც
მკაცრი სასჯელი დაგედოთ თქვენ, რადგან იმ აქტში
ასე სწერია: „თუ მოხდება სახელმწიფოში
არეულობა, სახელითა და სასარგებლოდ
იმ პიროვნების, ვინც უფლებას აცხადებს ტახტზე,
ასეთი პირი ვადაეცეს მართლმსაჯულებას
და, თუ აღმოჩნდა დამნაშავე, სიკვდილი ერგოს.“ —
ასე რომ, უკვე დამტკიცდა ეს...

მარიამი

მილორდ ბერლეი!

არ მეიქვება, რომ კანონი, ჩემს მოსასობად
გამოცემული, ამხედრდება ჩემს წინააღმდეგ.
საბრალო მსხვერპლი შებრალებას ამაოდ ველი,
რადგან ის, ვინაც შეადგინა კანონი იგი,
მიკითხავს ახლა განაჩენსაც! ბატონო ჩემო,
ხომ არ გჭირდებათ უარი თქვით, რომ იგი აქტი
მოგონილია მხოლოდ მისთვის, რომ მე დამეღუპოს?

ბერლეი

არა, ჩვენ ამ გზით გაფრთხილება გვინდოდა თქვენი,
მაგრამ საკუთარ მახედ თვითონ აქციეთ იგი.
ხომ დაინახეთ, რომ უფსკრული გაიხსნა თქვენს წინ,
მაგრამ ჩაეშვით მასში მინც მთელი სისწრაფით.
თქვენ ხომ ბებინგტონს, მოლაღატეს ჩვენი ქვეყნისას,
და მის მკვლელთ ბანდას საიდუმლოდ დაუკავშირდით,
თქვენ ხომ იცოდით ყველაფერი, ამ შეთქმულებას
ხელმძღვანელობდით თქვენი ბნელი საპყრობილიდან.

მარიამი

ეგ საქმე როდის გავაკეთე? ამის შესახებ
წარმომიდგინეთ საბუთები.

ბერლი

ისინი უკვე

ამ ცოტა ხნის წინ სამსჯავროზე წარმოვიდგინეს.

მარიამი

მხოლოდ ასლები, დაწერილი უცნობი ხელით!
დე მომიტანონ საბუთები და დამიმტკიცონ,
რომ მე პირადად ვუკარნახე და სწორედ ისე,
როგორც ეს მაშინ წამიკითხეს სასამართლოზე.

ბერლი

ეგ წერილები რომ მართალი და ნამდვილია,
თვით ბებინგტონმა ალიარა სიკვდილის წინა.

მარიამი

მაშ რატომ მე არ დამიყენეთ იგი პირისპირ?
რატომ იჩქარეთ ასე ძლიერ თქვენ მისი დასჯა
და მოშორება ამ ქვეყნიდან, რატომ ის ჯერ მე
არ შემახვედრეთ, ჩემს თვალწინ არ დაჰკითხეთ იგი?

ბერლი

თქვენმა მწერლებმაც კერლიმ და ნომ ფიცის მიღებით
დამტკიცეს, რომ ეგ სწორედ ის წერილებია,
რომელიც იმათ დაწერეს თვით თქვენი კარნახით.

მარიამი

მაშ მომისაჯეთ ჩემ მსახურთა ჩვენების გამო?
მაშ სასამართლო ერწმუნა მათ, რომელთაც გასცეს,
თვითონ მათივე მბრძანებელი და დედოფალი?
რომელთ გატეხეს ფიცი მტკიცე ერთგულებისა,
ცილისმწამებლურ ჩვენებებით ჩემს წინააღმდეგ?

ბერლი

თქვენ ხომ აქებდით შოტლანდიელ კერლის ძალიან,
როგორც ერგულ კაცს, როგორც სათნოს და პატიოსანს?

მარიამი

ასეთს ვცნობდი მას. მაგრამ ქვეყნად კაცთ სათნოებას
გამოსცდის მხოლოდ განსაცდელის წუთები მძიმე.

წამების შიშით შეიძლება მან ალიარა
და გითხრათ იგი, რაც თვითონ მან არც კი იცოდა.
ყალბი ჩვენებით თავის დახსნას ფიქრობდა იგი,
ეგონა, ამით დიდ ზიანს არ მომაყენებდა.

ბერლი

მან ყველაფერი ალიარა თავისი ნებით.

მარიამი

მაგრამ ჩემ თვალწინ არ მომდარა ეგ ყველაფერი
ორი მოწმე ხომ ცოცხალია, მილორდი, ახლაც!
წამომიყენეთ მე პირისპირ. დაე მათ კიდევ
გაიმეორონ ჩემს წინაშე იგივე ჩვენება.
რატომ უარყოფთ ჩემს უფლებას, თხოვნას, რომელზეც
უარს მკვლელსაც კი ვერ ეტყვიან? მე კარგად ვიცი,
ტალბოტისაგან, თვითონ ჩემი პირველ მკვლელისგან,
რომ, თქვენს ინგლისში გამოსული კანონის ძალით,
სასამართლოს წინ უნდა ერთად წარდგეს ორივე—
ბრალდებულები და ბრალმდებელი დაკითხვის დროსა.
ასეა მართლა, თუ ეს ყალბი ამბავი მესმა?
სერ პოლეთ, თქვენ მე მუდამ მართალ კაცად მიმაჩნდით,
თქვით სინდისის ქვეშ, როგორც ვამბობ, ასე არაა?
ნუთუ ინგლისში არ არსებობს კანონი ესე?

პოლეთი

ასეა, ლედი. ამას ითხოვს კანონი ჩვენი.
რაც მართალია, ვერ უარვყოფ.

მარიამი

ახლა რას იტყვით?

როცა ინგლისის ულმობელი, მკაცრი კანონი
თავს დაჰტეხია და მიპირებს განადგურებას,
გვერდს რატომ უხვევთ კანონს მაშინ, როდესაც იგი
ჩემს სასარგებლოდ ლაპარაკობს? თქვით, მიპასუხეთ!
პირისპირ რად არ დამიყენეთ მე ბებინგტონი,
როგორც კანონი მოითხოვდა, რატომ ჩემს მწერლებს
არ შემახვედრებთ, ხომ ცოცხლები არიან კიდევ?

ბერლეი

ნუ ბრაზობთ, ლედი. არა მხოლოდ ურთიერთობა
ბეზინგტონთან, თქვენ გიმტყცლებათ...

მარიამი

მხოლოდ ეს არის,
რის გამოც ჩემზე აღმართულა კანონის ხმალი,
და მეც ამისგან მმართვეს ახლა თავის მართლებათ.
ისევ ამ საკითხს დაეუბრუნდეთ, თავს ნუ არიდებთ!

ბერლეი

დამტკიცდა ისიც, რომ მენდოზას, ესპანეთის ელჩს,
თქვენ საიდუმლო წერილებით დაუკავშირდით...

მარიამი (ცოცხლად)

ისევ იმ საქმეს დაეუბრუნდეთ, მილორდ!

ბერლეი

რომ გსურდათ
დაბლა დამხობა, ჩვენი ქვეყნის სარწმუნოების,
მთელი ევროპის ამხედრება ჩვენს წინააღმდეგ.

მარიამი

ეგ როდის ვქენი? ეგ არასდროს ჩამოდენია...
თუნდაც დავუშვათ, ჩავდივინე,—მილორდ ბერლეი!
მაინც შემოიპყრეს უკანონოდ, წესის დარღვევით!
აქ მე ხმლით კი არ გამოვცხადდი, არამედ როგორც
შვეიცის მოაჯე, მივენიე რა სტუმართმოყვარობის
უწმინდეს კანონს, ხელთ ჩაებარდი დედოფალს თქვენსას...
მაგრამ, ვისგანაც მფარველობას ველოდებოდი,
მისგან მივიღე ბოროტებები, ტყვეობა მწარე.
მითხარით, თუ რა მოვალეა სინდისი ჩემი
ინგლისის მიმართ, ან რა მმართვეს მე ამ ქვეყნისა?
ო, არაფერი, არაფერი! ესარგებლობ მხოლოდ
საპატიმროში დამწუხვებულის მცირე უფლებებით,
რომ დაეამსხვრიო ის ბოროტი, რითაც შემბოჰეს.
მსურს მხოლოდ ზურგი შევაქციო ძალას ძალითვე.
ჩემს დასაცავად მოუხსნობ მთელ ქვეყნიერებას.
მე შემძლია ვისარგებლო ყველა უფლებით,
რაც კანონიერ და ცხად ომში დასაშვებია.

მხოლოდ მკვლელობა, სისხლიანი საქმე ფარული,
ჩემს სიამაყეს და სინდისს არ შეეფერება.
მკვლელობას ძალუძს ჩემთვის მხოლოდ ჩირქის მოცხება,
ღირსების აყრა, ვლავარაკობ, მაგრამ ვერასვნიო
ის სასამართლოს განაჩენს ვერ დამამორჩილებს,
რადგან ჩემსა და ინგლისს შორის არა უფლება,
არამედ ურცხვი ძალადობა გამეფებულა.

ბერლეი

(მნიშვნელოვნად)

ნულარ მოუხმობთ ძლევაშილი, საშიშ უფლებას,
ეგ პატიმრისთვის, ლედი, ძალზე უსარგებლოა.

მარიამი

მე სუსტი ვარ და ის ძლიერი, თუნდ ეგრე იყოს!
მას სჭირდება ეს ძლიერება. იგი მე მომკლავს,
რომ ჩემმა მსხვერპლმა განამტკიცოს მეფობა მისი.
მაგრამ მიხვდეს, რომ სარგებლობდა არა უფლებით,
არა კანონის და უფლების სათანო სახელით,
არამედ ჩემზე მან პირდაპირ აღმართა ხმალი,
რომ საძულველი თავის მტერი გაანადგუროს.
წმიდა სამოსის საფარველით კი ნუ დაჰფარავს
ძალმომრეობას სისხლიანს და ესოდენ უხეშს.
მაგ თვალთმაქცობით ის ქვეყანას ვერ მოატყუებს!
მას ძალუძს მომკლას, მაგრამ ვერ კი გამასამართლებს!
ის ბოროტების უხეშ ნაყუს ვერ შეაერთებს
უმანკოების, სათნოების წმიდა ნათელთან.
ჯობს, რომ გაბედოს და გამოჩნდეს იგი, რაც არის!
(გადის)

მირკვა გამოსვლა

ბერლეი, პოლეთი

ბერლეი

ჯიუტობას, კვლავაც იჯიუტებს, რაინდო პოლეთ,
ვიდრე არ ავა ეშაფორტზე. მაგის ამაყ გულს
ვერაფერი ვერ შეაშინებს. აბა, თუ შეკრთა,
როს მოისმინა განაჩენი? ან იმის თვალზე
თუ შეამჩნიე ერთი ცრემლი? თუ შეეცვალა
ფერი ოდნავად? თუ ითხოვა მან შებრალება?
ყოყმანი ჩვენი დედოფლისა მან კარგად იცის,
რაც უფრო გმიშობთ, იგი ამით უფრო მხნევედება.

პოლეტი

მილორდ ბერლიე, ჯიუტობა სტიუარტისა
წამსვე გაქრება, თუ გაქრება საბაბი მისი.
თუ მათქმევეინებთ, სასამართლოც, ცოტა არ იყოს,
მისი პროცესის დროს მოიქცა შეუფერებლად.
შეიძლება ჩვენ ტიჩბერნი და ბეზინგტონი
მისთვის პირისპირ წარგვედგინა და ეგ მწერლებიც
გვეჩვენებინა.

ბერლიე
(აჩქარებით)

არა! არა, რაინდო პოლეტი!

ჩვენ ეგ არ უნდა გავგებულა, რადგან დილია
მისი გავლენა, კაცთა გულებს რომ იმორჩილებს,
და უსაზღვროა ძალა მისი დიატურ ცრემლის.
სამსჯაგროზე რომ მოგვეყვანა მწერალი კერლი,
ვერ შეიძლება მის წინ სიტყვის წარმოთქმას იგი,
შეშინებული უარყოფდა თავის ჩვენებას.

პოლეტი

მაშინ მოსდებენ მთელ ქვეყანას ინგლისის მტრები
ბოროტ ცნობებს და საზეიმო პროცესი ჩვენი
გამოჩნდება, ვით უტიფარი დანაშაულს.

ბერლიე

ეგაა სწორედ. დედოფალს რომ აწუხებს დიდად.
ო, ეს სათავე ყოველგვარი უშინდღურობის
გარდაცვლილიყო მაინც, ვიღერე ინგლისის მიწას
ფეხს დაადგამდა!

პოლეტი

ამაზე მეც ძალმიძს ვთქვა: „ამინ!“

ბერლიე

ან ციხეში სულს ამოხდიდეს ავადმყოფობა.

პოლეტი

ავცილებოდიოთ მაშინ მრავალ უბედურებას.

ბერლიე

მაგრამ, ბუნების ამ შემთხვევის მიუხედავად,
მაინც მკვლელებად შეგვრაცხებდნენ...

პოლეტი

სწორედ, ნამდვილად.

ვის შეუძლია აუტრპალოს ადამიანებს
იმისი ფიქრი, რაც თვითონ სურთ.

ბერლიე

არ ყოფილიყო

მცირე საბუთიც, რასაც თუნდაც ოდნავ ხმაური
გამოეწვია.

პოლეტი

დე ატეხონ დიდი ხმაური.

საქმეს ვნებს უფრო არა ყალბი და ხმაალადი.
არამედ მხოლოდ საყვედური სამართლიანი.

ბერლიე

თვით უშინდესი სიმართლაც ვერ გადაურჩება
ხალხის გაკილვას. სიყვარული უმრავლესობის
მულამ ტანჯულის მხარეზეა, გამარჯვებულს კი
შეუბრალებლად სდევნის ზიზლი, შური ხალხისა.
სამსჯაგროს ხმალი თუ მამაკაცს მულამ უხდება,
დიაცის ხელში ის ყოველთვის საზიზლარია.
ქალის სიმართლეს არ ირწმუნებს ხალხი არასდროს,
თუ ამ სიპართლის მსხვერპლი გახდა მეორე ქალი.
ო, ის ამაოდ განესაჯეთ ჩვენ ჩვენი სინდისით!
დედოფალს მულამ უფლება აქვს შეწყნარებისა
და უნდა კიდევ ისარგებლოს მან ამ უფლებით.
მან არც კი უნდა გაიგონოს, ფიქრიც არა სურს,
რომ კანონს მისცეს თავისი გზით მკაცრი მსჯელობა!

პოლეტი

ამრიგად...

ბერლიე

(სწრაფად შეაწყობინებს)

ვითომ იცოცხლოს მან? ო, არასოდეს!

ეგაა სწორედ, რომ აშინებს ჩვენს დედოფალსაც —
ამაზე ფიქრით არ აქვს ძილი და მოსვენება...
მე მის თვალეში ვკითხულობ დიდ სულიერ ბრძოლას;
თუღც მისი ბაგე ვერა ბედავს სურვილთ გამოთქმას,
მაგრამ კითხულობს მკვერამეტყველურად მღუპარე მზერა:
ჩემს მსახურთ შორის ნუთუ არეინ მოიძებნება,

რომ დამიხსნიდეს ამ საზიზლარ არჩევანიდან:
ან უნდა შიშით ვიკანკალო ჩემივე ტახტზე,
ან უღმრთებლად გადაეტყურონო ჯალათის კუნძუზე
ჩემივე სისხლის დედოფალი?

პოლეტი

არ შეიცვლება

იგი სხვაგვარად, რაც საჭირო, გარდუშვალა.

ბერლეი

შეიცვლებოდა ძალზე კარგად, ფიქრობს ის; თუკი
მისნი მსახურნი ყურადღებით მოიქცეოდნენ.

პოლეტი

ყურადღებითა?

ბერლეი

თუ ისინი მიუხვდებოდნენ

მუნჯსა ბრძანებას.

პოლეტი

მუნჯ ბრძანებას?

ბერლეი

თუკი ისინი

იმ შხამიან გველს, რომელიც ჰყავთ მათ დასაცველად,
მოეპყრობოდნენ სწორედ ისე, როგორც შეჭფერის
უსაძაგლეს მტერს, და არა ვით უძვირფასეს განძს.

პოლეტი

ძვირფასი განძი არის მხოლოდ კარგი სახელი
და უძრავი დიდება თვით ჩვენი დედოფლის,
რასაც არ ძალგვიძს ჩვენ, სერ, კარგად არ გავუფრთხილდეთ!

ბერლეი

ზრუსბერის ნაცვლად როცა რაინდ პოლეტს მიანდეს
ამ ლედის დაცვა, აზრად ჰქონდათ...

პოლეტი

ვიმედოვნებ, სერ,

აზრად ჰქონდათ, რომ უმძიმესი მოვალეობა
უპატიოსნეს ხელებს უნდა ჩაჰბარებოდა.

ვფიცავ ლეოპას, ამ სამსახურს ირც ვიკისრებდი,
თუ არ მეფიქრა, რომ ეს მძიმე მოვალეობა

ინგლისელთაგან ყველაზე კარგ კაცს თხოულობდა.
ნება მიბოძეთ ვიფიქრო, რომ არა სხვა რამეს,
მე ამას უნდა ვუმაღლოდე ჩემს წმინდა სახელს.

ბერლეი

ხმები ვრცელდება, რომ ის მძიმე ავადმყოფია
და არც მორჩება, მოელება ნელ-ნელა ბოლო,
ასევე ბოლო მოელება ხალხის სსოვნაშიც...
თქვენი სახელი კი კვლავ წმინდა დარჩება.

პოლეტი

მაგრამ

სინდისი?..

ბერლეი

არ გსურთ თქვენი ხელი გამოგვიწოდოთ,
სხვისა ხელზე კი, რა თქმა უნდა, უარს არ იტყვიოთ...

პოლეტი

(შეაწყვეტინებს)

ვერც ერთი მკვლეელი მის კარის ზღურბლს ვერ გადმოლახავს,
სანამდე იგი იმყოფება ჩემი ქერის ქვეშ.
მისი სიცოცხლე ჩემთვის ისე ძვირფასი არის,
როგორც სიცოცხლე ინგლისელთა დედოფლისა.
თქვენ ხართ იმისი მსაჯულები! გაასამართლეთ!
გამოუტანეთ განაჩენი და როს დრო მოვა,
დე გამოცხადდეს ხურო თავის ცულით და ხერხით,
რათა აღმართოს ეშაფოტი... ციხის კარები
ღია იქნება შერიფისა და ჯალათისთვის.
ახლა კი, როცა დასაცავად მყავს მონდობილი,
იცოდეთ, რომ მე მის სიცოცხლეს დავიცავ მუდამ
და ბოროტებას ვერც ის იზამს, ეცადოს თუნდაც!

(გადას)

მოკვდებამ მემორამ
ვებტმინსტერის ხასახლე

პირველი გამოსვლა

გრაფი კენტი და სერ უილიამ დევისონი ხედებიან ერთმანეთს.

დევისონი

ეს თქვენ ხართ, მილორდ? სატურნირო მოედანიდან
შუან დაბრუნდით და ზემოც დამთავრდა უკვე?

კენტი

როგორ? თქვენ კი არ დაესწართ რაინდთა თამაშს?

დევისონი

ვერ მოვიცალე.

კენტი

ვერ გინახათ ულამაზესი
სანახაობა, იშვიათად მოფიქრებული
და საუცხოო გემოვნებით შესრულებული.
წარმოადგინეს, თუ სურვილი როგორა ცდილობს
აღუა მოარტყას და აიღოს მშვენიერების
ციხე-სიმაგრე. ლორდ მარშალი, უხედაესი
მოსამართლე და სენეშალი ჩვენი დედოფლის
ათი რაინდით მხედ იცავდნენ ციხე-სიმაგრეს,
რომელს ეკვეთნენ რაინდები საფრანგეთისა.
მათ გამოეყო ვერ ჰეროლდი და მადრიგალით
მოითხოვა, რომ ფრანგებისთვის დაეთმოთ ციხე,
რაზეც კანცლერმა მას სანგრიდან პასუხი გასცა.
მას მოჰყვა სროლა და ყვაელთა თაგულები,
სურნელოვანი მშვენიერი ესენციების,
ვაფრინდნენ სწრაფად ფრანგთა საეულე ქვემეხებიდან.
მაგრამ ამაოდ! იერიში მოიგერიეს
და მასთან ერთად უკუავდეს თვითონ სურვილიც.

დევისონი

უბ ძალზე ცუდი წინასწარი ნიშანი ვახლავთ,
ჩვენთან ფრანგების ქორწინება-დამოყვრებისთვის.

კენტი

ჰო, მაგრამ ეს ხომ გასართობი ხუმრობა იყო...
სინამდვილეში კი, მე ვფიქრობ, ციხე-სიმაგრე
ბოლოს უთუოდ აღებული იქნება მათგან.

დევისონი

თქვენ ასე ფიქრობთ? მე ვე უკვე აღარა მჯერა.

კენტი

მეტად საძნელო მუხლებზეც კი შეთანხმდნენ უკვე
და საფრანგეთი თანახმაა მათს მიღებაზე.
თვითონ ჰერცოგი, საღეთო წესის აღსასრულეზღად,
კმაყოფილდება დახურული სამლოცველოთი,
ხოლო საჯაროდ სახელმწიფო სარწმუნოებას
იგი დაიცავს და პატივს სცემს. გენახათ მანც
ხალხის ლენა და აღტაცება, როს ეს გაიგეს!
რადგანაც ინგლისს ეშინოდა, რომ დედოფალი
უმემკვიდრედ დარჩებოდა და სახელმწიფოს
კვლავ კათოლიკნი დააღებდნენ მძიმე ბორკილებს,
თუ სტიუარტი ავიდოდა სამეფო ტახტზე.

დევისონი

შიში აგვცილდა, — დედოფალი ქორწინებისკენ,
სტიუარტი კი სიკვდილისკენ მიემართება.

კენტი

აქეთკენ მოდის დედოფალიც!

მემორამ გამოსვლა

იგივენი. ელისაბედი, რომელსაც დაისტერი მოუძღვება. გრაფი
ფილბერტი, ბელივერი, გრაფი შრუტბერი, ლორდ ბერლი,
სხვა ფრანგ და ინგლისელ რაინდებთან ერთად, შემოდიან.

ელისაბედი

(თბუბის)

ეწუხვარ, გრაფო, რომ ეს რაინდნი კეთილშობილნი,
რომელთაც დიდ და თავახიან გულმოდგინებით

ზღვა გადმოსცურეს, ვერ ნახავენ ინგლისის კარზე
დიდებულებას სენ-ჟერმენის სრა-სასახლისას.
ძალა არ შეეწყვეს მოვიგონო თქვენს გასართობად
ზეიმი ისე მომხიბვლელი და დიდებული,
როგორც ძალუძს სახელგანთქმულ ფრანგთ მეფის დედას...
მოსიყვარულე, გულითადი ხალხი, რომელიც
ჩემს გარეშემო მოწიწებით ტრიალებს მუდამ,
სადაც არ უნდა, რაც არ უნდა ხშირად გამოვჩნდე, —
ვით იშვიათი სანახავე, უცხოელთ თვლებს
განსაკუთრებულ სიამაყით ძალმიძს ვუჩვენო.
ისე კი — მართო ბრწყინვალეობაც კარის ქალწულთა,
ეკატერინეს ლამაზ ბაღში რომ იზრდებიან,
დაგჩრდილავს მეც და თვით ჩემს ღვაწლსაც უმნიშვნელოსა.

ობეპინი

თუმც ვესტიმენტის სასახლეში განცვიფრებულ
უცხოელები ნახულობენ ერთ მანდილოსანს,
მაგრამ ამ ერთში თავმოყრილა სუყველაფერი,
რაც ამ მშვენიერ სქესში იწვევს ჩვენს აღტაცებას.

ბელიევი

ნება გვიბოძე, დედოფალო ბრიტანეთისავე,
უკან გავბრუნდეთ, გულმხურვალედ გამოგეთხოვოთ
და ბედნიერ ვყოთ ჩვენი პრინცი სასიხარულო
ცნობით, რომელსაც ელოდება ის მოუთმენლად.
აუტანელმა მღელვარებამ თავის გულისამ
პარიზში აღარ გააჩერა და ამიენში
ბედნიერების მაუწყებელ ამბავს მიელის.
მისნი შიკრიკნი თვით კალუმედ განლაგებულან,
რომ მაგ ბაგეთგან წარმოთქმული თანხმობის სიტყვა
ვლვის სისწრაფით მიიტანონ იმის ყურამდე.

ელისაბედი

გრავ ბელიევი, ნუ მთხოვთ მაგას თქვენ დაჟინებით.
კვლავ ვიმეორებ, ახლა იმის დრო როდი არის,
რომ საქორწინო ჩირაღდნები ავანთოთ ლხენით.

შავი ზეწარი გადაეკრა ამ ქვეყნის ზეცას
და მეც აწ უფრო დამშვენდება თალხი მარმაში,
ვიდრე მდიდრული სამოსელი ქორწინებისა,
რადგან ახლოა საშიშარი დარტყვა, რომელიც
განაღვრებით ემუქრება ჩემ გულს და მოღმას.

ბელიევი

აღვითქვი მაინც, დედოფალო, დაგვიმედე;
მას აღასრულებ, როს დადგება ბედნიერი დღე.

ელისაბედი

ხელმწიფე მხოლოდ მონა არის თავის წოდების,
არ შეუძლია აპყვეს თავის გულისწადილსა.
ყოველთვის მსურდა მოვმკვდარიყავ გაუთხოვარი,
სახელად ისიც მეყოფოდა, რომ ყოველ გამგულს
სამარის ქვაზე ეს სიტყვები ამოეკითხა:
„აქ განისვენებს ქალწულობა დედოფალისა.“
ჩემს ქვეშევრდომთ კი ეს არ უნდათ. ისინი უკვე
ზრუნვენი იმ დროზე, როს ცოცხალი აღარ ვიქნები...
მათ არ ჰყოფნით, რომ ბედნიერ ვყავ ჩემი ქვეყანა,
მე მის ბედნიერ მომავალსაც უნდა გემსხვეპლო,
ბედნიერება და სილამე ქალწულობისა
ჩემი ხალხისთვის, ქვეყნისათვის გავწირო უნდა
და ჩემს მბრძანებელს, ჩემს მეუღლეს დავემორჩილო.
ეს იმას ნიშნავს, რომ იმისთვის მხოლოდ ქალი ვარ,
მე კი მეგონა სახელმწიფოს ემართავდი ისე,
ვით მამაკაცი, ვით ხელმწიფე სვედიდებული.
კარგად ვიცი, რომ ბუნების წესს გადაცენილი
ღმერთს არაფერში არ არგია და დიდად სცოდავს.
იმ მეფეებმა, ვინც ჩემამდე აქ იმბრძანებლის,
დაიმსახურეს ქება იმით, რომ მონასტრების
კარი გააღეს, საიდანაც ბერ-მონაზვნები,
ტრურწმენის მსხვერპლნი, ათასობით გამოიყვანეს
და დაუბრუნეს კვლავ ბუნებრივ მოვალეობას.
მაგრამ დედოფალს, ვინაც თავის სიცოცხლის დღეებს
არ გაატარებს უსარგებლო და უქმ ქვრეტაში,
ვინც მუდამ იბრძვის შეუპოვრად, დაუღალავად,
ამ ქვეყნიური მძიმე ელის აღსასრულებლად,
შეეძლო, იგი ყოფილიყო გამოხალისი,

4. ფრიდრიხ შილერი.

გამოსთიშოდა ბუნების ამ დანიშნულებას,
რომლითაც ერთი ნახევარი კაცთა მოდგმისა
ფეორის ნებას და უფლებას ემორჩილება.

ობეპინი

ყოველნაირი სათნოება შენს სამეფოში
ალამაღლე და დიდებულ ჰყავ და რალა დარჩა
იმ მოდგმას, რომელს ალამაღლებ თანაბარ შენდა,
თუ არა ის, რომ შენს მაგალთს წაბაძოს მხოლოდ.
თუ შტა ამ ქვეყანად არეინა ისეთი კაცი,
ვინც შესაფერი, ღირსეული იყოს ევოდენ,
რომ მას შესწირო მსხვერპლად შენი თავისუფლება,
მაგრამ თუ ვისზე მოვლდავსა კაცს შთამომავლობა,
სიამავე და ვაჟკაციური მშვენიერება
ღირსეულს გახდის...

ელისაბედო

უდავოა, ბატონო ელჩო,
რომ დიდ პატივს მღებს ქორწინება ფრანგ უფლისწულთან.
დახა, მე ამას ვაღიარებ დაუფარავდა...
და თუ ეს საქმე უნდა მოხდეს, თუ მე არ ძალმიძს
სხვაგვარ მოვიქცე, თუ მე უნდა დავემორჩილო
წადილს ხალხისას, დაეინებულ მოაზროვნას მისას,
რომელიც, ვშიშობ, აღმონდება ჩემზე ძლიერი, —
მაშინ არ ვიტყვებ ევროპაში არც ერთ ხელმწიფეს,
რომელსაც მეტი ხალხით მე შევწირო მსხვერპლად
ჩემი ძვირუფის განძი, ჩემი თავისუფლება.
დე საკმარისი იყოს თქვეითვის ეს აღსარება.

ბელიევი

ეს არის ძალზე მშვენიერი იმედი, მაგრამ
მხოლოდ იმედი, ჩემს ბატონს კი უფრო მეტი სურს...

ელისაბედო

მეტი რალა სურს?

(წამოძირობს თითოდან ბეჭედს და მღუშარედ ათვლიერებს)

დედოფალსა და ჩვეულებრივ
მოქალაქე ქალს ერთნაირი ზედი რეგებიათ.
მსგავსი ნიშანი შეჭურვის მსგავს მოვალეობას. —
50

კოლქმრობის კავშირს ქმნის ბეჭედი და ბეჭედივე
ჩვენ გვჯავავებს კიდევ. — ჰა, წაუღეთ ეს საჩუქარი
თქვენს ბატონს, მაგრამ იცოდეთ, რომ იგი ჯერ კიდევ
არ არის ჯავვი, მიჯაჭეული არც მე ვარ მასთან,
მაგრამ დაწინდვას, შესაძლებელს, მოპყვება ევაც.

ბელიევი

(მუხლს იყრის და ბეჭედს ართმევს)

მისი სახელით, დედოფალო უღიადესო,
ვიღებ საჩუქარს მუხლმოყრითი და მოკრძალებით
ვეამბორები ძვირფას ხელსა ჩემი დედოფლის.

ელისაბედო

(გრაფ ლაისტერს, რომელსაც ამ უკანასკნელი სიტყვის განმავლობაში უხრა-
დლებით ათვლიერებდა)

ნება მიბოძეთ, მილორდ!

(ხსნის ლაისტერს ცისფერ ლენტს და უკვებებს ბელიევის)

აწუ კი მის ბრწყინვალეობას

გაუკეთეთ ეს სამკაული ისე, როგორც მე
თქვენ გაგიკეთეთ. ამ ორდენის დევიზი არის:
Honi soit qui mol y pense!¹
დე უნდობლობა ორ ერს შორის გაქრეს მთლიანად,
ამიერიდან ერთი ლენტით შეიკრას ერთად
ორი გვირგვინი: საფრანგეთის და ბრიტანეთის!

ობეპინი

უღიადესო დედოფალო, დღე ესე არის
სიხარულისა! ო, ნეტავ ის შვების მომტანი
იყოს ყველასთვის, რომ აღაზინ იტანჯებოდეს!
დღეს შენი სახე მოწყალებით გაბრწყინებულა.
ო, ნეტავ მისი შუქის — თუნდაც მცირედი სხივი
იმ სვეუბედურ დედოფალსაც დაეცემოდეს,
ვინც ერთნაირად ახლობელი არის ინგლისის
და საფრანგეთის.

ელისაბედო

კმარა გრაფო, შესწყვიტეთ სიტყვა!
თუ ფრანგთა ქვეყანას ნამდვილად სურს ჩემთან კავშირი,

¹ სირცხელი იმას, ვინც ამაზე ცუდს გაიფიქრებს!

მან უნდა ჩემი საზრუნავიც გაიზიაროს.
და მეგობარი ჩემი მტრისა არ უნდა იყოს...

ო ბ ე კ ი ი

თვითონ შენ თვალშიც ის უღირსად მოიქცეოდა,
რომ მისი მეფის უბედური, საბრალო ქვრივი,
ასეთ დიდებულ კავშირის დროს დავიწყებოდა
თვითონ ღირსება და კაცობა ითხოვს...

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი

მე ძალმიძს

მე თქვენი აზრი მივიღო მის შუამდგომლობად.
საფრანგეთს მართებს აღასრულოს მეგობრის ვალი,
მე კი ნება მაქვს, რომ მოვიქცე, ვით დედოფალი.

(იგი თავს დაუკრავს ფრანგ რაინდებს, რომლებიც, დანარჩენ ლორდებთან ერთად,
მოკრძალებით ტოვებენ დარბაზს)

მესამე გამოცვლა

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ლ ა ი ს ტ ე რ ი. ბ ე რ ლ ე ი. ტ ა ლ ბ ო ტ ი.
(დედოფალი ჯდება)

ბ ე რ ლ ე ი

სახელოვანო დედოფალი! დღეს შენი ხალხის
სურვილი, ეგზომ გულმზურვალე, დაავიკრგვინე.
პირველად ახლა გვახარებს ეს კურთხეული დღე,
როგორც ძვირფასი ძღვენი, შენგან მონიჭებული;
ამიერიდან შეგვიძლია შეუძრწოლებლად
შფოთით აღსავსე ჩვენს მომავალს მივაპყროთ თვალთ.
მხოლოდ ერთიღა საზრუნავი აწუხებს ინგლისს,
ერთი მსხვერპლია, რომელს ყველა თხოულობს კიდევ-
მაშ აღასრულე ეს თხოვნაც და დღევანდელმა დღემ
ქვეყნის სიკეთე დააფუძნოს სამარადეთმოოდ.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი

რაღა სურს ჩემ ხალხს? თქვით, მოვისმენთ.

ბ ე რ ლ ე ი

იგი თხოულობს
სტიუარტის თავს. თუ გინდა, რომ შენი ხალხისთვის
თავისუფლება, საჩუქარი შეძირფასესი,
52

სიმართლის შუქი, დიდი ჯაფით მოპოვებული,
განამტკიცო და ხანგრძლივი ჰყო, მაშინ არ უნდა
იტოცხლოს იმან; — თუ არ გინდა, რომ ჩვენ ყოველთვის
შენი ძვირფასი სიცოცხლისთვის შიშითა ეძრწოდეთ,
უნდა მოისპოს მტერი მაშინ! — თვითონვე იცი,
ერთსულონება რომ არ სუფევს ბრიტანელებში,
კიდევ ბევრს ითვლის საიღუმლო თავყანისმცემელს
კერპთმსახურება რომისა აქ, ამ ჩვენს კუნძულზე.
მტრული ზრახვებით საზრდობენ ყველა ისინი
და ამ სტიუარტს ემხრობიან, კავშირში მყოფნი
ლოტარინგიელ ვერაგ ძმებთან, რომელნიც შენი
დაუტყბრომელი. ძველისძველი მტრები არიან.
მათ ფიცი დადეს, ბოროტების ცეცხლით მგზნებარე,
რომ სასიკვდილო, მკაცრი ომი გამოგიცხადონ,
რასაც უწმინდურ იარაღით აწარმოებენ.
რაიშში ბინა კარდინალის მათი საბრძოლო
არსენალია, სადაც ელვის მახვილს სჭედავენ;
იქ ამზადებენ მეფის მკვლელთ და მოხერხებულად
გზავნიან შენი კუნძულისკენ მისიონერებს,
ფანატიკოსებს, შენიღბულებს ყოველნაირად.
იქიდან უკვე გამოცხადდა მესამე მკვლელი
და შემდეგშიაც ამ ხერედიდან დაუსრულებლად
მოველინება ჩვენ ქვეყანას ფარული მტერი.
— ხოლო ფურია ამ სისხლისმღვრელ, მუდმივი ომის,
ნთელ სამეფოს რომ სიყვარულის ცეცხლითა ბუგავს,
ზის ფოტრინგეის ბნელ ჯურღმულში გამომწყვედი.
მისი გულისთვის, ცბიერ იმედს ყველას რომ აიღვეს,
ახალგაზრდობა სიკვდილსაც კი არ ერიდება.
მათი ლოზუნგი არის მისი ციხიდან დახსნა,
მათი მიზანი — აიყვანონ შენს ტახტზე იგი.
ლოტარინგიის ნაშვირნი სულაც არ სკნობენ
წმიდათა წმიდა შენს უფლებას და გიწოდებენ
სამეფო ტახტის წარმტაცებელს, ვინც, ბედნიერი
შემთხვევით, გვირგვინს დაეუფლე და ტახტზე ახვედ.
აი, სწორედ მათ შთაავონეს სულელ სტიუარტს
რომ დედოფლობა ინგლისისა ხელში ჩავგდო.
ერა დაეზავდებოთ ვერც მასთან და ვერც მის მოდგმასთან!
მსხვერპლად ან უნდა ის გასწირო, ან შენი თავი.

თუ ის იცოცხლებს, — გელოდება სიკვდილი მაშინ,
ხოლო სიკვდილი იმისა შენს სიციცხლეს ნიშნავს!

ელისაბედი

მილორდ! თქვენა გძლეუთ სამწუხარო მოვალეობა.
კარგად ვიცნობ მაგ ერთგულების წმინდა გულისთქმას,
ვიცო, ლაღადებს თქვენი პირით ნამდვილი სიბრძნე;
მაგრამ მისდამი ღრმა სიძულვილს გრძნობს ჩემი სული,
როდესაც იგი დაქინებით თხოულობს სისხლსა.
გთხოვთ მოიფიქროთ, მილორდ, უფრო კეთილი რჩევა...
მილორდ შრუსბერი, მოგვახსენეთ აწ თქვენი აზრი.

ტალობოტი

შენ ღირსეული შეფასება მიეც ბერლვის
ერთგულ გულისთქმას, თუმც არ ძალმიძს ავამეტყველო
ენა ჩუც მასებრ მიმზიდველად, მაგრამ შენდამი
არანაკლები ერთგულებით ძვერს ჩემი გულიც.
დიღანს იცოცხლე, დედოფალო, შენივე ხალხის
სასიხარულოდ, რომ ამითი გაახანგრძლივო
ამ სამეფოში მშვიდობა და ბედნიერება.
ასე კარგი დრო ამ ჩვენს კუნძულს ჯერ არ უნახავს
მას შემდეგ, რაც მას განაგებენ თავის მეფენი.
დე ჩვენს ქვეყანას სიმშვიდე და ბედნიერება
სახელის ფასად არ ეყიდოს. თუ ეს მოხდება,
დე მანამდე დაიხუტონ ტალობოტის თვალნი.

ელისაბედი

ღმერთმა დავეისნას, რომ მის სახელს ჩვენ ჩირქი მოვცხოთ-

ტალობოტი

მაშინ შენ უნდა ნახო სხვა რომ გამოსაეალი
ამ სახელმწიფოს დასახსნელად, რადგანაც დასჯა
სტიუარტისა არის ძლიერ უმართებულო
საშუალება. არ ძალმიძს მას, ვინც ქვეშევრდომი
არაა შენი, განაჩენი გამოუტანო.

ელისაბედი

მაშინ შემცდარან ჩემი საბჭო და პარლამენტი,
აგრეთვე ჩემი ქვეყნის ყველა სასამართლონიც,
რომელთაც ერთხმად მომანიჭეს შე ეს უფლება.

ტალობოტი

სამართალს როდი ნიშნავს ხმათა უმრავლესობა,
არცთუ მსოფლიოს წარმოდგენს ინგლისი ჩვენი
და პარლამენტიც არ აერთებს კაცთ ყველა მოღვმას.
დღეის ინგლისი ის არ არის, რაც ხვალ იქნება
და უფრო მეტად არცთუ ისა, რაც გუშინ იყო...
როგორც იცვლება ხალხის სულის მიდრეკილება,
ასევე მისი განსჯის ტალღაც დაუდგრომელი
ხან ზეაიწვეს ადელეებით, ხან ძირს ეცემა.
ნუ იტყვი, რომ შენ ხალხის თხოვნა, საჭიროება
იძულებულს გხდის მათ უთოოდ დაემორჩილო.
რაწამს ისურვებ, იმავე წამს დარწმუნდები, რომ
თავისუფალი არის შენი ნება-სურვილი.
სცადე! აუხსენ შენ ქვეშევრდომთ, რომ სისხლი გზარავს
რომ გსურს საკუთარ დის სიციცხლე გადაარჩინო.
ხოლო იმათ კი, შენ რომ სხვაგვარ რჩევაა გაძლევენ,
უჩვენე შენი ხელმწიფური, ნამდვილი რისხვა.
სწრაფად გააქრობ გარდაუვალ საჭიროებას
და სამართალი გადიქტევა უსამართლობად.
ეს საქმე უნდა შენ განსაჯო, შენ თვითონ მარტომ.
ვერ დაეყრდნობი ამ სუსტსა და მერყევე ლერწამზე,
ენდე უშიშრად შენს საკუთარ ნაზ გულისთქმასა.
სასტიკი როდი შეუქმნია ლქერტს ქალის გული...
ამ სახელმწიფოს ფუქემდებელთ, რომლებმაც ქალსაც
ხელში ჩაუგდეს მმართველობის სადავეები,
ჩვენ დაგვანახვეს, რომ სიმკაცრე არ უნდა იყოს
ამ სახელმწიფოს მბრძანებელთა სათნო ბუნება.

ელისაბედი

ჩემი და ჩემი ქვეყნის მტერი ძალზე მხურვალე
დამცველს ჰოულობს გრაფ შრუსბერში. მე ვაშჯობინებ
მრჩეველს, რომელიც გაიხარებს ჩემი სიკეთით.

ტალობოტი

დამცველი იმას არჩენ მისცეს, ვერვინ გაბედა,
რომ ერთი სიტყვა ეთქვა იმის დასახმარებლად,
შიშობდნენ, თქვენი რისხვა თავზე არ დაეტხათ...
მე კი, მოხუც კაცს, მისულს უკვე სამარის კართან,

როს ველარ მაცდენს მე იმედი ამქვეყნიურში,
ნება მიბოძე, განკიცხული ქალი დავიცვა;
ნურაჲინ იტყვის, რომ პირად თავმოყვარეობას,
ან რამე ვნებას შენს საბჭოში თავის ხმა ჰქონდა,
იქ სიბრალული იყო მხოლოდ დაღუპებულნი.
ყველაფერი მის წინააღმდეგ შეერთდა თითქოს.
რაც აქაა ის, ჯერ პირისპირ არც კი გინახავს,
და შენი გული უტახოსათვის არაფერს ამბობს.
...მე არ ვკამათობ. რომ ის მართლაც დამნაშავეა.
ლაპარაკობენ, თავის ქმარი მოაკვლევინა,
ისიც სწორია, რომ ის მკვლეელი მან ქმრად შეირთო.
ეს უშიშესი ცოდვა არის, მაგრამ ეს ძობდა
უბედურებით აღსასვე და მწუხარე დროში,
როცა მეფობდა შინაური შფოთი და ბრძოლა,
როს სუსტი არსი, ამბობებულ ქვეშევრდომებით
გარშემორტყმული, მამაც ვეჯაცს მკერდზე მიეყრდნო.
თუმცა, ვინ იცის, ის ბოტველმა რა ჯადოსნობით
დაიყოლია? — ქალი სუსტი არსება არის.

ელისაბედი

არა, არაა იგი სუსტი. ძლიერნი სულნი
იმყოფებიან ქალთ შორისაც და ჩემს წინაშე
უადგილოა ლაპარაკი მის სისუსტეზე.

ტალბოტი

სასტიკი სკოლა გაიარე უბედურების.
არ გიღიმიდა სიხარულით შენ ეს ცხოვრება.
შორ მოშავალში ხედავდი შენ არა სამეფო
ტახტსა და სიპტრას, არამედ ბნელ სამარეს მხოლოდ.
ვლდსტოკისა და ტოიერის უკუნ ლამეში
ჩვენი სამშობლოს მზრუნველმა და მოწყალე მამამ
სასტიკი ტანჯვით შეგასწავლა მოვალეობა.
იქ შენამდე ვერ მოაღწია ფარისეველმა,
დამორბეულმა ქვეყნიური ხმაურისაგან,
აღრე ისწავლე ღრმად ჩახედვა საკუთარ სულში
და იმის კარგად დაფასება, რაც ქვეყანაზე
ყოველივეზე ძვირფასია. — ის საბრალეო კი
ღმერთმა არ იხსნა... სტიჟარტი ბავშვობიდანვე
ფრანგთ ქვეყანაში გააგზავნეს, საღ იზრდებოდა
56

ფუქსავატური სიხარულით გარემოცული.
იგი სასახლის გამუდმებულ ღბინს და ზეიმში
სად მოისმენდა ხმას ნამდვილი ქვეშაირების?
თავის ცოდვათა ბრწყინვალეობით დაბრმავებული,
მსხვერპლი შეიქნა დამლუპველი მდინარებისა.
იგი, მფლობელი მედიდური მშვენიერების,
ჩრდილავდა ყველას და იმისი ლამაზი სახე
დაბლა არ იდგა მის დიდებულ წარმოშობაზე.

ელისაბედი

გონს მოდიო, შრუსბერ, გაიხსენეთ, რომ ჩვენ აქ ვსხედვართ
და სერიოზულ საკითხზე ვებრძობ. უმაგალითო
უნდა იყოს ეგ სილამაზე, რომ თვით მოხუციც
ასეთი ცეცხლით აანთოს და მოაჯადოვოს.
— მილორდ ლისტერი! თქვენლა სდუმხართ? იქნება იგი,
რაიც შრუსბერს ხდის მკვერმეტყველად, თქვენ ენას გიბამთ?

ლაისტერი

დედოფალო, მე ვდუმვარ ნხოლოდ გოცებისგან,
რომ საშინელი ამბებით შენ ყურს გიქედავენ.
რომ ამ ზღაპრებმა, რომლებითაც ჩვენი ქალაქის
გულუბრყვილო ბრბო შიშს ეძლევა, სასახლის გულშიც
შემაღწიეს, დაეუფლენ ისინი ბრძენთაც.
ვამოგიტყდები, ძალიან ვარ განცვიფრებული,
რომ ეს საბრალო დედოფალი შოტლანდიისა,
ვინც სულ პატარა თავის ტახტიც კი ვერ დაიცვა,
ისე საშიშრად გადიქცა, რომ ყველას აძრწუნებს,
ვინც გახდა ვასალთ სათამაშოდ და დასაციარად,
და ვინც მისივე სამეფოდან გამოაძევეს,
აწ შეპყრობილი ასე გაფრთხობს, ასე გაშინებს!
ო, ღმერთო ჩემო, რით გაშინებს შენ იგი ასე?
იქნებ იმით, რომ აღიარებს თავის უფლებას
ინგლისის ტახტზე? ან გიზები რომ არა გცნობენ
ბრიტთა დედოფლად? გიზები თუ შეასუსტებენ
უფლებას, რაც შენ მოგენიქა დაბადებითვე
და პარლამენტმა განამტკიცა შენს სასარგებლოდ?
მას არ წაერთვა ყოველგვარი უფლება ტახტზე?
ნუთუ ინგლისი, აწ ახალი სარწმუნოების

შუქით მოსილი, ხელს გაუწვდის პაპისტებს ისევ?
იქნებ გგონიათ, ინგლისელი მკვლელს დარწმუნებისას
თავის საყვარელ მბრძანებელ ქალს ამჯობინებენ?
ნეტავ რა სურთ ამ მოუსვენარ ადამიანებს,
მემკვიდრისათვის რომ სულს გზდიან სიცოცხლეშივე,
მოუთმენლად რომ გაჩქარებენ მეუღლის შერთვას,
რომ ამით იხსნა ეკლესია და სახელმწიფო?
ნუთუ არ ჰყვავი შენ მხნეობით ახალგაზრდულობით,
ის კი ღლითი ღღე სამარგის არ უახლოვდება?
ვფრცავ ლეთაებას, იმედი მაქვს, მისი საფლავი
ფეხითა სთვლო შენ მრავალ წელს, არა გპირდება
შენივე ხელით სამარეში ჩააგდო იგი.

ბერლეი

ლორდ ლაისტერი არა სჯიდა ყოველთვის ასე.

ლაისტერი

მართალი არის, მე მივეც ხმა სასამართლოში
მისი სიკვდილით დასასჯელად. მაგრამ ახლა სხვას
ვლაპარაკობ აქ, სახელმწიფოს საბჭოში, რადგან
აქ სამართალს კი არ ეხება სიტყვა, არამედ
მხოლოდ იმას, თუ ეს რამდენად სასარგებლოა.
ახლა რის უნდა გვეშინოდეს, როს ნიატოვა
ის საფრანგეთმაც, ერთადერთმა დამცველმა მისმა,
როს საფრანგეთის ხელმწიფის შვილს ხელის მიცემით
აბედნიერებ და ინგლისსაც აიძვებდა, რომ
სამეფო შტოთი ააყვავო. მაშ რაღა უნდათ
მისი სიკვდილი? სტიუარტი მკვდარია ისევ.
ზიზლი მისდამი — ქეშმარიტი სიკვდილი არის,
მხოლოდ უფროსი, თანაგრძობამ არ აღადგინოს
იგი ახალი სიცოცხლისთვის. ჩემი რჩევაა:
ძალაში დარჩეს განაჩენი გამოტანილი.
მან კი იცოცხლოს, ღე იცოცხლოს ჯალათის ცულქვეშ
და ძირს დაეშვას ცული წაჰსვე, რაწამს იარაღს
მისი გულისთვის მომავალში აღმართავს ვინმე.

ელისაბედლი

(ღება)

მე მოვიმინე, მილორდებო, თქვენი აზრები,
მადლობას გწიავთ უდიდესი ერთგულებისთვის.

58

ლეთის შეწვევით, რაც ნათელსა ჰქენს მეფეთ გონებას,
მსურს ჩაუჟვირდე თქვენს საბუთებს და ავირჩიო,
იგი, რომელიც უკეთესად მომეჩვენება.

ამითხა ვამოსვლა

ი გივენი. რაინდი პოლეთი, მორტიმერთან ერთად

ელისაბედლი

აი, პოლეთიც მობრძანდება. ღირსეულო სერ,
რას გვეტყვით ახალს?

პოლეთი

დედოფალო უბრწყინვალესო!

ჩემი ძმისწული, სულ ახლახან დაბრუნებული
უცხოეთიდან, შენს ფეხებთან ემხოზა კრძალვით
და ერთგულების აღთქმასა სდებს კაბუჯურ გულით.
მიიღე შენ ეს მოწყალებით! ღე. დავაჟკა დღეს
ჩემი ძმისწული შენი უხვი წყალობის მზის ქვეშ.

მორტიმერი

(იჩოქებს ცალ მუხლზე)

დიდხანს იცოცხლოს დედოფალმა და მისი თავი
ბედნიერებამ და დიდებამ დააგვირგვინოს!

ელისაბედლი

ზე წამოდექით, კეთილ იყოს ჩამოსვლა თქვენი.
თქვენ დიდი გზა გაქვთ გამოვლილი. ყოფილხართ თურმე
რომში, პარიზში და რაიზში დაყოვნებულხართ.
თქვით, რალა სასჯელს გვიზადებენ მტრები ჩვენ კიდევ?

მორტიმერი

ღმერთმა არიოს ისინი და შენსკენ ნასროლი
მათი ისრები მსროლელისვე მკერდს მიუბრუნოს.

ელისაბედლი

ნახეთ მორგანი და ვერაგი ეპისკოპოსი
როსი?

მორტიმერი

მე ახლო გავიციანი ყველა ისინი, —
შოტლანდიდან განდევნილი, რომელნიც რაიმის
აღგენენ გეგმებს წინააღმდეგ ამ კუნძულისა.
მოვიპოვე-რა მათი ნდობა, შევედ მათ წრეში,
მათი ზრახვების დაწერილებით გამოსარკვევად.

პოლეტი

მას საიდუმლო წერილები გამოატანეს,
დაშიფრულები შოტლანდიის დედოფლისათვის.
ეს წერილი მან ჩვენ ვადმოგვცა ერთგული ხელით.

ელისაბედი

რა ზრახვები აქვთ მტრებს ახალი ჩვენს წინააღმდეგ?

მორტიმერი

თავზარი დასცა იმათ ცნობამ, რომ საფრანგეთმა
ზურგი აქცია, ჩვენთან შეიძრო კავშირი შეკრა.
ესპანეთზელა ამყარებენ ისინი იმედს.

ელისაბედი

სწორედ ასე მწერს ვალსინგენიცი.

მორტიმერი

და სწორედ იმ დროს,
როდესაც აქვთ ვაპირებდი გამოგზავრებას,
რაიმის მიიღეს პაპის ბულა, რომლითაც სიქსტი
ვატიკანიდან შენზე რისხვით ამხედრებულა;
მაღე იმ ბულას მოიტანენ ამ კუნძულზედაც.

ლაისტერი

მე იარაღი ინგლისს ახლა ვერ აათრთოლებს.

ბერლეი

ფანატიკოსთა ხელში იგი საშიშარია.

ელისაბედი

(გამომცემლად უპურებს მორტიმერს)
ბრალდა ვდებენ, რომ რაიმისს სასწავლებელში
იარებოდით და რწმენაც კი გამოიცივალეთ.

მორტიმერი

არ დაგიმაღავ, თვალთმაქცური სახე მივიღე,
ერთი სურვილით, სამსახურში გამოგდგომოდი.

ელისაბედი

(პოლეტს, რომელიც პაკეტს აძლევს)

ამას რას მადლებთ, რა არის ეს?

პოლეტი

ბარათი გახლავს,
გამოგზავნილი შოტლანდიის დედოფლის მიერ.

ბერლეი

(სწრაფად წასწვდება პაკეტს)

მომეცით მე აქ.

პოლეტი

(გადასცემს ბარათს დედოფალს)

მაპატიეთ, მილორდ ბერლეი!
მან მიბრძანა, რომ ჩემს დედოფალს საკუთარ ხელში
მივცე ბარათი. თუმცა იგი თავის მტრად მთვლის,
მაგრამ მე მხოლოდ მტერი ვარ მის დიდთა ცოდვათა.
ძალმიძს ხალისით ავუსრულო ყველაფერი, რაც
მოვალეობას ჩემს შეჰფერის.

(დედოფალმა ბარათი გამოართვა. ვიდრე იგი წერილს კითხულობს, მორტი-
მერი და ლაისტერი ერთმანეთს საიღუჭლოდ რამენიმე სიტყვას ეტყვიან)

ბერლეი

მისი წერილი,
აბა, რას უნდა შეიცავდეს? მხოლოდ საჩივარს,
რისგანაც უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენი დედოფლის
თანამგრძნობელ გულს.

პოლეტი

რასაც იგი შეიცავს, თვითონ
პირადად მითხრა. დედოფალს სთხოვს, რომ ნება დართოს
მასთან პირისპირ შეხვედრისა.

ბერლეი

(სწრაფად)

ო, არასოდეს!

ტალბოტი

რატომაც არა? უკანონო თხოვნა არ არის.

ბერლეი

ნება არა აქვს საზიზღარ მკვლელს, ვისაც დედოფლის
სისხლი სწყურია, უღირსია ვინც მისი ხილვის,
წარდგეს მოწყალე და ნეფური სახის წინაშე.
ვინც ერთგულია დედოფლისა, მისთვის კარგს ფიქრობს,
არ ძალუძს მისცეს რჩევა ეგრეთ მოლაღატური.

ტალბოტი

თუ დედოფალს სურს ბედნიერი გახადოს იგი,
მისი წყალობის ნაზ გულისთქმას თქვენ ხელს შეუშლით?

ბერლეი

მას მისჯილი აქვს! მოსაკვეთად ძვეს მისი თავი
ჯალათის ცულქვეშ. ჩვენს დედოფალს არ ეკადრება,
თვლით იხილოს დანაშაუვი სიკვდილმისჯილი.
თუ დედოფალი მოინებებს ნახვას იმისას,
ძალას დაჰკარგავს განაჩენი აუცილებლად,
რადგან დედოფლის სიახლოვეს წყალობა მოაქვს...

ელისაბედი

(წერილის წაკითხვის შემდეგ იჭმენდს ცრემლებს)

რა არის კაცი, ქვეყნიური ბედნიერება!
შეხეთ, აი რით დამთავრა ამ დედოფალმა,
ასე ზვიადად ვინც დაიწყო სიციოცხლე თვისი,
და ვინც უძველეს ქრისტიანულ სამეფოს ტახტზე
აღვლენილ იქნა, ვისაც უკვე თავისი ფიქრით,
სამი გვირგვინიც კი შეეძლო დაედგა თავზე!
ახლა ეს ენა სულაც არ ჰგავს იმას, რომელმაც
ინგლისის ლერბი მიითვისა და ნებას რთავდა
თავის სასახლის მლიქვნელთ მისთვის ეწოდებინათ
ორივე კუნძულის დედოფალი, ბრიტო მბრძანებელი
— გთხოვთ მაპატიოთ, მილორდებო, მე გული მტკიცია,
მწუხარებისგან შეპყრობილი სული მემღვრევა,
რომ, მიწიერი რაც კი არის, დიდხანს არა სძლებს,
რომ ბედლი კაცთა, ესდენ მკაცრი და საშინელი,
ჩემ თავსაც ასე მწუხარებით უახლოვდება.

ტალბოტი

ო, დედოფალი! თვით ღვთაება შეეხო შენს გულს.
დაემორჩილე, გაუგონე ძახილს ზეცისას!

მძიმე სასჯელით მოიხადა მან მძიმე ცოდვა,
დრო არის უკვე, მკაცრ გამოცდას მოეღოს ბოლო.
მოწყალე ხელი გაუწოდე ფეხქვეშ დატეხულს,
ვით ანგელოზი, შემოსილი შარავანდელით,
ჩაეშვი მისი საპატიმროს უკუნ ლაშვი.

ბერლეი

მტკიცედ დადექი, დედოფალო, დე ღირსსაქებარ,
ადამიანურ გრძობამ გზას არ გადაგაცდინოს.
საკუთარ თავსევე ნუ მოუსპობ თავისუფლებას,
რომლითაც ძალგისხ შეასრულო, რაც საქირია.
შენ არ ძალგისხ ის შეიწყალო, არ ძალგისხ იხსნა
ნუ დაიმძიმებ თავს საზიზღარ საყვედურით, რომ
ნიშნის მომგები, უდიდესი ზემოების გამს,
შენივე მსხვერპლის ხილვით თითქოს დაიტბე მზერა.

ლაისტერი

ნუ გადაცდებით საზღვრებს ჩვენსას, ძვირფასო ლორდნო.
ბრძენია ჩვენი დედოფალი და ჩვენი რჩევა
არა სჭირდება ღირსეულის ამოსარჩევად.
ორი დედოფლის ბაასს ნეტავ რა კავშირი აქვს
სასამართლოსთან, განაჩენის აღსრულებასთან?
კანონით არის სტიუარტი მსჯავრდადებული
და არა ნება-სურვილითა ჩვენი დედოფლის.
ელისაბედის დიდ სულს უფრო იგი შეჭვერის,
დაემორჩილოს თავის გრძობას, ლამაზ გულისთქმას,
როცა კანონმა ასე მკაცრი სახე მიიღო.

ელისაბედი

წაბრძანდით, ლორდნო, გამოეძებნით საშუალებას,
რასაც მოითხოვს სახელმწიფოს საქირობა
და მოწყალება, ერთმანეთთან შეთანხმებული.
ახლა — დამტოვეთ!

(ლორდები მივიან. კართან მისულ მორტიმერს მოიხმობს უკან.
სერ მორტიმერ, თქვენთან მაქვს სიტყვა!)

მეხუთე ბაგოსკლა
ელისაბედი. მორტიმერი
ელისაბედი
(უცქერის მორტიმერს გამომცდელი მხერით)

სერ, თქვენ გემჩნევით მამაცური გამბედაობა
და თქვენი ხნისთვის იშვიათი თავშეკავება.
ვინც თვალთმაქცობის ხელოვნება აღდრე დასძლია,
ის ასაკითაც არის უკვე მომწიფებული
და შეიმოკლა მან თავისი გამოცდის წლები.
დიდ გზაზე გიხმობთ თქვენი ბედი, ბეც მისანივით
ამასვე ვამბობ და ეს ჩემი წინასწარი თქმა
ძალმიძს თვითონვე აღვასრულო და ბედნიერგყოთ.

მორტიმერი

ო, დიდებული მბრძანებელო, რაც კი უნარი
გაძაჩნია მე, შენს სამსახურს შევწირავ მსხვერპლად.

ელისაბედი

თქვენ უკვე კარგად გაიცანით ინგლისის მტრები,
მათი ჩემდამი სიძულვილი აღარა ცხრება
და მათ სისხლისმღერელ, ვერაგ ზრახვას არ უჩანს ბოლო.
თუმც დღემდე მიცავს შემოქმედი ყოვლად ძლიერი,
მაგრამ გვირგვინი, თავზე მდგარი, მერყევა მუდამ,
ვიდრე ცოცხლობს ის, მათი კერპი, მათი იმედი.

მორტიმერი

რაწმს მიბრძანებ, ის ცოცხალი აღარ იქნება.

ელისაბედი

ახ, სერ! მჯეროდა შევეისრულე მიზანი უკვე,
მაგრამ იქვე ვარ, დაწყებისას სადაც ვიყავი.
მინდოდა კანონს ემოქმედა და ჩემი ხელი
არ გამერია იმის სისხლში, თუმც განაჩენი
გამოიტანეს, მაგრამ ავით მე რას მოგივებ?
განაჩენი ხომ უნდა იქნეს აღსრულებული
და განაჩენის აღსრულება მე უნდა ვბრძანო!

გაინც მე მხედება სიჭულვილი ამ საქმის გამო.
არ ვიცი, როგორ მივცე შე მას კეთილი სახე.
ყველაზე ძნელი კი ეს არის!

მორტიმერი

რატომ გაწუხებს,
ბოროტი სახე თუ ექნება თქვენს მართალ საქმეს?
ელისაბედი

კარგად ვერ იცნობთ ამ ქვეყანას. საქმეს განსჯიან
იმის მიხედვით, გარეგნულად გინ რასა ხედავს,
საქმის არსებას კი მსაჯული არა ჰყავს ქვეყნად.
მე ვერავის ვერ დავარწმუნებ ჩემს უფლებებში,
ამიტომ მინდა, რომ მუდმივი ექვის ქვეშ დარჩეს:
მიძევს თუ არა მის სიკვდილში რაიმე წილი
ასეთ ორკოფულ საქმიდან კი თავს ვიხსნით იმით,
თუ მოქმედება ბნელ წყვილილით დაიფარება.
ცუდი ნაბიჯი ის არის, რაც გამომეღაენდება,
რაც ფარულია, ის ამაოდ როდი ჩაივლის.

მორტიმერი

(გამომცდელად)

მაშინ ყველაფერს სჯობდა...

ელისაბედი

(სწრაფად)

დაიხ, ყველაფერს სჯობდა —

ჩემი კეთილი ანგელოზი გალაპარაკებთ.

ო, გააგრძელეთ, დაამთავრეთ, დირსეულო სერ.
თქვენ აღარ ხუმრობთ, საქმეს სულის სიღრვეში სწვდებით,
სულ განსხვავებით მოხუცებულ ბიძათქვენისგან...

მორტიმერი

(თავბარდაცემული)

თუ გაუმხილე რაინდს შენი ფარული ზრახვა?

ელისაბედი

ძალზე ვნანობ, რომ გავუმხილე.

მორტიმერი

შეუძლევ მოხუცს.

გაუბედავსა ხდიან წლები. შეუპოვარი
საქმე თხოულობს ახალგაზრდის გამბედაობას.

5. ფრიდრიხ შილერი.

ელისაბედი
(სწრაფად)

გაუ შემიძლია დაგავალოთ...

მორტიმერი

მსურს ჩემი ხელი

გამოგიწოლო, დაიხსენი სახელი შენი,
თუ კი ეს ძალგაძის...

ელისაბედი

ღიახ, ღიახ, თუ შევესწრები

ისეთ ღილას, როს გამაღვიძოთ ცნობით: „წუხელის
მოულოდნელად გარდიცვალა შენი მოსისხლე
მტერი, მარიამ სტიუარტი!“

მორტიმერი

იმედი გქონდეს.

ელისაბედი

როდის იქნება, მშვიდი ძილი რომ მეც მეღირსოს?

მორტიმერი

ახალი მთვარის გამოსვლამდე მოგისპობ მაგ შიშს.

ელისაბედი

სერ, მშვიდობითა ბრძანდებოდეთ! ნუ გეწყინებათ,
რომ ჩემ მადლობას ვფარავ ღამის ზესაბურველით.
ღუმბილი არის ბედნიერთა ღვთაება მუდამ
და უნაზესი, მჭიდრო არის ბორკილი ჩვენი,
როცა შეიცავს საიღუმლო რამ ამბავს იგი.

მამძვამ გაგოსვლა

მორტიმერი

(მარტო)

გასწი, შე ცრუო დედოფალო, მზაკვრობით საცსევე!
ვით შენ ატყუებ მთელ ქვეყანას, მე შენ გიმუხთლებ.
შენი ღალატი კემარტად კარგი საქმეა!
ნათუ მკვლელს ვმეპარ და ჩემს შუბლზე ამოიკითხე
ბოროტ საქმისთვის უსირცხვილო გაწაფულობა?
დაინდე ჩემს ხელს, ხოლო შენი უკან წაიღე.

გამოიჩინე თვალთმაქცური ლმობიერება,
ქვეყნის წინაშე წამოდექი უმანკო სახით!
და სანამდე შენ საიღუმლო მკვლელობის იმედს
ჩემზე ამყარებ, დახსნისათვის ჩვენ დროს მოვიგებთ!
შენ მე მიქალი განდიდებას და ძვირფას ჯილდოს
შორით მანიშნებ.— მაგრამ ჯილდოდ თუნდაც შენ იყო,
შენი ქალური მოწყალებით, არ ვიზამ აბას!
ვინ ხარ, საბრალოვ, თვითონ რა გაქვს, მე რას მპირდები?
არაფერია ქვეყნიური დიდება ჩემთვის!
სიცოცხლე არის მომზიბველი მხოლოდ მის გვერდით;
მხოლოდ მის მკერდზე სუფევს ზეცის ბედნიერება.
მის გარეშე მო დაფრინავენ ღალი იერით
ღმერთები გუნდად, დიდებულნი და მშვენიერნი;
ძალგაძის გაცემა უსიცოცხლო საჩუქრის მარტო
და იგი კი, რაც ჩვენს სიცოცხლეს ამკობს და ართობს,—
როდესაც გული მოხიბლული და მომზიბველი
სხვა გულს ნებდება ნეტარებით, თავდავიწყებით,—
ქალის გვირგვინი შენ არასდროს არ გამშვენებდა,
არც ერთ კაცისთვის არ მიგიზღავს ბედნიერება!
— ღე უნდა აქ ლორდს დავუცადო, რომ ეს ბარათი
გადავეცე იმას. საზიზლარი დავალებაა!
რატომღაც მე მაგ კარისკაცზეც არ მიმდის გული.
მე თვითონ ძალგაძის დავიხსნა ის, მე მარტომ თვითონ,
დე ჩემი იყოს სახელიცა, საფრთხეც და ჯილდოც!
(სურს წასვლა, წინ პოლეთი შემოხვდება)

მეშვიდე გაგოსვლა

მორტიმერი. პოლეთი.

პოლეთი

ჩაო, რა გითხრა დედოფალმა?

მორტიმერი

არაფერი, სერ.

მნიშვნელოვანი არაფერი.

პოლეთი

(უცქერის დაინებებით)

ო, გამიგონე,

გლუ და მოლიპულ გზით მიდიხარ, ძმისწულო ჩემო.
მომიბველია მოწყალეა დედოფალისა,
და ჭაბუკი კი პატივს არის დახარბებული...
არ გაგიტაცოს ხარბმა პატივმოყვარეობამ.

მორტიმერი

თვითონ თქვენვე არ მომიყვანეთ სასახლის კარზე?

პოლეტი

ჯობდა კი, რომ მე ეს არ მექნა. ჩვენი ღირსება
სასახლის კარზე როდი არის მოპოვებული.
გირჩევ, ძმისწულო, არ დაგიჯდეს ეგ მერე ძვირად,
მტყიცედ დაღეკი, სინდისიდან ნუ გადაუხვევ!

მორტიმერი

მაგას რას ფიქრობთ? რაზე ფრთხილობთ, რის გეშინიათ?

პოლეტი

შენ რაც არ უნდა განდიდებას შეგპირდეს იგი,
ნუ ერწმუნები ცბიერებას დედოფალისას.
როგორც კი საქმეს შეუსრულებ, ჩამოგშორდება
და, სახელი რომ უმწიკვლო ჰყოს, მაშინვე დაგსჯის
იმე სისხლიან საქმისათვის, რაც თვით გიბრძანა.

მორტიმერი

რომელ სისხლიან საქმეს ბრძანებთ?

პოლეტი

შორს თვალთმაქცობა!
მე კარგად ვიცი, რაც მოგთხოვა შენ დედოფალმა,
ის იმედოვნებს, რომ ჭაბუკი პატივმოყვარე
მის სურვილს უფრო შეასრულებს, ვიდრე მოხუცი.
და შენც შეპირდი? შეპირდი კი?

მორტიმერი

ო, ბიძაჩემო!

პოლეტი

თუ შენ ეგა ჰქენ, მაშინ სამგზის წყეული იყავ,
და შენ უარგყოს...
68

ლაისტერი

(შემოდის)

ღირსეულო სერ, მაპატიეთ,
თქვენს ძმისწულს უნდა რამდენიმე სიტყვა გადავცე.
მისდამი ჩვენი დედოფალი მოწყალე იქნა
და მიანიჭა სტიუარტზე ზედამხედველის
სრული უფლება. იმედი აქვს დედოფალს ჩვენსას,
რომ პატიოსნად...

პოლეტი

იმედი აქვს... ძალიან კარგი!

ლაისტერი

რასა ბრძანებთ, სერ?

პოლეტი

დედოფალი იმედს ამყარებს
მასზე და მე კი ვიპედოვნებ საკუთარ თავზე,
ჩემივე თავზე, ჩემს ორივე გახელილ თვალზე.
(გაღის)

მეჩვე გამოსვლა

ლაისტერი. მორტიმერი

ლაისტერი (გაოცებული)

რა დაემართა რაინდს ნეტავ, რაზე შეშფოთდა?

მორტიმერი

არ ვიცი... ალბათ, იმაზე, რომ მოულოდნელად
დედოფალი მე მაჯილდოვებს ასეთი ნცობით.

ლაისტერი

(უფროებს მორტიმერს გამოძვლი მხერით)

თუ იმსახურებთ, რაინდო, რომ მოგენდოს კაცი?

მორტიმერი

(ასევე)

მილორდ ლაისტერ, ამის კითხვა მე თქვენთვის მსურდა.

ლაისტერი

თქვენ გსურდათ რალაც საიდუმლო გაგენდოთ ჩემთვის.

მორტიმერი

ჯერ დამარწმუნეთ, რომ მე ძალიან ამის გაბედვა.

ლაისტერი

ლა თქვენს შესახებ ვინღა მომცემს სანდო რწმუნებას?
...ჩემი ასეთი უნდობლობა ნუ შეურაცხყოფთ!
ცხელად, ატარებთ ორგვარ სახეს სასახლის კარზე.
მათგან ერთ-ერთი უსათუოდ იქნება ყალბი.
მაგრამ მათ შორის რომელია ნამდვილი უფრო?

მორტიმერი

თქვენც ასეთივე მეჩვენებით, გრაფო ლაისტერი.

ლაისტერი

ნდობა პირველად რომელს გემართებს გამოვიჩინოთ?

მორტიმერი

ვისაც ეს ძალუძს გააკეთოს ნაკლებ გაბედვით.

ლაისტერი

ეს ნიშნავს, რომ თქვენ.

მორტიმერი

ო, არა თქვენ! ძლიერო ლორდო,
ჩვენებს თქვენსას შეუძლია გამანადგუროს,
ჩემი კი — აბა, რას შეიძლებს თქვენს წინააღმდეგ,
რას უზამს ის თქვენს მოწყალებას და ხარისხს თქვენსას.

ლაისტერი

სერ, ძლიერ ცდებით. ყოველივე დანარჩენში მე
ვარ აქ ძლიერი, მაგრამ ახლა, ამ საქმეში კი,
როდესაც უნდა საიდუმლოს თქვენსას გავენდო,
სასახლის კარზე მე ყველაზე სუსტი კაცი ვარ
და საზოგადო დაბეზღება წამსვე ძირს დამცემს.

მორტიმერი

როდესაც ჩემს წინ ყოველისშემძლე ლორდი ლაისტერი
ასე ძალიან იმეორებს თავს ღლიარებით,
მაშინ გაგებდავ ჩემ თავს მეტო ფასი დავადო,
და მივცე მე მას მაგალითი დიდსულოვნების.

ლაისტერი

აბა, გაბედვით თქვენ პირველმა, მეც გამოგყვებით.

მორტიმერი

(სასწრაფოდ ამოიღებს წერილს)

ამას გიგზავნით დედოფალი შოტლანდიისა.

ლაისტერი

(შეკრთება და სწრაფად წასწვდება წერილს)

გთხოვთ, სერ, ხმადაბლა ისაუბროთ... ახ, რასა ცხელად?
მისი სურათი!

(ჰკოცნის სურათს და ათვლიერებს მდუმარე აღტაცებით)

მორტიმერი

(წერილის კითხვის დროს დაძაბული ყურადღებით ათვლიერებს ლაისტერს)

მილორდ, ახლა მე თქვენი მჯერა.

ლაისტერი

(წერილის სწრაფად გადათვლიერების შემდეგ)

იცით თუ არა შინაარსი ამ წერილისა?

მორტიმერი

არა, არ ვიცი არაფერი.

ლაისტერი

უიშველია,

იგი გაგენლოთ...

მორტიმერი

არა, იგი არ გამნდობია.

მან მითხრა, რომ თქვენ ამიხსნიდით ამ ამოცანას.
ამოცანა კი ის გახლავთ, რომ გრავ ლაისტერი,
ელიაბედის საყვარელი და მარიამის
აშკარა მტერი, მოსამართლე ერთ-ერთი მისი,
სწორედ ის კაცი უნდა იყოს, რომლისაგანაც
დახსნას მოელის დედოფალი შოტლანდიისა.
ეს მართლაც ასე უნდა იყოს, რადგანაც თქვენი
თვალეები კარგად ამჟღავნებენ მისდამი გრძნობას.

ლაისტერი

ჯერ გამომიტყდით და მითხარით, რატომა ხდებით
ასე მხურვალე მონაწილე იმისი ბედის,
რით მოიპოვეთ მისი ნდობა?

მორტიმერი

მილორდ ლაისტერ,

ეს შემძლია თქვენ აგისნათ ძალიან მოკლედ.
რომში უარყავ ჩემი ძველი სარწმუნოება
და ახლა წვერად ვირიცხები გიზთა კავშირის,
როს ვბრუნდებოდი, კარდინალმა გამომატანა
მცირე ბარათი დედოფლისთვის გადასაცემად.

ლაისტერი

მე ვიცი უკვე, რომ თქვენ რწენა გამოიცვალეთ,
სწორედ მაგიტომ მოიპოვეთ ჩემს გულში ნდობა.
მოიტათ ხელი, მაპატიეთ ეპიანობა.
არ შემძლია, რომ სიფრთხილით თავს არ მოვექცე,
რადგან ბერლეს და ვალსინგენს კირივით ვძულვარ,
ვიცი, ფარულად ისინი მე მახეს მიგებენ,
ხომ შემდეგ მათი კაცი ყოფილიყავით
და მე ბადეში გაგებვით.

მორტიმერი

როგორ პატარა

ნაბიჯებსა დგამს დიდი ლორდი ამ სასახლეში!
გრათო, ძალიან მეცოდებით.

ლაისტერი

ლხენით ვებევევი

ჩემი ერთგული მეგობრის მკერდს, სად ძალმიძს ხანგრძლივ
თვალთმაქცობისგან საბოლოოდ გავთავისუფლდე.
ალბათ, გაოცებთ, სერ მორტიმერი, რომ ასე სწრაფად
გამოვიცვალე სტიუარტზე მე გული ახლა.
მე ის ნამდვილად არასოდეს არ მძულვებია.
მის მტრად გამხადა მხოლოდ დროის ძალმომრეობამ.
თქვენ იცით, ვიდრე ხელს მისცემდა იგი დარნლის,
ჩემთვის იყო ის განკუთვნილი, როცა ჯერ კიდევ
ბედი მოწყალედ უღიმოდა დიდებით მოსილს.
ცივად უარყავ მაშინ მე ეს ბეზნიერება,
ახლა კი ტუსაღს, მისულს უკვე სამარის კართან,
მე მას ვეძიებ, ჩემს სიცოცხლეს საფრთხეში ვაგდებ.

მორტიმერი

დიდსულოვნებაც ამას ჰქვია.

ლაისტერი

ამასობაში

სულ სხვანაირად შეტრილდა მდგომარეობა.
შგრძნობელი მქნა ჩემს პატივმოყვარეობამ.
ზურგი ვაქციე სილაშაზეს, ახალგაზრდობას,
მარისს ხელი მე პატარა მეჩვენებოდა,
მსურდა დედოფალს ინგლისისას დაეუფლებოდი.

მორტიმერი

ცნობილია, რომ ის ყოველი მამაკაცისგან
თქვენ განსხვავდება.

ლაისტერი

დიახ, თითქოს ეს ასე ჩანდა...

მაგრამ ათი წლის დაულალავ ცდის და საზიზღარ
შევიწროების შემდეგ... ო, სერ, მე გული ნიმდის!
უნდა ამ ხანგრძლივ წყენისაგან გავთავისუფლდე...
მე ბედნიერ კაცს მიწოდებენ, იკონდენ მაინც,
თუ როგორ ჯაქვებს შეპყრებენ შურიან თვალთ...
ათი ხანგრძლივი, მწარე წელი შევწირე მსხვერპლად
ზვიადი კერპის აუტანელ მედიდურებას,
ყოველ ცვლილებას, მის სულთნისებრ ენიანობას,
როგორც მორჩილი მონა. ფეხქვეშ ვეფინებოდი,
მის თვითნებობის სათამაშოდ გადაქცეული;
ხან მიყვავებდა, მეპყრობოდა ნაზი აღერსით,
ხან ქედმაღლური სიამაყით უკუჰაგდებდა,
მისი წყალობით და სიმკაცრით მე ერთნაირად
ვიტანჯებოდი, ვით პატიმარს, ეპიან მხვრით
მოთვალთვალებდა იგი ყველგან, ვით პატარა ბიჭს,
მართმევედა ხოლმე მე ჩვენებას და, როგორც მსახურს,
მლანძღავდა ურცხვად. ჰოი, ან კი ენა ვით ასწერს
მთელ ამ ჯოჯოხეთს.

მორტიმერი

მებრალებით, გრათო, ძალიან.

ლაისტერი

და საბოლოო მიზანთან კი ყველაფერს ვკარგავ!
ახლა სხვა მოდის, რომ წამართვას ნაყოფი იგი,
რომლის მოწყვეტას გულმოდგინედ ვცდილობდი დიდხანს.
მე ამ უფლებას, შოპოვებულს წლების მანძილზე,
ბელიდან მაცლის ახალგაზრდა მეთულე მისი!

ახლა ძირს უნდა გადმოვიდე მე იმ სტენიდან,
სადაც ებრწყინა ვიღაც ღილაკი, როგორც პირველი კაცი,
არა მარტო ხელს, არამედ მთელ მის წყალობასაც
ახლადმოსული წამართმევს მე. ელისაბედი
დღეაქცია, ის კი — ღირსი სუკარულია.

მორტიმერი

ეკატერინეს შვილია ის — და კარგ სკოლაში
აქვს შესწავლილი ხელოვნება ცბიერებისა.

ლაისტერი

ასე შემსხვრევა იმედები და ახლა ვცდილობ
ხელი ჩავვიღო ფიცარს ჩემი ბედნიერების
ნაშხვრევი გემისას და ჩემს მზერას ვაბრუნებ ისევ
ჩემი პირველი მშვენიერი იმედისაკენ.
კვლავ ჩემს წინ დადგა მარიამის ბრწინვალე სახე,
კვლავ მოიპოვეს სილამაზემ, ახლავაზრობამ
უწინ ჩემს თვალში დაკარგული თვისი უფლებმა.
გულმა დაჩრდილა ცივი პატივმოყვარეობა
და ვიგრძენ ახლა, თუ რა განძი დამიკარგავს მე.
შიშით შევეყურებ იმ უდიდეს უბედურებას,
რაშიც ჩავარდა სტიჟარტი ჩემი მიზეზით.
ჩემს სულში ისევ გაიღვიძა ტკილმა იმედმა,
რომ კვლავ შევიძლია მის დახსნას და მისაკუთრებას.
ერთგული ხელის შემწეობით მე მოვახერხებ
გაუვაგებინო, მასზე გული რომ შევიცვალე,
და ეს ბარათი, რომელიც თქვენ მე გადმომეცით,
მატუობინებს, რომ მაპატია მან ყველაფერი,
და ჯილდოდ თავის თავს მარგუნებს, თუ გამოვიხსენ-

მორტიმერი

მაგრამ არაფერს არ აკეთებთ მის დასახსნელად!
თქვენ ნება დართეთ, საპართალში მიეცათ იგი
და ხმა მიეცით საიკედელი განაჩენს მისას.
საქირო გახდა. სასწაული რომ მომადარაიყო
და მე, იმის მცველის ძმისწულს, კეშმარტების
ნაივლი მეგრძნო, რომ თვით ზეცას ვატკიანდიდან
წარმოგზავნა მისთვის ჩხსნელი მოულოდნელი,
თორემ ისე ხომ იგი თქვენსკენ გზას ვერ ვპოვებდა!

ლაისტერი

ახ, სერ, ეს ხომ მე მწუხარების ფასად დამიჯდა!
ამ დროს ტალბოტის ციხიდან ის ფოტარინგეიში
გადმოიყვანეს და იმისი დაცვა მიანდეს
სასტრჯ სიფხიზლეს მოხუცებულ ბიძათქვენისას;
მისკენ ყველა გზა ჩამკეტა; უწინდებურად
უნდა მედევნა მისთვის ისევ ქვეყნის წინაშე.
მაგრამ ნუ ფიქრობთ, რომ მე იმის ნებას მიეცემდი,
იგი სიკვდილით დავსაჯათ. იმედი მქონდა
და კიდევაც მაქვს, ავაცილო ასეთი საფრთხე,
ვიდრე დახსნისთვის აღმოჩნდება შესაძლებლობა.

მორტიმერი

აღმოჩნდა უკვე... თქვენი ნდობა კეთილშობილი
სამაგიერო პასუხს ითხოვს, გრაფო ლაისტერი.
თვითონ მე მინდა მისი დახსნა, სწორედ ამისთვის
ჩამოვედი აქ... ყველა ზომა მიღებულა.
თქვენი ძლიერი შეწყვეთა და დახმარებით,
ჩვენ მივიღწევთ და განვაპტივებთ სასურველ შედეგს.

ლაისტერი

რაო? ეგ რა სთქვით? ნუ მაშინებთ... როგორ? თქვენ გინდათ...

მორტიმერი

მე მინდა მისი საპყრობილე ძალით გავალო.
მომხრენიც მყვანან, ყველაფერი უკვე მზადაა.

ლაისტერი

თანამხრახველნიც გიშოვიათ! აჰა ვაგლახ-მე!
როგორ საფრთხეში გსურვებით ჩემი ჩათრევა!
და იმათ ჩემი საიდუმლოც იციან უკვე? .

მორტიმერი

ნუ შიშობთ, გეგმა შედგენილი იქნა უთქვენოდ,
შესრულებითაც ის უთქვენოდ შესრულდებოდა,
რომ მას თქვენ თავის გამომხსნელად არ აერჩიეთ.

ლაისტერი

მაშ შეგიძლიათ დამარწმუნოთ, რომ თქვენს კავშირში
ჩემი სახელი სულ არაა მოხსენებული?

მორტიმერი

გარწმუნებთ, არა! გრაფო, ასე რატომ ყოყმანობთ,
ამ ცნობის გამო, რომელიც თქვენ შველას გპირდებათ?!
თქვენ გინდათ იხსნათ სტიუარტი, დაისაკუთროთ,
და მეგობარსაც კპოულობთ აქ მოულოდნელად,
ზეცა გიგზავნით უახლოეს საშუალებას—
მაგრამ თქვენ უფრო შიშს ამქვანებთ, ვიდრე სიხარულს?

ლაისტერი

ძალით ვერაფერს ვერ გააწყობთ. გამბედაობა
საშიშარია.

მორტიმერი

დაყოვნებაც საშიშარია.

ლაისტერი

ამის გაბედვა არ ივარგებს, კვლავ გეუბნებით.

მორტიმერი

(გაცხარებით)

ეგ თქვენთვის, ვისაც გსურთ იმისი მისაკუთრება!
ჩვენ კი გვსურს მხოლოდ მისი დახსნა, ამიტომ ასე
არცა ვყოყმანობთ...

ლაისტერი

ძალზე ჩქარობთ, ყმაწვილო კაცო,
ასეთ საშიშარ, ბნელ და საფრთხილ საცეს საქმეში.

მორტიმერი

თქვენ კი ყოყმანობთ ამ ღირსეულ საქმეში ძლიერ.

ლაისტერი

მე ვხედავ ბაღეს, რომელშიც ჩვენ გახვეული ვართ.

მორტიმერი

მე ვგრძნობ სიმტკიცეს და მხნეობას მის გასახვეად.

ლაისტერი

ეგ სიმამაცე თავზე ხელის აღება არის.

მორტიმერი

ეგ სიჭკვიანე მამაცობა არ გახლავთ, ლორღო.

ლაისტერი

მოგსურვებით აღსასრული ბებინგტონისა?

მორტიმერი

თქვენ კი გმირობას ნორფოლკისას არ გსურთ წაბადოთ.

ლაისტერი

ნორფოლკს საცოლე თავისთან არ წაუყვანია.

მორტიმერი

მან დაამტკიცა, რომ ის ღირსი იყო ამისა.

ლაისტერი

დავიღუპებით, მასაც უკან თან გაიყოლებთ.

მორტიმერი

თუ თავს დავზოგავთ, მაშინ იგი ვერ გადაჩნება.

ლაისტერი

ყურად არ იღებთ რჩევასა და გონივრულ განსჯას,
გსურთ ძირს დაამხოთ, ველური და ბრმა გამმაგებით,
ყოველივე ის, რაც კარგი გზით წარმართულ იყო.

მორტიმერი

კარგი კი არის ეგ თქვენს მიერ გაყვანილი გზა?!
რა გააკეთეთ სტიუარტის გადასარჩენად?
და მაშინ, მე რომ ვყოფილიყავ ისეთი ბიჭი,
მომეკლა იგი, ვით მიბრძანა მე დედოფალმა
და რასაც ელის ის აწ ჩემგან? — აბა, მითხარით,
რას იზამდით თქვენ მის სიცოცხლის გადასარჩენად?

ლაისტერი

(გაცხებული)

ნუთუ ნამდვილად მე გიბრძანათ თქვენ დედოფალმა?

მორტიმერი

ის ჩემში შეცდა სწორედ ისე, ვით სტიუარტი
მოტყუვდა თქვენში.

ლაისტერი

და შეპირდით, თქვენ მას შეპირდით?

მორტიმერი

ელისაბედს რომ სხვისი ხელი არ მოესყიდა,
მე შევთავაზე ჩემი ხელი.

ლაისტერი

კარგი გიქნიათ.

ეგ დიდ გასაქანს ნოგვანიქებს, რადგან განაჩენს
აღსრულებაში არ მოიყვანს, სანამდე იგი
იმედოვნებს თქვენს სამსახურზე, ჩვენ დროს მოვიგებთ...

მორტიმერი

(მოუთმენლად)

აბა, დროს ვკარგავთ!

ლაისტერი

რაკი იმელს ამყარებს თქვენზე,

ელისაბედს ხელს არაფერი აღარ შეუშლის,
რომ ქვეყნის თვალში მოწყალეობა მოილოს მასზე.
აწ შეიძლება ემშაქობით მე მოვახერხო,
რომ თავის მტერი ინახულოს საკუთარ თვალთ,
და ეს ნაბიჯი უსათუოდ მას ხელს შეუტრავს.
ბერლეი ძალზე მართალია. როდესაც იგი
სტიუარტს ნახავს, განაჩენი ძალას დაჰკარავს.
— დიახ, ვცდი ამას, მთელ ჩემს ძალას გამოვიყენებ...

მორტიმერი

მერედა მაგით რას მიადწევთ? როს იგი ნახავს,
რომ მოვატყუებ და მარიამ კვლავ ცოცხალია,
ყველაფერი ხომ ძველებურად დარჩება ისევ
და სტიუარტს არ ეღირსება თავისუფლება.
ყველაზე დიდი მოწყალეობა. რასაც მიიღებს,
ეს სამუდამო პატივობა იქნება მხოლოდ.
მაშინ თქვენ უნდა დაამთავროთ მამაცურ საქმით.
რატომ არ გინდათ, რომ ასეთი საქმით დაიწყოთ?
ძალა ხელთა გაქვთ, რომ ისურვოთ და აამხედროთ
აზნაურობა, თქვენს უამრავ ციხეში მყოფი
უკვე ჯარია! სტიუარტსაც ბევრი ფარული
მეგობარი ჰყავს; პოვარდის და პერსის სახლებში,
თუმც ძირს დაეცნენ მოკვეთილი მათი თავები,
ბეკრი გმირია დარჩენილი, რომელნიც მხოლოდ,
ელთან, როდის უხმობს ვინმე ძლიერი ლორდი!

შორს თვალთმაქცობა! თქვენ აშკარა საქმე შეგფერთ!
აღდექით ისე, ვით რაინდი შეყვარებული,
და მტერს ეკვეთეთ მამაცურად მისი გულსთვის!
თქვენ ხომ ინგლისის დედოფალზე დიდი ძალა გაქვთ,
თუ მოისურვებთ. შეიტყუეთ ის თქვენს ციხეში,
ეჩვენეთ, როგორც მამაკაცი, და ესაუბრეთ.
ვით მბრძანებელი, ნუ გაუშვებთ, ვიდრე თანხმობას
არ განაცხადებს სტიუარტის გამოშვებაზე.

ლაისტერი

თქვენ მაოცებთ და თავზარს მცემთ... უგუნურებას
საით მიჰყვებართ? ამ ქვეყანას ნუთუ არ იცნობთ?
ნუთუ არ იცით, თუ რა ხდება ამ სასახლეში.
სადაც ამ ქალმა ყველა ქვეა ასე შებოჭა?
თქვენ გინდათ ჰპოვოთ ის გვირული სული, რომელიც
უწინდელ დროში ჩვენს ქვეყანას ამოძრავებდა?
ყველა დედოფლის ნორჩილია, სუყველაფერი
ამ ერთი ქალის გასაღებით გადაკეტილია
და ყოველნაირ გმირობას აწ ფრთა შეჰკვეცია.
მე დამიჯერეთ, სიმამაკეს ქუა ამშვენებს.
— ფეხის ხმა მესმის, წადით ახლა.

მორტიმერი

ის შევლას ელის!

როგორ დაებრუნდეთ ცარიელი ნუგეშით მასთან?

ლაისტერი

წაუღეთ ჩემგან ფიცი წრფელი სიყვარულისა!

მორტიმერი

თვითონ წაუღეთ! მე მის დახსნას ვემსახურები,
თქვენ სიყვარულის შიკრიკად კი არა ვქცევულვარ!
(გაღის)

მეცხამ გამონავლა

ელისაბედი. ლაისტერი

ელისაბედი

ეგ ვინ წავიდა თქვენგან, ვისთან ლაპარაკობდით?

ლაისტერი
(დელოფლის სიტყვებზე სწრაფად შემოტრიალდება. შეშინებული)
სერ მორტიმერი.

ელისაბედი
ლორდ ლაისტერ, რა გემართებათ?
როგორ შემკრთალი იმზირებით?

ლაისტერი
(თავის თავს ეფლუება)
შენი ბრალია!
გვრეთ წარმტაცი არასოდეს არ მინახავხარ.
დაბრმავებული ვლდევარ შენი სილაპაზისგან.
— ახ!

ელისაბედი
რატომ ოხრავთ?

ლაისტერი
საფუძველი განა არა მაქვს
ამ ოხერისათვის? როცა ვუშერ მაგ ლაპაზსახეს,
კვლავ მეუფლება მწუხარება გამოუთქმელი
იმის შიშისგან, რომ მე ვკარგავ...

ელისაბედი
რას, ჰკარგავთ, ლორდო?

ლაისტერი
მე ვკარგავ შენს გულს, შენს თავს, ჩემთვის ესოდენ ძვირფასს.
მაღე, სულ მაღე ჰაბუკი ქმრის მკლავნი მგზნებარედ
მოგებევთან, ბედნიერად თავს იგრძნობ მაშინ
და შენს გულს იგი მარტოდმარტო დაეუფლება.
იგი ხელმწიფის შვილი არის და მე კი — არა.
თუნდა წამოდკეს ჩემს წინაშე მოელი ქიყანა,
ერთი კი არეინ აღმოჩნდება მთელს მიწის ზურგზე,
ვისაც ჩემებრივ უყვარდე და თაყვანსა გკემდეს.
ანეუსი ჰკრცოგს ჯერ თვალთაც არ უნახავხარ,
მას ძალუმს მხოლოდ. რომ უყვარდეს ღიღება შენი,
მაგრამ მე თვითონ შენ მიყვარხარ. თუნდ მწყემსი გოგო
ყოფილიყავ შენ, მე კი — მეფე გვირგვინოსანი,
არ მივხედავდი მაგ შენ დაბალ მღგომარეობას
და გვირგვინს ჩემსას შენს ფეხებთან გადმოვისროლი.

ელისაბედი

გთხოვთ შემებრალოთ, ჩემო რობერტ, და ნუ გამიცხავთ!
მე ხომ ვერ ვბედავ, რომ საკუთარ გულს შევეციოთხო.
ახ! მაშინ ის სხვას აირჩევდა. როგორ შეენატრი
იმ დედაკაცებს, რომელთა ძალუძთ ის აღამალონ,
ვინც თვითონ უყვართ. არ ვარ ისე ბედნიერი მე,
რომ იმ მამაკაცს, ვინაც მიყვარს ყველაზე მეტად,
მეფის გვირგვინი თავს დაეადგა. სტიუარტი კი
წადილისამებრ გულის რჩეულთ უძღვნიდა თავის ხელს.
იმას ყველაფრის ნება ჰქონდა და ამიტომაც
ფსკერამდე შესვა სავსე თასი სიხარულითა.

ლაისტერი

ახლა კი ის სვამს თასს, აღსავსეს მწარე ნაღველით.

ელისაბედი

ყურს არ უგდებდა იგი ხალხის შეხედულებას,
მსუბუქ ცხოვრებას ეწეოდა ლხენით აღსავსე
და ჩემებრ მას არ ამძიმებდა ტანჯვის უღელი.
მეც არანაკლებ შემეძლო, რომ ჩემი უფლება
მომეხოვრა ამ ცხოვრებაზე და დამტკბარიყავ
ამ ქვეყნიური სიხარულით, მაგრამ მე მუდამ
ვამჯობინებდი მკაცრ, ხელმწიფურ მოვალეობას.
იგი ხიბლავდა გულს ყოველი მამაკაცისას,
მუდამ ცდილობდა, ყოფილიყო დიაცი მხოლოდ,
თავს ევლებოდა მას ჰაბუკიც, მოხუცებულიც.
მამაკაცები ავხორციები არიან მუდამ,
ფუქსავატობა, სიხარული იზიდავს იმათ,
არ აფასებენ, რასაც უნდა პატივსა სცემდნენ.
ხომ დაინახე, ტალბოტიც კი ჰაბუკად იქცა,
მის სილამაზეს ქების შესხმა როცა დაუწყო!

ლაისტერი

შეუნდეთ მოხუცს. იგი იყო მის მეთვალყურედ;
სტიუარტმა ის თვალთმაქცობით გაასულელა.

ელისაბედი

ნუთუ ნამდვილად ის ასეთი მშვენიერია?
იმდენი ქება მსმენია მის სილამაზეზე,

6. ფრიდრიხ შილერი.

მინდა დავრწმუნდე, შევამოწმო საკუთარ თვალთ.
სურათი მუდამ მაცდურია, აღწერაც ტყუის,
მე მხოლოდ ძალმიძს დავერწმუნო საკუთარ თვალებს.
— რა უცნაურად შემომტკერით?

ლაისტერი

ჩემს ფიქრში ახლა,

დედოფალო, შენ მარიაჩის გვერდით გააუნებ
და სიხარულით ვინატრებდი, არ ვმაღავ ანას,
მთლად საიდუმლოდ მიმხდარიყო როგორმე ისე,
რომ სტიუარტი საკუთარი ივალთ გენახა.
მაშინ პირველად დასტკებობდი სრულ გამარჯვებით!
დე მას დარცხვენისს დაენახა საკუთარ თვალთ —
რადგან შურს მუდამ გააჩნია მახვილი მზერა, —
როგორ სჯობიხარ შენ ჩას სახით და გაჯცგნობით,
რომ არა ვთქვა რა მასზე, თუ ვით აღვმატებო
მას დანარჩენი ღირსებით და სათნოებითა.

ელისაბედი

იგი ასაკით უმცროსია ჩენზე.

ლაისტერი

უმცროსი!

შეხედულებით უმცროსს სულაც არა ჰგავს იგი.
თავის ასაკთან შედარებით ის დიდი მოჩანს.
მერედა როგორ იგრძნობს მწარე შეურაცხყოფას,
როცა გიხილავს, ვით დანიშნულს, როგორც საცოლოს!
იგი, მთლად იმედწარბოცილი. როცა შეგხედავს,
თუ როგორ ხედები კარზე მომდგარ ბედნიერებას
აწ, ვით საცოლო საფრანგეთის ტახტის მემკვიდრის!
თეთონ ხომ მუდამ ფრანგთა რძლობით ამპარტავნობდა,
ახლაც მიადგეს იმათ კარზე დახმარებისთვის!

ელისაბედი

(დაუფიქრად)

თავს მახეზრებენ, რომ ენააო ის.

ლაისტერი

(ცოცხლად)

ვით მოწყალებას, შენ სასჯელად გიბთხოვს ნახვას,
შეგიძლია მას ეშაფოტზე მოჰკვეთო თავი,
82

მაგრამ იმისთვის ეს იქნება სასჯელი მცირე,
ვიდრე ის, რომ მას ამ შეხვედრით თავზარი დასცე.
ამით მას მოჰკლავ, ვით მას მოკვლა უნდოდა შენი.
როს თვალს შეაღებებს იგი მაგ შენს მშვენიერებას,
მგრწყინავს უმანკო სათნოებით და სილიადით, —
რაც თვით განუსჯელ ტრფიალებას შესწირა მსხვერპლად, —
მაგ სილამაზეს, დიდებული გვირგვინით შემკულს
და საპატარძლო კდეებით მოსილს, — აუტილებლად
მისი დალუბვის უცქველი საათი დაჰკრავს.
შეგყურებ ახლა და ვრწმუნდები ეგრე არასდროს
ძლევამოსილი სილამაზით არ გიბრწყინია.
წელან ოთახში რომ შემოხვედ მოულოდნელად,
შემომადრქევიე მაგ დიდებულ სხივთა ნათელი...
სწორედ ახლა რომ წამდგარიყვ ასეთი სახით
შენ მის წინაშე, ამაზე კარგ დროს ვერც ჰპოვებდი.

ელისაბედი

ახლა... ო, არა... ახლა არა... არა, ლაისტერ...
ჯერ კარგად უნდა მოვიფიქრო ამის შესახებ...
მე მინდა, რომ ჯერ ბერლისთან...

ლაისტერი

(სწრაფად შეაწყვეტინებს)

ახ! ბერლისთან!

იგი ყოველთვის ფიქრობს მხოლოდ სახელმწიფოსთვის,
მაგრამ შენს ქალურ ბუნებასაც ხომ აქვს უფლება,
აქ შენს გულსა აქვს განსჯის ნება და არა იმას...
ამ დიდსულოვან ნაბიჯით შენ უფრო მოიგებ
გარეშეთ თვალში, რადგან მსგავსი დიდსულოვნება
პოლიტიკისთვის უფრო მეტად სასურველია!
მერეც შეიძლებ, რა გზითაც კი მოგესურვება,
მაგ საზიზღარი მტრისგან მალე განთავისუფლდე.

ელისაბედი

შეუფერებელ იქნებოდა, რომ ნათესავი
დამცირებული, გასაქირში მყოფი, შენახა.
ამბობენ, რომ ის დედოფალურად აღარა ცხოვრობს,
და მე იმისი გაქირვება, ვით საყვედური,
პირდაპირ თვალში მეტეპოდა.

ლაისტერი

არა გჭირდება

მისი ბინის ზღურბლს ოდნავადაც მიუახლოვდე.
მისმინე რჩევა: შემთხვევა ჩვენს სურვილს დაემთხვა-
დღეს უდიდესი ნადირობა უნდა მოეწყოს
და გზა გაივლის ფოტორინგის ციხის მახლობლად,
სტიუარტს ძალუძს სასეირნოდ პარკში გამოსვლა.
და შენც გაივლი იქით თითქოს მოულოდნელად;
რომ წინასწარი მომზადების ნიშანწყალიც კი
არ გემჩნეოდეს, თუ მოგსურდეს, გაესაუბრე,
თუ არა, — ისე გაიარე...

ელისაბედი

ამ სისულელეს

ჩავიდენ, თუმცა დამნაშავე ამაში თქვენ ხართ.
არ მინდა, რომ დღეს რაიმეზე უარი გითხრათ,
რადგანაც ყველა ჩემს ხელქვეითთ, ქვეშევრდომთ შორის
გული გატკინეთ დღეს თქვენ უფრო ყველაზე მეტად.

(ნახად შეხედავს)

დაე იყოს ეს თქვენი ღინი. ამაშიც ცხადად
ჩანს სიყვარული, თავისუფლად თქვენ რომ გრთავთ ნებავს
იმ წყალობაზე, რაც არ იწვევს მის მოწონებას.

(ლაისტერი ემზობა დედოფლის ფერხით. ფარდა ეწეება.)

მოქმედება მესამე

პარკი, წინ — ხეებით, უკან — ფართო ხედი

პირველი გამოსვლა

მარიაში სწრაფად გამობრბის ხეებიდან. ანა კენედი
მოსდევს ნელა.

კენედი

ისე იჩქარით, თითქოს ფრთები გქონდეთ შესხმული,
მე აღარ ძალმიძს დაგეწოთ, დაიცაო ცოტა!

მარიაში

გამიშვი, დავტყებ მე ახალი თავისუფლებით,
გამიშვი, ბავშვად გადავიქცე, გადიქეც შენაც!
მწვანე მდელოზე გაფენილა ყვავილთ ღრუბლები,
მსურს გადავუქროლო და ჩიტივით დავიწყო ფრენა.
ნუთუ მე მართლა აღარ მფარავს სამარე ბნელი?
ნუთუ მე თავზე აღარ მხურავს ჯურღმულის თალი?
დამაცა ცოტა, დავიოკო წყურვილი მწველი
და ხარბად შევსვა ცის ჰაერი ამო და ლალი.

კენედი

ძვირფასო ლედი, რატომ სცდებით! ეს საპყრობილე
ზბოლოდ ცოტათი გაფართოვდა. თქვენ ვერა ხედავთ
ვალაუნის კედლებს, გარეშემო ჩვენ რომ გვარტყია,
რადგან მათ ჰფარავს ამ ხეების ფოთლები ხშირი.

მარიაში

მწვანე ხეებო, ჰოი, რარიგ ვარ მადლიერი,
ჩემგან რომ მაღავთ მაგ ვალაუნს ბნელ საპყრობილის!
მინდა ოცნებით მაინც ვიყო კვლავ ბედნიერი,
მაშ რატომ უნდა განვიშორო სიზმარი ტკბილი?

განა შორიდან არ მეხვევა ცა მობრწყინვალე?
ჩემს თავისუფალ, შეუბოქავ და მახვილ თვალებს
უსახლორო სივრცე რად იზიდავს სწრაფვით ძლიერით?
იქ, სადაც რუხი ნისლის მთები ცაღ მალღლებიან,
იწყება ვრცელი ნაპირები ჩემი მზარისა
და ეს ღრუბლები სამხრეთის გზით ეშურებიან
საფრანგეთისკენ, შორ სივრცეზე ოკეანისა.
ღრუბლებო, მუდამ რომ მიჰქრებიართ შორს გამძაფრებით!
ვის მოსცურავდა თქვენთან ერთად გაშლილ აფრებით?
ჩემი სალამი გადაეცით იმ ლამაზ მზარეს,
სად უზრუნველი ქალწულობა მე გავატარე!
შეპყრობილი ვარ, საპატიმროს თაღები ნხურავს,
აბა, თქვენს გარდა, ვის გავგზანგი იქ მოციქულად!
თქვენ ყველგან დაჰჭრით თავისუფლად ფრთა გაშლილები
და ამ დედოფლის ბრძანებას არ ემორჩილებით.

ქენელი

ძვირფასო ლედი! თქვენ დიდი ხნის გადაჩვეული
თავისუფლება ჰკუთს ვიბნევთ, მეოცნებელ გზდით.

მარიამი

აგერ, მეთევზე ამზადებს ნავსა.
მე ვგ საბრალო მცირე ნაეცი კი დამიხსნიდა
და მიმიყვანდა მეგობრებთან ტყვექმნილს დიდ ხნისას.
ძალიანა ჰგავს ის ღარიბ კაცსა.
ნავს დაეტყირთავდი მე განძით ხელად,
ასეთ მგზავრობას ვერ ნახავდა იგი მის დღეში,
ბედნიერებას იპოვიდა თავის ბადეში,
რომ შეიძლებდეს იგი ჩემ შევლას.

ქენელი

ვგ სურვილები ამოა! განა ვერ ხედავთ,
რომ ჯაშუშები მოგვდევენ და გვითვალთვალევენ?
უსაშინლესი გაფრთხილება, აკრძალვა აფრთხობს
ყველა ლმობიერ გულის პატრონს ამ ჩვენი გზიდან.

მარიამი

ო, არა, ჩემო კარგო ანა. მჯერა, ამოვღ
არ გაღებულა კარი ჩემი საპყრობილისა.
მცირე წყალობა მაუწყებს დიდ ბედნიერებას.

მე არა ვცდები. სიყვარულის მოქმედმა ხელმა
ჩაიღინა ეს და მეც უნდა მას ვუმადლოდე.
მასში მე ვხედავ მძლავრ გავლენას ლისტერისას,
სურთ, რომ თანდათან ჩემი ციხე გააფართოვონ,
მით შემაჩვიონ პატარიდან დიდისკენ სვლასა,
ვიდრე პირდაპირ არ შევხედავ სახეში მე მას,
ვინც ბოროკილთაგან სამუდამოდ მათავისუფლებს.

ქენელი

ახ, აღარ ძალმიძს მე მაგაზე შეგეკამათოთ!
გუშინ გაუწყეს განაჩენი სიკვდილით დასჯის,
დღეს მოგანიჭეს ასე უცბად თავისუფლება.
მაგრამ მე ისიც გამიგია, რომ ბოროკის ხსნიან
მას, ვისაც ელის საუკუნო თავისუფლება.

მარიამი

გესმის ბუკის ხმა და ყოყინა წამლები სმენის,
მონადირეთა შეძახილი, ცხენთა თქარუნნი?
ჰოი, ნეტავი მომცა ახლა მეც ფიცხი ცხენი,
გავაჭენებდი ერთხელ კიდევ გულმზიარული.
კიდევ გაისმის! ჰოი, ხმებო ყურს მიჩვეულო!
ტკბილო ბგერებო, გულს შეუწითეთ ტკივილის ალი.
ხშირად გისმენდით სიხარულით, აღლევებითა,
ჩემი საყვარელ შოტლანდიის მთა-ველებიდან,
როს გაისმოლა ნადირობის ხმა დაუმცხარო.

გიორგი ბაგოსვლა

აოლეტი. იგოვენი

პოლეტი

ბოლოს ხომ კარგი ვქენ, მილელი? ერთხელ ხომ მაინც
ვიმსახურებ მე თქვენს მადლობას?

მარიამი

როგორ, რაინდო?

მაშ თქვენ ხართ იგი, ეს წყალობა ვინც მომიხერხა?
თქვენ იმსახურებთ ამ მადლობას?

პოლეტი
რატომაც არა?

მე სასახლეში ვიყავი და თქვენი წერილი
გადავეცი ჩვენს დედოფალსა...

მარიამი

თქვენ გადაეცით?

თქვენ ეს ნამდვილად ჰქენით? და ეს თავისუფლება,
რომლითაც ვტყბები, ნაყოფია იმ წერილისა?

პოლეტი

(მნიშვნელოვნად)

არა მარტო ეს, მოემზადეთ უფრო დიდისთვის!

მარიამი

უფრო დიდისთვის? რას გულისხმობთ თქვენ ამ სიტყვებში?

პოლეტი

გესმით ბუკის და ნალარის ხმა?

მარიამი

(წინათგრძნობით შეპყრობილი დაიწვეს უკან)

სერ, თქვენ მაშინებთ!

პოლეტი

ამ ადგილებში დედოფალი ნადირობს...

მარიამი

როგორ?

პოლეტი

სულ ნციორე ხანში წარმოსდგება ის თქვენს წინაშე.

კენედი

(ისწრაფის აკანკალებულ მარიამისკენ, რომელიც ფეხზე ძლივს დგას)

ძვირფასო ლელი, რა შეგემთხვიათ! როგორ გაფითრდით!

პოლეტი

ახლაც არა ხართ კმაყოფილი? განა თქვენ თვითონ
არ ითხოვეთ ეს? თქვენი თხოვნა აღრე შესრულდა,
ვიღრე ფიქრობდით. თქვენ ყოველთვის მკვივრმეტყველებდით.

88

აწ მოიშველეთ თქვენი სიტყვა. ლაპარაკის დრო
სწორედ ახლაა.

მარიამი

რატომ აღრე არ გამაფრთხილებთ!

ახლა მაგისტვის მზად არა ვარ. ო, ახლა არა!
რასაც აქამდე ვითხოვდი, ვით დიდ მოწყალებას,
ის ახლა მზარავს და მაშინებს... წამოდი, ანა,
შინ წამიყვანე, რომ აზრები შემოვიკრიბო
და დავისვენო...

პოლეტი

დარჩით. უნდა აქ დაელოდოთ.

მართლაც ძალიან შეგაშინებთ, ეგ მეცა მჯერა,
თქვენს მოსამართლეს პირისპირ რომ წარუდგეთ უცებ.

მესამე გამოსვლა

გრაფი შრუსბერი. იგივენი

მარიამი

ეგ სულაც არა! დმერთო, სულ სხვა მიზეზი არის...
ახ, თქვენ ბრძანდებით, გრაფ შრუსბერი! მაღალმა ზეცამ,
ვით ანგელოზი, ჩემს საშველად გამოგაგზავნათ!
... არ შემძლია მისი ნახვა! გთხოვთ, რომ დამიხსნათ
იმის საზიზღარ სახისაგან...

შრუსბერი

გთხოვთ, რომ დაწყნარდეთ, დედოფალო! შემოიკრიბეთ
მთელი მხნეობა. გადამწყვეტი წუთები არის.

მარიამი

ამას ველოდი... მრავალი წლის განმავლობაში
ვემზადებოდი ამისათვის... მე ყველაფერი
მრავალჯერ მითქვამს და ხსოვნაში ჩამიწერია,
რითაც შემეძლო აღელვება, ეოლობა მისი,
გადამავიწყდა ახლა უცებ მე ყველაფერი
და არაფერი აღარ ცოცხლობს ამეამად ჩემში,
გარდა ჩემ ტანჯვით აღგზნებული, მწვავე გრძობისა,
კვლავ სიძულვილს გრძნობს ჩემი გული დედოფლის მიმართ,

89

უკვე დამტოვა ყოველივე კეთილპა აზრმა,
და გარს მერტყმიან, როგორც გველნი, ჯაგარის რხევით
ზნელი სულელები დაწყველილი ჯოჯოხეთისა.

შ რ უ ს ბ ე რ ი

დააცხრეთ ისევ თქვენი სისხლი აღელვებული,
დათრგუნეთ გულის გამწარება. ცულ ნაყოფს იღებს,
როცა სიძულვილს სიძულვილი პირისპირ ხვდება.
ჯობს, თუ დასთრგუნათ თქვენს ღინაგან განწყობილებას,
დამორჩილებით ღროის ღენას, კანონს წამიერს!
ის ძლიერია, თქვენ კი სუსტი — დაემორჩილეთ!

მ ა რ ი ა მ ი

დაემორჩილო? არასოდეს! ეგ მე არ ძალმიძს.

შ რ უ ს ბ ე რ ი

თავშეგაყვებით ესაუბრეთ, პატივი ეცით!
დიდსულოვნებას უხმეთ მისას, ნუ იჯიუტებთ,
თქვენს უფლებზე ნურას იტყვი, ახლა მაგის ღრწო
სულაც არაა.

მ ა რ ი ა მ ი

ღმერთს შეეთხოვე დალუპვა ჩემი,
მაგრამ ვედრება იგი წყველად გადამქცევია!
არ შემძლია მისი ნახვა, მასთან შეხვედრა!
აქედან კარგი არაფერი არაა გამოვა!
დიდ სიყვარულით შეხვდებიან ერთმანეთს უფრო
კეცხლი და წყალი და ან ბაჭკანს აკოცებს ვეფხვი...
შეურაცხყოფილ ვარ მე ძლიერ, დანაშაული
მისი მძიმეა — ჩვენ ვერასდროს ვერ შევრიგდებით!

შ რ უ ს ბ ე რ ი

ჯერ ნახეთ მაინც, ჯერ სახეში შეხედეთ-ოლონდ!
მე თვითონ ვნახე, კითხულობდა როცა თქვენს წერილს,
მისი თვალები ცხარე ცრემლით ინამებოდა.
არა, არ არის უგრძობელი მხოლოდ მისდამი
გამოიჩინეთ მეტი ნდობა... სწორედ ამისთვის
დავწინაურდი, რათა თქვენთვის მეცნობებინა
ეს ამბავი და მოგეკრიბათ სულის მხნეობა.

მ ა რ ი ა მ ი

ახ, ტალბოტ, მუდამ მეგობარი იყავით ჩემი...
ნეტავი ისევ თქვენს პატიმრად დავრჩენილიყავ!
ბევრი სიმკაცრე გადამხდა თავს, ჩემო შრუსბერი!

შ რ უ ს ბ ე რ ი

გადაივიწყეთ ყველაფერი. იფიქრეთ მხოლოდ,
თუ როგორ მეტი მორჩილებით შეხვდეთ დედოფალს.

მ ა რ ი ა მ ი

ჩემი ბოროტი ანგელოზი ბერლეიც ახლავს?

შ რ უ ს ბ ე რ ი

გრაფ ლაისტერის გარდა, არცინ არ ახლავს თანა.

მ ა რ ი ა მ ი

ლორდ ლაისტერი?

შ რ უ ს ბ ე რ ი

თქვენ იმისი ნუ გეშინიათ.
თქვენი დალუპვა არა სურს მას. ეს საქმეც მისი
მოწყობილია, დედოფალმა რომ მოისურვა
თქვენთან შეხვედრა.

მ ა რ ი ა მ ი

ახ, მე ხომ ეგ კარგად ვიცოდი.

შ რ უ ს ბ ე რ ი

რაო, რას ამბობთ?

პ ო ლ ე ტ ი

დედოფალი უკვე მობრძანდა.

(ყველა განზე გადაგება. რჩება მხოლოდ მარიაში, კნენდზე დაპრდნობილი)

მეოთხე გავმოსვლა

ი გ ი ე ვ ნ ი . ე ლ ი ს ა ბ ე დ ი . გ რ ა ფ ლ ა ი ს ტ ე რ ი . ა მ ა ლ ა

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი

(ლაისტერს)

რა შენობაა?

ლაისტერი
ციხე გახლავს ფორტინგესა.

ელისაბედი
(ზრუსხერის)

წინ გააგზავნეთ ლონდონისკენ ჩვენი ამალა.
ქუჩებში ხალხის სიმკვიდროვე და ხმაურია,
ჩვენ ამ წყნარ პარკში თავშესაფარს მოვინახავთ სადმე.

(ტალბოტი გზავნის ამალას. ელისაბედი თვალს არ აშორებს მარიამს,
ისე ლაპარაკობს ლაისტერთან)

ძლიერ ვუყვარვარ ჩემ კეთილ ხალხს. უზომო არის
მისგან ჩემს მიმართ სიხარულით თავყვანისცემა.
ასე ღმერთს მართებს, აღამიანს ეს არ ეკუთვნის.

მარიამი

(ამ ხნის განაყოფობაში ნახევრადდაყრდნობილი თავის ძიძაზე, გასწორდება
და მისი თვალებში შეხედება ელისაბედის დაძაბულ მხერგს. იგი ათრთოლდება
და ისევე ძიძის მკერდს მიესვენება)

ღმერთო, მის სახეს არ აჩნია ლომობიერების
რამე ნიშანი.

ელისაბედი

ვინ არის ეს მილედი ნეტავ?
(საერთო დუმით)

ლაისტერი

დედოფალო, შენ იმყოფები ფორტინგეში.

ელისაბედი

(თითქოს გაოცებული და თავხარდაცეპული პირქუშად შეხედავს ლაისტერს)
მერედა ეს ვინ მოახდინა? ლორდო ლაისტერი!

ლაისტერი

ეს თვითონ მოხდა, დედოფალო. მაღალმა ზეცამ
განგებ აქეთვე წამომართა ნაბიჯი შენი,
დე შენში ახლა გაიმარჯვოს დიდესლოვნებამ.

მრუსბერი

ნება მიბოძე. დედოფალო, რომ შენი მხერგა
მივაპყრო აქეთ ამ უბედურს, ვინც შენი ნახვით
თავგზა დაჰკარგა და გარინდა.

(მარიამი მუხუდება თავის თავს და სურს მივიდეს ელისაბედთან, მაგრამ შუა
გახუ შეჩერდება მღუპარე და ათრთოლდებული. მთელი მისი გარეგნობა ამჟღავნებს
დიდ სულიერ ბრძოლას)

ელისაბედი

როგორა, მილორდ?

ვინ იყო იგი, მე რომ ხშირად მეუბნებოდა
მის ჩაგვრასა და წამებაზე? ის კვლავ ამაყი
მეჩვენება მე და გამოვლილ უბედურებას
მისთვის არაა დაუკლია.

მარიამი

დე ასე იყოს!

არა უშავსრა, მე ავიტან მაგ დაცინვასაც.
შორს, უსუსურო სიამაყე ჩემი სულსა!
მსურს დავივიწყო ვინ ვარ და რა გადავიტანე,
მსურს მაინც ფეხქვეშ ჩავუვარდე იმას, რომელმაც
ჩამაგდო ასეთ სირცხვილსა და ასეთ ტანჯვაში.

(მიმართავს დედოფალს)

ზეცამ განსაჯა, დაო, თვითონ თქვენს სასარგებლოდ!
თქვენს ბედნიერ თავს გამარჯვების გვირგვინი ამკობს,
და მეც თავყვანს ვცემ დმერთს, რომელმაც თქვენ ავაშადალაო.

(ცხოვბა მუხულებზე მის წინ)

მაგრამ იყავით თქვენც აშეამად დიდესლოვნანი
და სამარცხვინოდ თქვენს წინ განრთხმულს ნუ მიმატოვებთ!
მომეცით ხელი და მეფური თქვენი უფლებით
ღრმა უფსკრულიდან ისევე მაღლა ამომიყვანეთ!

ელისაბედი

(დაიწვეს უან)

კარგად შეგფერით ეგ ადგილი, ლედი მარიამ!
ვმადლობ შემოქმედს, გადმოხედა ვინც მოწყალებით,
რომ არ ისურვა მეც ისევე დავმხოზილიყავ
მაგ თქვენს ფეხებთან, როგორც თქვენ ხართ აქ დამხობილი.

მარიამი

(გაძლიერებული გრძობით)

დაფიქრდით, ქვეყნად ყველაფერი ცვალებადია!
არიან ღმერთნი, ქედმალლობას რომეღნიც სჯიან!
პატივი ეციეთ, გეშინოდეთ იმათი მუღამ,
იმ ღმერთებმა მე თქვენს ფეხებთან დამამხეს ახლა...
ჩემი სახით თქვენს პიროვნებას პატივი დასდეთ

გარეშეთ თვალში, ნუ შეარტყვენთ ტიუდორთა სისხლს,
რომელიც ჩქეჟს ჩემს ძარღვებშია; როგორც თქვენსაში...
ო, ღმერთო ჩემო, ისევ დგებართ, ვით კლდე, რომელსაც
ამოდ ელტვის მებღაურნი ნავდამსხვრეული;
რომ დასაქრდნი ჰპოვოს მასზე, სიკვდილს გადარჩეს.
ჩემი სიტყვებზე, ჩემი ბედი ჰკადია ახლა
ჩემსვე სიტყვებზე და ძალაზე ჩემი ცრემლისა,
შეეხეთ ჩემს გულს, რომ მეც გული ავიღლეოთ თქვენ!
როდესაც მაპყრობთ მაგ გაყინულ და მსუსხავ მზერას,
ძრწუნდება გული, იკეტება თავის თავშივე.
თვალზე მომდგარი ცრემლი ისევ უკან ბრუნდება,
გულს ეუფლება გამყინველი საშინელება
და აღარ ძალუძს ღვთის წინაშე ლოცვა-ვედრება.

ელისაბედი
(ცივაღ და მაცრად)

რა გქონდათ ჩემთვის თქვენ სათქმელი; ლედი სტიუარტ?
თქვენ გასურდათ ჩემთან ლაპარაკი და მეც ვივიწყებ
დელოფალს, თქვენგან ასე მძიმედ შეურაცხყოფილს,
რომ მოვიხადო წმიდა ვალი თქვენს წინ, როგორც დამ,
და ხილვას ჩემსას, როგორც ნუგეზს, ისე ვთავაზობთ.
ჩემს დიდსულოვან გულისწადილს ვემორჩილები
და ვხდები ღირსი კანონიერ საყვედურისა,
რადგან ასეთი მოწყალება მოვიღე თქვენზე,
თუმც თქვენ ფარული გეგმა გქონდათ ჩემი მოკვლისა.

მარიამი

რითი დავიწყო, ან სიტყვები ვით დავალბავო
ისე ლამაზად, თქვენი გული რომ ააღლეოვო,
მაგრამ მას კი არ მიაყენონ რაიმე წყენა!
ო, ღმერთო ჩემო, მოანიჭე ჩემს სიტყვას ძალა
და ამოართვი მას ნესტარი გულის დამკრული!
ნუთუ არ ძალმიძს ჩემი თავი ისე დავიცვა,
რომ სამღურავი არ ვიქვა თქვენზე, რაც მე არა მსურს.
... თქვენ უკანონოდ მომეპყარიო. მეც ხომ თქვენსავით
დელოფალი ვარ, ციხეში კი გამოამწყვდიეთ.
მე თქვენთან მოველ, ვით მოაჯე, შეგლის მთხოვენელი,
თქვენ კი კანონი, წმიდათ წმიდა, სტუმართმოყვრობის,
და ხალხთ უფლება შელახეთ და დამატუსაღეთ;
არც მეგობრები, არც მსახურნი არ შემარჩინეთ;

აუტანელი გაჭირვების მსხვერპლად ქცეული,
მე წამაყენეს სამარცხენო სამსჯავროს წინა...
არც ერთ სიტყვასაც აღარ ვიტყვი ამის შესახებ!
დე დავიწყებამ გადაფაროს, რაც მე ვიტანაჯე.
— ეს ყველაფერი ბედისწერას მსურს მივაწერო,
თქვენ ბრალი არ გაქვთ, დანაშაულს არც მე ვგვრძნობ რამეს;
ბოროტი სული უფსკრულიდან ამოიმართა,
ჩვენს გულეში იმ სიძულვილის გასაღვივებლად,
რამაც გაგვითმა ჩვენ ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე.
ის ჩვენთან ერთად იზრდებოდა და ავნი კაცნი
ცდილობდნენ ჩვენი მტრობის ცეხლის გაძლიერებას.
ზოგერთნი კი უგუნური გულმოღვინებით
ბოროტ საქმისთვის ხმას და ხანჯალს აწვდიდნენ ხელში
მათ, რომელთათვის თხოვნა არც კი იყო საჭირო...
და ხელმწიფეთა ეგე არის წყეული ხვედრი,
რომ, თვით ერთმანეთს მოისისხლე მტრად წაყიდებულნი,
ქვეყნიერებას ორ მოძულე ბანაკად ჰყოფენ,
და მით გასაქანს აძლევენ შფოთს, განხეთქილებას.
— ახლა ჩვენ შორის უცხო ენა აღარ ტრიალებს.

(მიუახლოვება გულდანდობილად; პირითნე ტონით)

აწ ორივენი ერთმანეთის პირისპირ ვდგევართ.
მითხარით, დაო, რა მაიმძღვის დანაშაული,
და პატიოსნად გიპასუხებთ, არ მემინია.
ახ, თქვენ რომ მაშინ მოგესმინათ ევდრება ჩემი,
როცა თქვენს თვალებს ეცემბდი მე დაყინებოთა,
მაშინ ამ დღეში, დამერწმუნეთ, არ ვიქნებოდი,
არც მოხდებოდა ამ მწუხარე ადგილზე ჩვენი
შეხვედრა, ასე უბედური და სასწუხარო.

ელისაბედი

ჩემმა ვარსკვლავმა დამიფარა მაშინ ამისგან,
რომ გესლიანი გველი მკერდზე არ მივიკარი.
— ბედს კი ნუ სწყველით, თქვენი ბილწი გული დასწყველით,
თქვენთა ნათესაეთ ხარბი პატრემოყვარებოთა.
ჩვენს შორის მტრობა არ მომხდარა არავითარი,
თქვენ შეგაცდინათ თქვენმა ბიძამ, ვინც უსიტყვილოდ
იშვერს ცოდვილ ხელს ყველა მეფის გვირგვინსაკენ,
ვინც მაშინ ჩვენზე აგამხედრათ იმისათვის, რომ

ხელში ჩაგვადლოთ ჩემი ღერბი, ტიტული ჩემი.
— ან კი მან ჩემთან საბრძოლველად ვილას არ უხმო?
ხუცესთა ენას, მოუსვენარს, ხალხთა ბასრ მახვილს,
თუ უსაშინლეს იარაღსა მწვალებლებისას;
თვითონ აქაც კი, ჩემი ქვეყნის მშვიდ სამეფოში,
გადმოისროლა ცეცხლი სასტიკი აღმოფოთებისა,
მაგრამ უფალი ჩემთანაა, ზვიად მოძღვარს კი
შენარჩუნება აღარ ძალუძს ბრძოლის ველისა.
საშინელება, რომელიც მე მემუქრებოდა,
თქვენს თავს დაატყდა!

მარიამი

ღვთის ანაბრად რომ დაერჩენილვარ,
ძალაუფლებას ბოროტად ნუ გამოიყენებთ...

ელისაბედი

ხელს ვინ შემოშლის მე ამაში? თვით ბიძათქვენმა
კარგი ნიშუში მისცა ქვეყნის ყველა მბრძანებელს,
თუ როგორ უნდა შეურიგდნენ თავის ვერაგ მტერს.
დე კარგი სკოლა იყოს ჩემთვის ბართლომეს ღამე!
რა არის ჩემთვის ხალხთ უფლება, ნათესაობა?
თვით ეკლესია არღვევს ყველა მოვალეობას,
წმიდა საქმედ თვლის მეფის მოკვლას, ფიცის გატეხას,
მეც მასვე ვმვრები, რასაც ვსწავლობ თქვენ მოძღვართაგან.
აბა, მითხარით, თქვენს თავებდად ვინ დადგებოდა,
რომ სულგრძელობით ამეყარა ბორკილნი თქვენთვის?
თქვენს ერთგულებას როგორ ციხეს მოუუძებნილი,
რომ წმიდა პეტრეს გასაღებს ის ველარ გაეღო?
მტკიცე სიმაგრე არის მხოლოდ ძალმომრეობა,
გველის მოდგმასთან არვის ძალუძს კავშირის შეკვრა.

მარიამი

ოჰ, ეს სასტიკი სამწუხარო უნდობლობა!
ჩემში ყოველთვის უტხოსა და მტერსა ხედავდით.
თქვენს მემკვიდრედ რომ მიგეჩნიეთ, როგორც შემფერის,
მაშინ უთუოდ სიყვარულს და მადლიერებას
მოიპოვებდით ჩემს გულშიაც, ვინ ნათესაევი,
როგორც ერთგული მეგობარი.

ელისაბედი

შორს, საზღვარგარეთ
გყავთ თქვენ ერთგული მეგობრები, ღვდი სტიუარტ,
თქვენი სასახლე პაპობაა, ბერი კი — ძმია!..
გამოგაცხადოთ ჩემს მემკვიდრედ? — ცბიერი მახე!
რომ ჩემი ხალხი შეაცდინოთ ჩემ სიცოცხლეშივე,
და ჩემი ქვეყნის ჰაბუკები კეთილშობილი
ტრფობის ბადეში გაახვიოთ, როგორც არმიდამ,
რომ ცაზედ ახლად ამოსულმა მზემ მიიზიდოს
სუყველაფერი და მაშინ მე...

მარიამი

იმეფეთ მშვიდად!

ჩემს უფლებზე სამუდამოდ უარს ვაცხადებ.
ჩემი უძლური სული ფრენას ველარ შეიძლებს,
დიდება უკვე აღარ მზიბლავს და, გიხაროდეთ,
ჩრდილი ვარ მხოლოდ უწინდელი მარიამისა.
ასე ხანგრძლივმა პატიმრობამ უკვე ჩააქრო
ჩემი მხნეობა, ყველაფერი შეიძელით თქვენ
და მე, ჯერ ისევ ახალგაზრდას, სისხლი გამიშრეთ!
მაშ დაამთავრეთ, ჩემო დაო! წარმოთქვით სიტყვა,
ის სიტყვა, რომლის სათქმელადაც ჩემთან მოხვედით,
რადგან არასდროს დავიჯერებ, მოსული იყოთ
მხოლოდ მისთვის, რომ საბრალო მსხვერპლს დასცინოთ მწარედ.
წარმოთქვით იგი! მითხარით მე: „ამიერიდან
თავისუფალი ხართ, მარიამ! თქვენ ჩემი ძალა
იგემეთ, ახლა პატივ ეცით ჩემ სულგრძელობას“.
მითხარით ეს და, ვით საჩუქარს, ისე მივიღებ
თქვენი ხელიდან, სიცოცხლეს და თავისუფლებას.
... ამ ერთი სიტყვით გათავლება აწ ყველაფერი.
მე ამას ველი. ასე დიდხანს ნუ მაცდევინებთ!
ვაი თქვენ მაშინ, თუ ამ სიტყვით არ დამამთავრებთ!
ო, ნუთუ ჩემგან ისე წახვალთ, ძვირფასო დაო,
რომ არ დამლოცოთ ამ სიტყვებით, როგორც ღვთაებამ!
არც ამ მდიდარი კუნძულისთვის, არც დანარჩენი
ქვეყნებისათვის, ირგვლივ ზღვები რომ შემორტყმინან,
არ ვისურვებდი თქვენ წინ დგომას, როგორც თქვენ დგებართ.

ელისაბედი

უკვე იგრძენით თქვენი თავი დამარცხებულად?
ბოლო მოედო თქვენს მზაკერობას? გზა და გზა კიდევ
ველარ შოულობთ ვინმე მკვლელსა? აღარავის სურს
კვლავ სამწუხარო რაინდობა გაბედოს თქვენთვის?
— დიახ, დამთავრდა ყველაფერი, ლედი მარია.
ჩემს მომხრეთაგან ველარავის ვედარ შეაცდენთ.
ქვეყანას სულ სხვა საზრუნავი აწუხებს ახლა.
აწ აღარავინ მოისურვებს, რომ გახდეს თქვენი
მეოთხე ქმარი, რადგანაც ჰკლავთ თქვენს საქმროებსაც
ისე, ვით თქვენ ქმრებს.

მარიაში

(აღღებულად)

ჩემო დაო! ოჰ, ჩემო დაო!

ო, ღმერთო! ღმერთო! მომანიჭე სიმშვიდე სულის!

ელისაბედი

(დიდხანს უცქერის ამაყ მძულვარებით)

ასეთია ვე სილამაზე, ლორდო ლისტერ,
რომლის ხილვასაც ვერ გაუძლებს ვერც ერთი კაცი
და რომელიც ამ ქვეყანაზე ჩრდილავს ყველა ქალს!
მან ამ დიდებას მიაღწია ძალზე იოლად.
რომ მოიპოვო სილამაზე საყოველთაო,
საკმარისია ყველა სათვის იყო საერთო.

მარიაში

მეტისმეტია!

ელისაბედი

(გასლიანი სიცილით)

ახლა უკვე ფარდა ახადეთ
თქვენს ნამდვილ სახეს, ის აქამდე ნიღაბი იყო.

მარიაში

(ბრაზისგან ანთებული, მაგრამ კეთილშობილი ღირსებით)

ცოდვილი ვარ, ვით ახალგაზრდა, როგორც მოკვდავი,
ძალაუფლება მაცდენდა მე, არა ვმალავდი,
არა ვფარავდი მე არაფერს და გავურბოდი
ყალბ თვალთმაქცობას ხელმწიფური გულახდილობით.
ყველა ცუდ მხარეს ჩემსას იცნობს მთელი ქვეყანა,
98

მაგრამ საქვეყნოდ შემიძლია თქმა, რომ იმაზე
უკეთესი ვარ, რა სახელსაც მე მიწოდებენ.
მაგრამ ვაი თქვენ მაშინ, როცა თქვენს შავბნელ საქმეს
პატიოსნების საბურველი ჩამოეცლება,
რომლითაც ჰფარავთ თქვენი გულის ველურ აღგზნებას.
უნამუსობა გადმოგცათ დედათქვენისგან.
მემკვიდრეობით: ცნობილია, რა სათნოებამ
მოჰკვეთა თავი ეშაფოტზე ანა ბოლინს.

მრუსბერი

(ჩადგება დედოფლებს შორის)

ღმერთო მაღალო! სდამდე არ მივიდა სანქმე!
ეს არის თქვენი მორჩილება, თავშეკავება,
ლედი მარიაში?

მარიაში

რას მიქვია თავშეკავება!

მე ყველაფერი ავიტანე, რაც კი ვაცს ძალუძს,
შორს გამეცალე, ცხვრისებურა უდრტუნივლობავ!
ცისკენ გაფრინდი, გამტანჯველო ჩემო მოთმენავ!
შემოიხსხვრიე ბორკილები, გარეთ გამოდი
შენი მღვიმიდან, ბოროტებაჲ შეკავებულო.
და შენ, რომელმაც გაბრაზებულ ბაზილისკს მიეც
მზერა ესოდენ სასტიკი და მოჩაკვინებელ,
გესლიან ისრით აღმიჭურვე ენა...

მრუსბერი

გაგიჟდა,

შეუნდე აგრე გულმოსულსა და გააფთრებულს.

(ელისაბედი ბრაზისგან დაბუნჯებული, განრისხებით უცქერის სტიუარტს)

ლაისტერი

(უაღრესად შეშფოთებული ცდილობს ელისაბედის წაყვანას)

ო, ნულარ უსმენ, ხომ უყურებ, როგორ გაშმაგდა!
ამ უბედური ადგილიდან ჩქარა წავიდეთ!

მარიაში

ინგლისის ტახტი ნაბუშრისგან შებილწულია,
კეთილნი ბრიტნი თვალთმაქცისგან მოტყუებულან.

— ქვეყნად უფლება რომ მეფობდეს თქვენ უნდა ჩემ წინ,
დამხობილ იყოთ, რადგან მე ვარ ხელმწიფე თქვენი.
(ელისაბედი სასწრაფად გადის. ძალზე შემოწუნებული ლორდები უკან მისდევენ)

მეხუთე გაცოცხლება

მარიაში. კენედი

კენედი

ო, ეს რა ჰქენით! ის გაშმაგდა! გათავდა უკვე
აწ ყველაფერი, ყოველგვარი იმედი გაქრა.

მარიაში

(ჯერ კიდევ თავის გონებაზე არ მოსულა)

იგი გაშმაგდა ბრაზისგან და გულიც მოუკვდა!

(ძულზე შემოებხევა კენედის)

ო, როგორ კარგად ვგრძნობ თავს, ანა! ბოლოს ხომ მიინც,
ამ დამცირებულ და გატანჯულ სიცოცხლის შემდეგ,
შურისძიების და ზეიმის წუთი დამიღგა!
თითქოს გულიდან ჩამომეხსნა მთისწონა ტვირთი,
თითქოს მტრის მკერდში ბასრი დანა დავატრიალე.

კენედი

ო, უბედურო! შეუპყრიახართ უფუნურებას,
ამ საქციელს ის არასოდეს არ გაპატიებს,
დედოფალია, თქვენთვის ენების მოტანა ძალუძს,
იგი გაჰქირდეთ საყვარელის თანადასწრებით.

მარიაში

მე დავამდაბლე ლაისტერის თვალია წინ იგი!
ლორდი შეიქნა მოწმე ჩემი გამარჯვებისა,
რარიგად დაბლა გადავტყორცნე მის სიმამლიდან,
ის აქ იღგა და მამხნევებდა თვის სიახლოვით.

მეექვსე გაცოცხლება

მორტიმერი. იგივენი

კენედი

ცუღალ დამთავრდა...
109

მორტიმერი

მოვისმინე მე ყველაფერი

(ძიძას ანიშნებს, რომ წავიდეს. თვითონ მიდის მარიაშთან ახლოს. მთელი მისი
არსება ამჟღავნებს მივინვარე ვნებათა ღელვას)

შენ გაიმარჯვე, შენ იგი მთლად გააცამტყერე!
შენ დედოფალი იყავ, იგი კი დამნაშავე.
აღტაცებული ვარ შენი გამბედაობით
და ამ წუთს ისე მეჩვენები, როგორც ქალღმერთი,
ღიღბებული და მშვენიერი, მე შენ ვალმერთებ.

მარიაში

ხომ ესაუბრეთ გრაფ ლაისტერს, ხომ გადაეცით
ჩემი წერილი, საჩუქარი, — ო, სერ, მითხარით!

მორტიმერი

(უტყუარის აღზნებული თვალებით)

მეფურმა რისხვამ სახე როგორ გაგისხივოსნა,
უფრო ნათელი მოჰფინა მან შენს სილამაზეს!
ულამაზესი ქალი ხარ შენ მთელ ქვეყანაზე!

მარიაში

გთხოვთ დაამშვიდოთ ჩემი სული მოუთმენელი.
რა თქვა მილორდმა? თქვით, მე რისი იმედი მქონდეს!

მორტიმერი

ვინ? მან? ო, იგი საცოდავი მხალაია! მისი
იმედი ნუ გაქვთ, შეიძულეთ და დაივიწყეთ!

მარიაში

რაო, რას ამბობთ?

მორტიმერი

ის გიხსნით და დავისაკუთრებით!
ის თქვენ! და იგი ამას ბედავს! მაშინ ჯერ იმან
უნდა მე სამკვდრო-სასიცოცხლო პასუხი გამეცეს!

მარიაში

ჩემი წერილი არ მიეცით? თუკი ასეა, —
გათავებულა ყველაფერი!

მორტიმერი

ლაჩარს ყოველთვის
სიციცხლე უყვარს. მან, ვისაც სურს შენი გამოხსნა,
ჯერ უნდა სიკვდილს გაუსწოროს პირდაპირ თვალი.

მარიამი

მეშ ლორდს არა სურს დამეხმაროს?

მორტიმერი

კმარა იმაზე!
რა შეუძლია მას, ან რისთვის გკირდება იგი?
მხოლოდ მე მინდა შენი შველა, მე მარტო გიხსნი.

მარიამი

თქვენ რას შეიძლება?

მორტიმერი

ნუ გგონიათ, რომ თქვენი საქმე
იმგვარადევა დღესაც, როგორც ის გუშინ იყო.
იმის შემდეგ, რაც დედოფალი ასე გაგცილდათ
და საუბარი თქვენი ასე ცუდად დამთავრდა,
ამჟამად არის, ყველაფერი განწირულია
და მოწყალეების ყველა კარი გადაკეტილი.
ახლა დრო დადგა მოქმედების და ყველაფერი
უნდა გადაჭრას მარტოდენ გამბედაობამ.
საჭირო არის, ვიმოქმედოთ ჩვენ ახლა ძალით,
გათენებამდე უნდა იქნე თავისუფალი.

მარიამი

რა თქვით? ამ ღამით! მერე როგორ შეიძლება ეს?

მორტიმერი

ისმინე, თუ რა გადაწყვეტილი. მე გუშინ ფარულ
სამლოცველოში შეეგროვე თანამზრახველნი
და ჩვენ ვუთხარით აღსარება მოძღვარს, რომელმაც
შეგვიწოდო ყველა ცოდვა, რაც კი ჩავვიდენია,
ისიც, რაც უნდა ჩავიდინოთ ჩვენ მომავალში.
უკანასკნელი ზიარება მივღეთ მისგან
და მოვემზადეთ უკანასკნელ ნაბიჯისათვის.

102

მარიამი

ო, საშინელი წინასწარი სამზადისია!

მორტიმერი

გასაღებები უკვე ხელთ მაქვს და ამ ღამითვე
გავაღებთ ციხეს. მცველთ დავხოცავთ და დღიგვიდან
გამოგიყვანთ შენ. არც ერთს ცოცხალს აღარ გავუშვებთ,
რომ ვერვინ გაგვცეს, თუ ვით იქენ გატაცებული.

მარიამი

და დრურს და პოლეტს — ჩემი ციხის ზედამხედველებს?
ო, ისინი ხომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე...

მორტიმერი

ჩემი ხანჯალი მათ ძირს დასცემს ყოველ უწინარეს.

მარიამი

როგორ? ბიძა თქვენს, თქვენს მეორე მშობელს და მამას?

მორტიმერი

ჩემი საკუთარ ხელით მოგვკლავ. მე მოგვკლავ იმას.

მარიამი

ო, სისხლიანო შეცოდებავ!

მორტიმერი

ყოველი ცოდვა

უკვე შეგვინდეს ჩვენ წინასწარ. ამ კვეყანაზე
თვით ცუდ საქმეზე უცუდესის ჩადენა ძალმიძს,
და ვიზამ კიდევც.

მარიამი

საშიშარი, საშიშარია!

მორტიმერი

თუნდაც დამკირდეს განგმირვა თვით დედოფალისა, —
წმიდათ ნაწილზე დავდე ალთქმა, ფიცი ამისა.

მარიამი

არა, მორტიმერი! ასე ბევრ სისხლს ჩემი გულისთვის...

103

მორტიმერი

არაფრად მიიღოს ეს ქვეყანა მე შენს გარეშე,
გარეშე ჩემი სიყვარულის. დე დიწვევით
ჯაჭვები მთელი სამყაროსი, დაე წაღვეს
მეორე წარღვნამ ამა ქვეყნის სულდგმული ყველა!
— არად მივიჩნევ! ვიდრე შენზე ავიღებ ხელსა,
მწამს, დაუღვება აღსასრული სიცოცხლეს მთელსა.

მარიამი

(უკან დაიხვეს)

ღმერთო! რას ამბობთ... ან როგორი თვალთ მიცქერით!
ლამის შიშისგან გამაქციოთ.

მორტიმერი

(გერვიული მხერით და ოდნავ შეშლილი გამომეტყველებით)

მთელი სიცოცხლე

ერთი წამია, ერთი წამი არის სიკვდილიც!
— დე შემთბრიონ მეც ტიბერნში, რომ ასო-ასოდ
დამპრან, დამგლიჯონ რკინის შანთით გახურებულთ,
(მკლავგაშლილი უახლოვდება მარიამს)

გადაგებვიო ოღონდ ერთხელ გულადგზნებულთ...

მარიამი

(უკან დაიწვეს)

უკან დაიწვი, უგუნურო!

მორტიმერი

მაგ ძვირფას მკერდზე
და დაგეონო სიყვარულით მსუნთქავ ბაგებზე...

მარიამი

ღვთის გულისათვის, სერ! გაპიშვით, უნდა წავიდე!

მორტიმერი

უგუნურია, ვისაც ღმერთი ბედნიერებას
ხელეში აძლევს, ხოლო მას კი არ შეუძლია
შეინარჩუნოს ის, რაც მისთვის ღმერთს მიუცია.
მე მსურს დაგინნა, თუნდ დამიჯდეს ათას სიცოცხლედ,
ღმერთი მოწმეა, გადაგარჩენ, მაგრამ იცოდე,
გამოხსნის შემდეგ მე მინდა, რომ ჩემი გიწოდო.

მარიამი

მფარველი ხელი ღმერთს აღარ სურს გამომიწოდოს!
სასტიკო ბედო, მე, საბრალოს, უკან რად დამდევე,
ერთი საფრთხიდან მეორეში რისათვის მაგდებ?
ან შობიდანვე რატომ მერგო მე ხვედრი კრული? —
ჩემზე შმაგობენ სიძულვილი და სიყვარული!

მორტიმერი

ღიახ, მიყვარხარ სიძულვილის მათის თანაბრად!
იმათ სურთ, რომ შენ, როგორც ცოდვილს, მოგკვეთონ თავი,
ჯალათის ცუდით გადასხიბონ ეგ ბროლის ყელი.
გასწირე იგი სიყვარულის საკურთხეველზე,
რაც უნდა მსხვერპლად შესწირო შენ ბოროტ სიძულვილს!
მაგ სილამაზით, რომელიც შენ აღარ გეკუთვნის,
ბედნიერი ჰყავ ბედნიერი შეყვარებულთ!
ეგ მშვენიერი კულულები, ეგ ნაზი თმები,
აწ უკვე მსხვერპლნი სიკვდილისა და სიჩუქისა,
შემომმახვიე, ვით ჯაჭვები სიყვარულისა!

მარიამი

ო, სერ, ჩემს ყურებს ეს რა ესმის, მაგას რას ამბობთ!
პატივი ეცით ჩემს ტანჯვას და უბედურებას,
თუ გვირგვინოსან ჩემს თავს ასე უღირსადა ხდით.

მორტიმერი

შენი თავიდან გადმოვარდა გვირგვინი უკვე,
ამქვეყნიური დიდებისა აღარაა შეგრაჩა!
აბა სცადე და შენს მეგობრებს საშველად უხმე,
შენი გულისთვის ერთი მხსნელი თუ ადგეს ელა.
შენ მომხიბვლელი გარეგნობა შემოგრაჩა კვალად
და უღიადეს სილამაზის ღვთიური ძალა,
რომლის გულისთვის მე ყველაფერს გავებდავ. შევძლებ,
არ შეგშინდები, თუნდ ჯალათის ცულსაც კი შეგვხვდე...

მარიამი

ო, ვინ დამიხსნის მისი ასე გაშმაგებისგან!

მორტიმერი

მამაცი საქმე იმსახურებს მამაცურ ჯილდოს!
რისთვის დააქციეს გამბედავი თვის სისხლს ამოოდ?

სიციცხლის მიზანს ნეტარება შეადგენს მხოლოდ!
უკუნურია, ვინც სიციცხლეს ამაღ ფლანგავს!
მე კი ჯერ მინდა მივესვენო მის მხურვალე მკერდს...
(მაგრად მიიკრავს მკერდზე)

მ ა რ ი ა მ ი

მის წინააღმდეგ უნდა მშველელს ვუხმო მე განა,
ვინც თვითონ არის ჩემი მხსნელი...

მ ო რ ტ ი მ ე რ ი

უგრძნობი არ ხარ;
ცივ სიმკაცრეზე არ გიჩივის შენ ეს ქვეყანა,
ტრფობის ვედრებას ვერ მოისმენ გულუშფოთველად,
რიჩიოსაც ხომ მიანიჭე ბედნიერება
და გატაცებაც კი გაბედა შენი ბოტყელმა.

მ ა რ ი ა მ ი

თავებლო!

მ ო რ ტ ი მ ე რ ი

იგი გადაგექცა მტარვლად მაშინვე!
შიშითა ძრწოლი მის წინ, მაგრამ მაინც გიყვარდა!
ჰოი, რადგანაც სისასტიკე ასე გაშინებს,
ვფიცავ სატანას! —

მ ა რ ი ა მ ი

მომეცალეთ! ხომ არ შმაგდებით?

მ ო რ ტ ი მ ე რ ი

რომ ჩემს წინაშეც უსათუოდ აჰკანკალდები.

ქ ე ნ ე ლ ი

(შემოვარდება)

აბლოვდებიან. აქ მოდიან და მთელი ბალი
აბჯროსან ხალხით გაესილია.

მ ო რ ტ ი მ ე რ ი

(მარიამს ხელს ზაუშვებს და დაშნაზე იტაცებს ხელს)

მე შენ დაგიცავ!

მ ა რ ი ა მ ი

ო, ჩემო ანა, დამისხენი მისი ხელიდან!
სადღა ვიპოვო მე, საბრალომ, თავშესაფარი?
106

რომელ წმიდანსლა შევევედრო ხვეწნით მწველითა?
აქ — ძალადობა, იქ კი მხოლოდ სიკვდილი არის.
(მირბის სახლისკენ, უკან კენფი მისდევს)

მ ა შ ვ ი ლ ე ბ ა მ ა მ ო ს ვ ლ ა

მ ო რ ტ ი მ ე რ ი. პ ო ლ ე ტ ო და დ რ უ რ ი, რომლებიც გარედან
სწრაფად შემორბიან. სცენაზე გადაირბენს ა მ ა ლ ა

პ ო ლ ე ტ ი

კარი ჩაკეტეთ! ყველა ხიდი მალა ასწიეთ!

მ ო რ ტ ი მ ე რ ი

რა ამბავია, ბიძაჩემო?

პ ო ლ ე ტ ი

სად არის მკვლელი?
იგი სასწრაფოდ ჩამწყვდიეთ საპყრობილეში!

მ ო რ ტ ი მ ე რ ი

რა ამბავია? ან რა მოხდა?

პ ო ლ ე ტ ი

ო, დედოფალი!
წყეული ხელი! თავხედობა ჯოჯოხეთური!

მ ო რ ტ ი მ ე რ ი

დედოფალიო? და რომელი მერე?

პ ო ლ ე ტ ი

ინგლისის!
იგი მოუკლავთ ლონდონისკენ მიმავალ გზაზე.
(მიეშურება სახლისკენ)

მ ა რ ვ ე ბ ა მ ა მ ო ს ვ ლ ა

მ ო რ ტ ი მ ე რ ი. შემდგ ო კ ე ლ ი

მ ო რ ტ ი მ ე რ ი

ქეუაზე შევცდი? აქ ვილაცამ არ გაიარა
და ყვიროდა, რომ დედოფალი ინგლისის მოკლეს?

არა, იქნება დამესიზმრა და ნაბოდვარი
მე მომეჩვენა სინამდვილედ, რომელიც ჩემ ფიქრს
ყოველთვის ავსებს უდიდესი საშინელებით.
ვინ მოდის? იგი ოკელია, შიშით კანკალებს.

ოკელი
(შეშფაობდა)

ჩქარა უშველეთ თავს, მორტიმერი! აწ ყველაფერი
დაიღუბა.

მორტიმერი

რა დაიღუბა?

ოკელი

ნუ მკითხავთ, მხოლოდ
იფიქრეთ სწრაფად გაქცევებ!

მორტიმერი

რა მოხდა?

ოკელი

შეშლილ
სოვას დაუკრავს თურმე ჩვენი დედოფლისათვის.

მორტიმერი

მაშ მართალია?

ოკელი

მართალია! ო, თავს უშველეთ!

მორტიმერი

რადგან ის მოკვდა, ახლა ტახტზე ავა მარიამ.

ოკელი

მოკვდა? ეგ ვინ თქვა?

მორტიმერი

თვითონ თქვენ თქვით.

ოკელი

და ჩვენ კი, ყველას: მეცა და თქვენც სიკვდილი გველის.
ის ცოცხალია!

მორტიმერი

ის ცოცხალია!

ოკელი

ააცილა, ვერ მოახვედრა,
თურმე მის ხანჯალს მოსასხამმა გზა შეუცვალა
და შრუსბერიმ მკვლელს იარაღი აპყარა იქვე.

მორტიმერი

ის ცოცხალია!

ოკელი

და იცოცხლებს, რომ ჩვენ დაგვლუპოს.
წამო, წავიდეთ, ამ პარკს უკვე ალყა მოარტყეს.

მორტიმერი

ვინ ჩაიდინა ეს სიგიჟე?

ოკელი

ვინა? — ბარნაბიტ

ტულონელმა. ვერ შეამჩნიე სამლოცველოში,
მარტოდ რომ იჯდა დაფიქრებით, როცა ბერი ჩვენ
გვიმარტავდა იმ ანათემას, რომლითაც პაპი
შეჩვენებულად აცხადებდა დედოფალს ჩვენსას?
უახლოესი, უმოკლესი გზა ირჩია მან,
რომ ერთი დარტყმით ეკლესიის დედაებისათვის
თავისუფლება მოეხვეჭა და თავისთვის კი—
მხოლოდ გვირგვინი წამებისა. თავის განზრახვა
მოძღვარს გაანდო მხოლოდ თურმე და შეასრულა
იგი კიდევაც ლონდონისკენ მიმავალ გზაზე.

მორტიმერი

(ხანგრძლივი დუმილის შემდეგ)

ო, უბედურო, ყველაფერში გდევს მკაცრი ბედი!
ახლა კი გელის შენ სიკვდილი აუცილებლად,
თვით შენმა მხსნელმა მოამზადა დამხობა შენი.

ოკელი

ახლა, მორტიმერი, თქვენ გაქცევას საითკენ ჰფიქრობთ?
მე კი მსურს თავი შევაფარო ჩრდილოეთის ტყეს.

მორტიმერი

თქვენ გაიქცით, ღმერთი იყოს წინმძღოლი თქვენი!
მე აქ დავრჩები. შევეცდები კვლავ იმის დახსნას,
თუ ვერ შევიძელ—მირჩევნია თან ჩაუყვე საფლავს.

(გადიან სხვადასხვა მიმართულებით)

მოკმელება მეოთხე

წინა ოთახი

პირველი გამოცვლა

გრაფი ობეპინი, კენტი და ლაისტერი

ობეპინი

თავს როგორღა გრძნობს დედოფალი ბრიტანეთისა?
მილორდნო, ხედავთ, რომ შიშისგან ჰკუაზე არ ვარ.
ეს როგორ მოხდა? როგორ უნდა მომხდარიყო ეს
ერთგულ ხალხს შორის?

ლაისტერი

აქ არაფერ შუაში არის

ერთგული ხალხი. უსათუოდ, ამის ჩამდენი
იქნება ფრანგი, ქვეშევრდომი თქვენი მეფისა.

ობეპინი

აუცილებლად ვილაც გიყი!

კენტი

და თან პაპისტი,

გრაფო ობეპინ!

მეორე გამოცვლა

იგივენი. ბერლეი, შემოდის დევისონთან ლაპარაკით

ბერლეი

გაამზადეთ ბრძანება სწრაფად,

სიკვილით დასჯის შესახებ, და თან დაამოწმეთ
ბეპდის დასმითაც, და როდესაც ეს მზად იქნება,
ხელმოსაწერად დედოფალთან წარმოადგინეთ.
ახლა წაბრძანდით! ძვირად გვიღირს, დროს ნულარ ვკარგავთ.

დევისონი

მეგას ახლავე გავემზადებ.

(გადის)

ობეპინი

მილორდო, ჩემი

ერთგული გული იზიარებს ქვეყნის სიხარულს.
დიდება ზეტას, სასიკვილო დარტყმა რომელმაც
უწებელი ჰყო გვირგვინოსან დედოფლისათვის!

ბერლეი

დიდება იმას, ვინაც ჩვენი მტრის ბოროტება
გადააქცია სამარცხვინოდ.

ობეპინი

ღმერთმა დასწყევლოს

ამ სამარცხვინო და წყუელი საქმის ჩამდენი!

ბერლეი

ჩამდენიცა და უსირცხვილო წამქეზებელიც.

ობეპინი

(ყნტს)

ლორდ მარშალ, თქვენი ბრწყინვალეობა ხომ არ ინებებს,
რომ წარმადგინოს წინაშე მის უდიდესობის,
რათა, მორჩილად დამხობილმა მეფის ფეხებთან,
მე გადარჩენა მიველოცო ხელმწიფეს ჩემსას.

ბერლეი

თავს ნუ იწუხებთ, გრაფ ობეპინ!

ობეპინი

(ოფიციალური ტონით)

მე კარგად ვიცი,

მილორდ ბერლეი, ჩემი ვალი!

ბერლეი

თქვენი ვალია,

დაუყოვნებლად მიატოვოთ კუნძული ჩვენი!

ობეპინი

(გაოცებული უკან დაიხვეს)

რათა? ეს როგორ? ეს რას ნიშნავს?

ბერლეი

წმიდა წოდებამ
შეიძლება დღეს დაგიფაროთ, ხვალე კი — ველარ.

ობეპინი

დანაშაული რა მიმიძღვის?

ბერლეი

სახელს არ ვარქმევ,
რადგანაც შემდეგ პატიება არ შეიძლება.

ობეპინი

მილორდ ბერლეი, ვიმედოვნებ, ელჩის უფლება...

ბერლეი

ვერ დაითარავს მოლაღატეს სახელმწიფოსას.

ლაისტერი და კენტი

რაო? ეს რაღა ამბავია?

ობეპინი

კარგად დაფიქრდით,

მილორდ ბერლეი...

ბერლეი

მკვლელს ჯიბეში აღმოუჩინეს
პასპორტი, თქვენგან გაცემული, ბატონო ელჩო!

კენტი

ნუთუ ნამდვილად?

ობეპინი

მე პასპორტებს მრავალს ვარიგებ,
როგორ გავიგო, ადამიანს რა უძევს გულში.

ბერლეი

თქვენს სასახლეში წარმოუთქვამს მკვლელს აღსარება

ობეპინი

ლია ჩემი სახლი.

ბერლეი

ხველა ჩვენი მტრისათვის.

ობეპინი

მე ვთხოვლობ, რომ საქმე კარგად გამოიძიოთ.

ბერლეი

გამოძიება თქვენ დაგლუპავთ, სერ! — გეშინოდეთ!

ობეპინი

ამით აყენებთ ჩემს ხელმწიფეს შეურაცხყოფას,
იგი დადებულ საქორწინო კავშირს დაარღვევს.

ბერლეი

რომელიც უკვე დაარღვია ელისაბედმა.

მომზადებული ქორწინება აღარ შესდგება.

მილორდ კენტი, თქვენ გეკისრებათ მოვალეობა,
რომ გრაფი მშვიდად მიაცილოთ ზღვის ნაპირამდე.

გაცოფებული ხალხი თავზე დაესხა მის სახლს,

სად იარაღის არსენალი აღმოაჩინეს;

და გრაფს პირველი ნახვისთანვე ნაფლეთ-ნაფლეთად

გადააქცევინ; გადამალეთ ის, ვიდრე ხალხის

რისხვა დაცხრება — პასუხს აგებთ მის სიცოცხლეზე!

ობეპინი

მივდივარ, ვტოვებ ამ ქვეყანას, სად ხალხთ უფლებას
ფეხით თელავენ, თამაშობენ ხელშეკრულებით...

მაგრამ იცოდეთ, ფრანგი ხელმწიფე პასუხს მოითხოვს
და შურს იძიებს.

ბერლეი

ოლონდაც მან ეს მოინდომოს!
(კენტი და ობეპინი გადიან)

მესამე გამოცვლა

ლაისტერი და ბერლეი

ლაისტერი

ასე რომ, თქვენვე დაარღვიეთ კავშირი იგი,
რომელიც თქვენი მზრუნველობის ნაყოფი იყო.

8. ფრიდრიხ შილერი.

ამით ინგლისის მადლობას ვერ დაიხსახურებთ,
მილორდ, შეგეძლოთ, რომ სულაც არ გარჯილიყავით.

ბერლეი

კეთილი მსურდა, მაგრამ ღმერთმა სხვაგვარ განსაჯა.
ნეტავი იმას, ვინც უარესს არა გრძნობს უფრო.

ლაისტერი

კარგად იცნობენ ლორდ სესილს იღუმელ მზერას,
როს სახელმწიფო შეთქმულებზე ნაღობს იგი.
— და სწორედ ახლა თქვენთვის კარგი დრო დადგა, მილორდ.
ჩადენილია საშინელი დანაშაული,
დამნაშავე კვლავ მოცულა იღუმელებით.
ისევ აღდგება ჩვენზე მკაცრი ინკვიზიცია,
სიტყვა და მზერა დაიწყებენ ურცხვ თარეშს ისევ
და მოგვიხდება აზრზედაც კი პასუხისგება.
თქვენ ხართ პირველი მამაკაცი, ქვეყნის ატლანტი,
მთელი ინგლისი გასვენიათ გოლიათ მხრებზე.

ბერლეი

მე მოწაფე ვარ, თქვენ კი—ჩემი მასწავლებელი,
რადგან ასეთი გამარჯვება, რაც ლამაზ სიტყვით
თქვენ მოიპოვეთ, მე არასდროს მომიხვეჭია.

ლაისტერი

რასა გულისხმობთ თქვენ მაგაში, მილორდ ბერლეი?

ბერლეი

განა თქვენ იგი არ იყავით, ვინც ჩემს ზურგს უკან
ფორტინგისკენ გაიტყუა ელისაბედი?

ლაისტერი

მე თქვენს ზურგს უკან! როდის იყო, რომ თქვენი შიშით
ჩემს მოქმედებას ვმალავდი მე?

ბერლეი

თქვენ წაიყვანეთ
ფორტინგისკენ დედოფალი? არა, თქვენ არა...
თვით დედოფალმა ინება, რომ იქ წაიყვანეთ.

114

ლაისტერი

მაგითი რისი თქმა გსურთ, ლორდო?

ბერლეი

თქვენ აიძულეთ
დედოფალი, რომ მას იქ წასვლით გაეთამაშა
კეთილშობილი პიროვნების წარმტაცი როლი!
დედოფლის ნდობა რა ტრიუმფით დააჯილდოვეთ!
ჰოი, კეთილო დედოფალო, რაივ დაგცინეს,
როგორ სასტიკად გილატეს და მოგატყუეს!
— აი, ეს არის სულგრძელობა და შებრალება
რაც საბჭოში თქვენ ასე უცებ გამოიჩინეთ.
სწორედ ამიტომ გადაიქცა ეს სტიჟარტი
ისე სუსტ მტრად, რომ ყურადღების ღირსიც არაა,
რომ გარჯადაც კი აღარა ღირს იმისი სისხლით
ჩირქი მოიცხოს დედოფალმა. ზუსტია გეგმა,
ძალზე მახვილიც, მაგრამ სწორედ ამავე მიზეზით
ეს გეგმა უკვე ჩაიფუშა, მახვილი მოტედა.

ლაისტერი

წამოწყეთ ახლავ, საზიზღარო, რომ მაგ სიტყვისთვის
პასუხი გამცეთ თვით დედოფლის ტახტის წინაშე.

ბერლეი

იქ ჩვენ შევხვდებით, ლორდ ლაისტერი, და მაშინ სცადეთ,
არ გილალატოთ მაგ ჩვეულმა ენამქვერობამ.
(გადის)

გეორგი

ლაისტერი მართო, შემდეგ მორტიმერი

ლაისტერი

აღმოჩენილი ვარ მე უკვე, ეპიმიტიანილი...
მაგ უბედურმა ნეტავ ჩემს კვალს როგორ მიაგნო!
ვაგლახ მე, თუ მას გააჩნია რამე საბუთიც!
დედოფალმა რომ შეიტყოს ის ურთიერთობა,
რაც მაქვს მარია სტიჟარტთან,—ო, ღმერთო, მაშინ
რა დამნაშავე აღმოჩნდება მე მის წინაშე!
როგორ ვერაგულ ორპირობად მოეჩვენება

115

მას ჩემი რჩევა და ჩემი ცდა ბედუქუღმართი,
რონლითაც იგი გავიტყუე ფორტინგეში!
ხომ დანახავს, რა ბოროტად დავეცინე მე მას,
ვულაატე და მის საქულველ მტერში გავცევალ!
ო, არასდროს არ მავატეებს იგი მე ამას!
მტრული განზრახვა აღმოჩნდება ეს ყველაფერი:
მათი საუბრის დასასრული, ესოდენ მწარე,
მოპირდაპირის ზეიმობა, დაცინვა მკაცრი,
და თვითონ ვსეც, სისხლიანი ხელი მკვლელისა,
საზარ ბედისგან აღმართული მოულოდნელად,
იფიქრებენ, რომ მე აღუჭურვე მის წინააღმდეგ!
ხსნას ვერაფერში ველარ ვხედავ. ჰა! ეს ვინ მოდის?

მორტიმერი

(შემოდის ძალზე შეშფოთებული და გარშემო იტყობა)

გრაფო ლაისტერი! თქვენ ბრძანდებით? ჩვენ მარტონი ვართ?

ლაისტერი

ო, უბედურო, გასწით იქით! აქ რას ეძიებთ?

მორტიმერი

აღმოაჩინეს ჩვენი კვალი და თქვენც მოგაგნეს.
ფრთხილად იყავით!

ლაისტერი

გასწით იქით!

მორტიმერი

უკვე იციან,
რომ ობეპინთან საიდუმლოდ ვიკრიბებოდით.

ლაისტერი

რაში მაჯავრებს მერე ეგ მე?

მორტიმერი

და იმ კრებებზე
რომ თვითონ მკვლელიც ესწრებოდა.

ლაისტერი

ო, საძაგლო, ვით გაპბედეთ ჩემი საქმეა!
116

მაგ თქვენს სისხლიან და საზიზღარ დანაშაულში?
თვით აგებთ პასუხს მაგ ბოროტი საქციელისთვის!

მორტიმერი

გთხოვთ მომისმინოთ...

ლაისტერი

(ძალზე განრისხებული)

ჯოჯოხეთშიმც გამგზავრებულხართ!

რას დამდევთ უკან გამუდმებით ბოროტ სულივით.

შორს! გამეცალეთ! არც კი მინდა, რომ თქვენ გიცნობდეთ,
რა მაქვს საერთო შეთქმულებთან, კაცის მკვლელებთან?

მორტიმერი

მოსმენაც არ გსურთ. მე მოვედი გასაფრთხილებლად.
სუსველაფერი იციან მათ თქვენს შესახებ...

ლაისტერი

ა!

მორტიმერი

როგორც კი მოხდა უბედური საქმე, მაშინვე
მილორდ ბერლეი გამოცხადდა ფორტინგეში,
წამსვე საკანი დედოფლისა გაჩხრიკეს მკაცრად
და იპოვეს...

ლაისტერი

რა?

მორტიმერი

დაწყებული დედოფლისაგან

წერილი თქვენი მისამართით...

ლაისტერი

ო, უბედური!

მორტიმერი

რომელშიც ის გთხოვთ არ გასტეხოთ ვაჟკაცის სიტყვა
და ერთხელ უკვე შეპირებულ ხელს კვლავ გთავაზობთ,
იქვე იგონებს ის სურათსაც...

ლაისტერი

ჰოი, სიკვდილო!

მორტიმერი
ლორდ ბერლის აქვს ის ბარათი.
ლაისტერი

მე დავიღუპე!
(მორტიმერის ლაპარაკის დროს სასოწარკვეთილებით აღსავსე
დაიარება წინ და უკან)

მორტიმერი

ნულარ აყოვნებთ, ისარგებლეთ მარჯვე მომენტით,
გადაარჩინეთ თქვენი თავი, იხსენით ისიც...
მიმართეთ ფიცს და ყოველნაირ თავის მართლებას
და აცილეთ უდიდესი რისხვა თავიდან.
მე აღარაფრის გაკეთება არ შემიძლია,
შემომეფანტნენ მეგობრები და დიდიხალა
ჩვენი კავშირი. აწ ვისწრადი შოტლანდიისკენ,
რომ იქ ახალი მეგობრები შემოვიკრიბო.
რიგი თქვენზეა, გააკეთეთ, რასაც შეიძლება.
თქვენი გავლენა, თქვენი ქება!

ლაისტერი
(შეჩერდება და უცებ რაღაცას მოიფიქრებს)

აი, მე ეს მსურს.

(ზიდის კარისკენ, გამოაღებს და იძახის)

ჰე, ქეშიკებო!

(ოფიცერს, რომელიც შეიარაღებული მცველებით შემოდის)

დაიჭირეთ, მოლაღატა!

ფხიზლად ადევნეთ თვალყური, რომ არსად გაგმქცეთ.
მე საზიზღარი შეთქმულება აღმოვაჩინე,
რის შესახებაც მოვახსენებ დედოფალს თვითონ.
(გადის).

მორტიმერი

(პირველად გაოცდება, მაგრამ მალე გამოერკვევა და გააყოლებს
ლაისტერს ზიხლით აღსავსე მხერას)

ახ, საზიზღარო!—მაგრამ მე ეს დავიმსახურე!
ვინ მაძალბდა, ამ საცოდავს რომ ვენდობოდი?
ახ, იგი ახლა ჩემს კისერზე გადააბიჯებს,
ჩემმა დამხობამ მას ხსნის ხილი უნდა აუგოს.
118

— მაშ მეც დაგისნის, ჩემი ბაგე დაიკეტება,
ჩემს დაღუპვაში, არ მინდა, რომ შენ ჩაგიყოლო.
შენთან კავშირი სიკვდილშიც არ შემიღებდა,
სულმდაბლისათვის სიცოცხლე სიკეთე მხოლოდ.

(ოფიცერს, რომელიც მას შესაყრობად მიუახლოვდება)

რა გინდა ჩემგან, ყურმოჭრილო მონავ, რას ცდილობ?
თავისუფალი ვარ მე, აი!—შე სასაცილოვ!

(იძრობს ხანჯალს)

ოფიცერი

წაართვით ჩქარა, იარაღი ჰქონია თურმე!
(მცველები მისცივიან; მაგრამ მორტიმერი მათგან თავს გაინთავისუფლებს)

მორტიმერი

თავისუფალი ვარ და ძალმიძს უკანასკნელ წუთს
გული გადავხსნა, ენას მიცეე თავისუფლება!
წყველა, სიკვდილი თქვენ, რომელთაც ღვთაებას თქვენსას
და თქვენს ქეშმარიტ დედოფალსა ზურგი აქციეთ,
ცრულდ, ორგულად რომ განუდგით და უღალატეთ,
როგორც ზეციერ მარიამსა, ისე მიწიერს,
და ამ ნაბუშარ დედოფალზე გასცვალეთ იგი...

ოფიცერი

გესპით, რარიგად იგინება! ჰა, შეიპყარით!

მორტიმერი

ვერ დაგისნის, საყვარელო, მაგრამ იცოდე
შენი გულისთვის ვაქაცუხად მოკვდები მეცა.
მარიამ, ჩემო ანგელოზო, ჩემთვის ილოცე
და წამიყვანე შენთან ერთად მეც მაღალ ზეცას!
(ხანჯალს დაიკებს და მცველის მკლავეზე გადაესვენება)

მეხუთე გამოსვლა

დედოფლის ოთახი

ელისაბედი (წერილით ხელში). ბერლი

ელისაბედი

მაშ მიმატყუა და დამცინა იმ მოლაღატემ?
ზეიმითაც რომ წარმადგინა თავის სატრფოსთან!

არც ერთი ქალი ჯერ ასე არ მოტყუებულა,
მილორდ ბერლეი!

ბერლეი

დედოფალო, გონს ვერ მოგსულვარ,
ვერ გამოვიბა, თუ რა ძალით, რა ჯადოსნობით
მოახერხა მან, დაეძლია ჩემი დედოფლის
ნათელი ჰქუ-

ელისაბედი

ოჰ, მთლად ვიწვი სირცხვილისაგან!
ის როგორ უნდა დასცინოდეს სისუსტეს ჩემსას!
მე სტიუარტის დამცირება მიწოდდა, მაგრამ
მისი დაცინვის საგანი მე თვითონ ვყოფილვარ!

ბერლეი

ახლა ხომ ხედავ, ჩემი რჩევა რა სწორი იყო!

ელისაბედი

ო, იმიტომაც დავისაჯე ასე ძალიან,
რომ თქვენი ბრძნული რჩევისათვის მე ყურნი დავხშე.
მე მას არ უნდა ვრწმუნებოდი? მის მხურვალ ფიცში
ნუთუ მე უნდა მშინებოდა დაგებულ მახის?
სხვას ვისლა უნდა მივენდო, როს იგიც მღალატობს?
ის, ვინც დიდთ შორის უფრო მეტად დიდებულ ვყავი,
ვინაც ჩემს გულთან იყო მუდამ ყველაზე ახლოს,
ვისაც მე თვითონ ნება დავრთე, რომ სასახლეში
მოქცეულიყო, როგორც მეფე, როგორც ბატონი!

ბერლეი

სწორედ მაგ დღიდან ლაისტერმა გაგცვალათ უკვე
ამ ცრუ, საცოდავ დედოფალზე შოტლანდიისა.

ელისაბედი

სტიუარტი მე გადამიხდის თავისი სისხლით!
— შედგენილია განაჩენი?

ბერლეი

თანახმად შენი ბრძანებისა. უკვე მზადაა,
120

ელისაბედი

ის უნდა მოკვდეს!
თვით ლაისტერმა უნდა ნახოს თავისი თვალით
მისი სიკვდილი, შემდეგ იგიც იმის კვალს გაჰყვეს.
ამოვიგლიჯე იგი უკვე ჩემი გულიდან,
სიყვარულის წილ, აწ საესე ვარ შურისძიებით,
და რამდენადაც მაღლა იდგა აქამდე იგი,
ასევე დაბლა, სამარცხვინოდ უნდა დაეცეს.
დე გადაიქცეს ძეგლად ჩემი სისასტიკისა,
ვით მაგალითი იყო ჩემი სისუსტის იგი.
დე ტოიერში ჩაამწყვდიონ; პერებს მოეხმობ
მის განსასჯელად და კანონის მთელი სიმკაცრით
უნდა დასაჯონ.

ბერლეი

იგი შენთან შემოიჭრება
და შეეცდება შენს წინაშე თავის მართლებას.

ელისაბედი

ვით შეუძლია ჩემს წინაშე თავის მართლებას?
განა წერილი არ ამბილებს? ო, მისი ბრალი
უკვე დღესავით ნათელია.

ბერლეი

შენ გულჩეილი ხარ
და მისი ერთი დანახვაც კი საქმარისია...

ელისაბედი

მე აღარა მსურს მისი ნახვა. ო, არასოდეს!
ბრძანება უკვე ხომ გაეცით, რომ იგი ჩემთან
არ შემოუშვან, როცა მოვა?

ბერლეი

ნაბრძანებია!

ჰაქი

(შემოდის)

მილორდ ლაისტერი!

ელისაბედი

საზიზღარი! უთხარი, არ ესურს
მე მისი ნახვა.

პაეი

ლორდს მაგის თქმას ვერ გავუბედავ;
რადგანაც იგი ამას მაინც არ დამიჯერებს.

ელისაბედი

იგი მე ისე განვადიდებ, რომ ჩემ მსახურსაც
იმისი უფრო ეშინია, ვიდრე თვით ჩემი.

ბერლეი

(პაეს)

დელოფალი მას თავის ნახვის ნებას არა რთავს.

(პაეი გაღის ყოყმანით)

ელისაბედი

(რამდენიმე ხნის დუმობის შემდეგ)

თუ მან შეიძლო ჩემს წინაშე თავის მართლებას?
ხომ შეიძლება სტიუარტმა დამიგო მახე,
რათა ერთგული მეგობარი ჩამოამოშროს?

იგი ხომ ასე გაქნილია თალღითობაში!
იქნებ ბარათი მას იმისთვის მისწერა, რომ მე
საშინელ ეჭვით მომიშხამოს გული და მას კი,
რომელიც ასე ძალიან სძულს, თავს დაატეხოს
უბედურება...

ბერლეი

დელოფალო, კარგად დაფიქრდი...

მეძვესე გამოსვლა

იგივენი. ლაისტერი.

ლაისტერი

(ძალით შემოაღებს კარს და შემოდის მბრძანებლური იერით)

მინდა ვნახო ის უსირცხვილო, ვინც მე მიკრძალავს,
ჩემი დედოფლის საყვანეში რომ შემოვიდე.

აჰ! უტიფარო!

ელისაბედი

ლაისტერი

და მე უარს მეუბნებიან!
მისი ნახვა თუ შეუძლია ვიღაც ბერლესს,
მე რატომ აღარ შემიძლია!

ბერლეი

მილორდ, ძალიან

გაკადნიერდით, უნებართვოდ რომ შემოხვედით.

ლაისტერი

თქვენ კი ძალიან გათავებდით, რომ აქ ხმას იღებთ.
რამ? ნებართვა? ჩე მგონია. ამ სასახლეში
არავინაა ისეთი, რომ მისგან ნებართვას,
ან უარის თქმას ლაისტერი ელოდებოდეს!
(ამასობაში წყნარად მიუახლოვდება ელისაბედს)
მე თვითონ ჩემი დედოფლისგან მსურს მოვისმინო...

ელისაბედი

(არ შეხედავს)

შორს, საზიზღარო, ჩემმა თვალმა აღარ გიხილოს!

ლაისტერი

არა ჩემს კეთილ ელისაბედს, ნუზიდს და უწყინარს,
არამედ ჩემს მტერს, ლორდ ბერლესს, ვუსმენ მაგ სიტყვებს...
ჩემს ელისაბედს მივმართავ, რომ ყური მათხოვოს,
მას ხომ უსმინე, მეც ამასვე მოვითხოვ შენგან.

ელისაბედი

თქვით, უსირცხვილოვ! უარპყავით და ამით უფრო
დაამძიმებთ და ნათელს გახდით თქვენს დანაშაულს!

ლაისტერი

დე ჯერ გაგვშორდეს ეს ზედმეტი ადამიანი!—
გაგვშორდით, მილორდ... იმას მოწმე არა სჭირდება,
რაც დედოფალთან მაქვს სათქმელი.

ელისაბედი

(ბერლესს)

დარჩით. მე ვბრძანებ!

ლაისტერი

რა ადგილი აქვს მესამე პირს მე და შენს შორის!
ჩემს სათაყვანო დედოფალთან მაქვს ახლა საქმე!
ჩემი უფლება მსურს დაეცვა, წმინდა უფლება!
სწორედ ამიტომ ვთხოვლობ, რომ ლორდი გავიდეს!

ელისაბედი

მგრეთ ზვიადი საუბარი კარგად შეგუერთით!

ლ ა ი ს ტ ე რ ი

დიახ, შემფერის, რადგან მე ის ბედნიერი ვარ,
რომელიც, შენი მოწყალებით ამოდლებული,
ალემატები აქ ყველას და თვითონ ამ ლორდსაც.
თვით შენმა გულმა მომანიჭა მე ეს ხარისხი
და მას, რაც მომცა სიყვარულმა, ვფიცავ ღვთაებას,
შვეინარჩუნებ, თუნდ დამიჯღღეს სიცოცხლის ფასად.
წავიდეს ის და ორი წუთიც არ დაგვკირდება,
უწინდებურად რომ მიეხუზდეთ ერთმანეთს ისევ.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი

ამოდ ფიქრობთ, ცბიერებით დამიყოლიათ.

ლ ა ი ს ტ ე რ ი

მოლაყბემ უკვე შესძლო შენი დაყოლიება,
მე კი მინდა, რომ თვითონ შენს გულს ველაპარაკო,
და რაც გაგებდე, დანდობილმა შენს წყალობაზე
მსურს გავამართლო მარტოოდენ მე მის წინაშე.
მე სხვა სამსჯავროს არ ვცნობ, გარდა შენი გულისა.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი

ო, უსირცხვილოვ! მსჯავრი დაგდო პირველად იმან.
უწვენეთ, მილორდ, ეგ წერილი!

ბ ე რ ლ ე ი

აჰა, ინებეთ!

ლ ა ი ს ტ ე რ ი

(დახედავს წერილს და სრულებითაც არ დაიბნევა)

ეს სტიუარტის ხელი არის!

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი

მაშ წაიკითხეთ,

სირცხვილისაგან დაღუპდით და ენა ჩაიგდეთ!

ლ ა ი ს ტ ე რ ი

(წაიკითხვის შემდეგ, მშვიდად)

ეს გარეგნულად მე მამხილებს, მაგრამ მგონია,
მარტო გარეგნულ მხარის გამო მსჯავროს არ დამდებენ.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი

ხომ ვერ უარყოფთ, რომ იყავით ფარულ კავშირში
თქვენ სტიუარტთან, რომ მიიღეთ სურათი მისგან
და რომ დახსნასაც პირადებოდით.

ლ ა ი ს ტ ე რ ი

ძალზე ადივლად

უარყოფდი მაგ საბუთს მტრისას, რომ თავსა ვგრძნობდე
მე დამნაშავედ, მაგრამ წმინდა მაქვს მე სინდისი
და ამიტომაც უყოყმანოდ მსურს ვაღიარო,
რომ ამ ბარათში სიმართლეა.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი

აწ რაღას იტყვი,

ო, უბედურო!

ბ ე რ ლ ე ი

თვითონ ამბობს თავის განაჩენს.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი

შორს ჩემ თვალთაგან! ტოიერში!.. ო, მოლალატეე!

ლ ა ი ს ტ ე რ ი

მე მოლალატე არ გახლავარ. მე შევცდი მხოლოდ,
რომ ეს ნაბიჯი გადამიდგამს შენგან ფარულად;
მაგრამ განზრახვას პატიოსანს მიზნადა ჰქონდა
მტრის აღმოჩენა, შემდეგ მისი განადგურება.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი

თავის დაძვრენის საცოდავი ფანდია ესა!

ბ ე რ ლ ე ი

როგორა, მილორდ? თქვენ გჯერათ, რომ...

ლ ა ი ს ტ ე რ ი

საშიშარ თამაშს

ვაწარმოებდი და მე ვიცი, ასეთი საქმე
მხოლოდ ლაისტერს შეუძლია მოიმოქმედოს.
ქვეყანამ იცის, თუ როგორ მძულს მე სტიუარტი.
ღირსება იგი, რომლითაც მე შემოსილი ვარ,

და ნღობა ჩემი დედოფლისა ექვს არ ჰბადებენ,
რომ ერთგული და წმინდა არის განზრახვა ჩემი.
მხოლოდ მას ძალუძს, ვინც ყველასგან გამოირჩეულა,
თქვენი მეფური მოწყალებით, რომ გაბედული
გზა აირჩიოს, თავის ვალის აღსასრულლებლად.

ბერლეი

რად სდუმდით, თუ ეგ საქმე მართლა კეთილი იყო?

ლაისტერი

მილორდ! თქვენ ლაყბობთ, სანამ რამეს გააკეთებდეთ.
და წინასწარვე გაჰყვირიხართ თქვენ საქმეებზე.
ეს თქვენი ხერხი არის, ლორდო, ხოლო ჩემი კი—
პირველად საქმე, მოქმედება და მერე სიტყვა!

ბერლეი

ახლა მინც თქვით, გაჩუმება აღარა გმართებთ.

ლაისტერი

(ამაყი და დამცინავი მზერით)

მუდამ იქებდით თავს საოცარ საქმიანობით,
რომ დედოფალი იხსენით და აღმოაჩინეთ
მოლაღატენი, ყველაფერი რომ იცით თითქოს,
რომ ვერაფერი ვერ წაუვა თქვენს მახვილ მზერას...
თქვენ ასე ფიქრობთ, საცოდავო ბაქიავ, მაგრამ,
მიუხედავად თქვენი ზვერვის ხელოვნებისა,
სტიუარტს ღღესე გაიყვანდნენ საპატიმროდან,
რომ მე ხელი არ შემეშალა ამ საქმისათვის.

ბერლეი

თქვენ?!

ლაისტერი

ღიახ, მილორდ! გაენდო რა მორტიმერს ჩვენი
დედოფალი და გამოუტყდა სუყველაფერში,
ისე შორსაც კი წავიდა, რომ მას მარიამის
ფარულად მოკვლა დაავალა, რაც მისმა ბიძამ
უარყო ზიზღით... თქვით! ეს განა ასე არ არის?

(დედოფალი და ბერლეი განცვიფრებული გადახედავენ ერთმანეთს)

ბერლეი

მერე თქვენ როგორ გაიგეთ ეს?

ლაისტერი

ასე არ არის?

ახლა, მილორდო! სადა გქონდათ ათასი თვალი,
რატომ ვერ შესძლეთ დაგენახათ, რომ მორტიმერმა
თქვენ მოგატყუათ? ის მგზნებარე პაპისტი იყო,
გიზების მიერ მოსყიდული და სტიუარტთა
ერთგული კაცი, მეოცნებე შეუპოვარი,
ვინც ინგლისს მისთვის ჩამოვიდა, რომ სტიუარტი
პატიმრობიდან გამოეხსნა და დედოფალი
ჩვენი მოეკლა.

ელისაბედ

(უაღრესად განცვიფრებული)

ამ მორტიმერს!

ლაისტერი

სწორედ იმისი

საშუალებით სტიუარტი დამიკავშირდა
და სწორედ ამ გზით მოხდა ჩემი მასთან გაცნობაც.
მორტიმერი თვით გამომიტყდა, რომ იმას ღღესე
უნდა ციხიდან სტიუარტი გამოეყვანა;
წამსვე ვუბრძანე მცველებს მისი დაბატმირება,
და როცა ნახა მისი საქმე განწირულ იყო,
თავი მოიკლა მაშინ იქვე.

ელისაბედ

ოჰ, რა საშინლად

მოგტყუედი მასში. როგორ, ნუთუ ეს მორტიმერი!..

ბერლეი

ეს ახლა მოხდა, იმის შემდეგ, რაც თქვენ დაგცილდით?

ლაისტერი

დიდად ვწუხვარ, რომ მორტიმერმა თავი მოიკლა.
ახლა ცოცხალი რომ იყოს ის, მისი ჩვენება
მომხსნიდა მე ამ დანაშაულს და ყოველგვარ ეჭვს.

სწორედ იმიტომ დავაკავე, რომ შეატრ ძიებას
და სასამართლოს ნათელეყოთ ქვეყნის წინაშე,
რომ არაფერში არ მიმიძღვის დანაშაული.

ბერლეი

მაშ თქვენ ამბობთ, რომ მორტიმერმა თავი მოიკლა?
თვითონ მოიკლა იმან თავი, თუ თქვენ მოჰკალით?

ლაისტერი

ოხ, საზიზღარი უნდობლობა. მაშ მოუსმინეთ
თვითონ იმ ქეშეის, რომელსაც მე ის ჩავაბარე.
(მისი კართან და ეხახის, შემოდის სამცველის ოფიცერი)
გთხოვთ ჩვენს დედოფალს მოახსენოთ, თუ მორტიმერმა
როგორ მოიკლა თავი თქვენს წინ.

ოფიცერი

წინა დარბაზში

გუშაგად ვიდექ, როს მილორდმა კარი სასწრაფოდ
გამოაღო და მიბრძანა მე დაბატიმრება
რაინდისა, ვით სახელმწიფოს მოღალატესი.
ჩვენ თვითონ ვნახეთ, თუ რარიგად გაცოფებულ
იხსენიებდა ის დედოფალს უშვერი სიტყვით.
იმრო ხანჯალი და, ვიდრე ჩვენ გავაკავებდით,
დაიცა მკერდში, ძირს დაეცა უსულოდ იქვე.

ლაისტერი

კარგი, კმარა, სერ! შეგიძლიათ წაბრძანდეთ ახლა.
რაც საჭიროა, დედოფალმა უკვე შეიტყო.
(ოფიცერი გადის)

ელისაბედი

ჰოი, რარიგი უფსკრულია სულმდაბლობისა!

ლაისტერი

აბა, ვინ გიხსნა, დედოფალო? მილორდ ბერლეიმ?
თუ იცოდა მან იგი საფრთხე, შენს გარშემო რომ
ქსელს აბამდა? მან ეს საფრთხე თუ აგარიდა?
შენ ლაისტერი მოგველინა მხსნელ ანგელოზად.

ბერლეი

გრაფო! ის, მართლაც, მოხერხებულ დროს მოკვდა თქვენთვის.

ელისაბედი

არ ვიცი, რა ვთქვა. თან არ მჯერა, თან გერწმუნებით.
ხან ვფიქრობ, რომ თქვენ დამნაშავე არ უნდა იყოთ,
ხან კი ასეთად მიმაჩნიახართ! იმ საზიზღარმა
რაოდენ ტანჯვას გადამიკლა.

ლაისტერი

ის უნდა მოკვდეს.
ახლა მომხრე ვარ მისი დასჯის. მე შენ გირჩევდი,
რომ განაჩენი სისრულეში არ მოგეყვანა,
ვიდრე ხელს არვინ აღმართავდა მისი გულისთვის.
ეს უკვე მოხდა და მეც ვითხოვ, რომ განაჩენი
მოყვანილ იქნეს სისრულეში დაუყოვნებლივ.

ბერლეი

ამას გვირჩევთ თქვენ! თქვენ თვითონვე!

ლაისტერი

ძლიერ მაღშფოთებს
ამგვარი ზომა, სასტიკი და უიღბურესი,
მაგრამ მე ვხედავ, რომ დედოფლის კეთილდღეობა
ითხოვს ასეთი სისხლიანი მსხვერპლის ვალებას,
და ვუსუამდგომლობ, რომ ბრძანება ახლავ გამზადდეს.

ბერლეი

თუ ლორდი მართლა ამას ფიქრობს სერიოზულად,
მაშინ მოვიტხოვ, რომ თვითონვე მას დაევალოს
აღსრულება ამ სასამართლოს განაჩენისა.

ლაისტერი

მე?

ბერლეი

თქვენ! მაშინ უკეთესად ჩამოიცილებთ
იმ ეჭვს, რომლითაც ახლაც კიდევ დატვირთული ხართ,
როცა მას, ვისი სიყვარულიც ბრალად გედებთ,
დაასჯენიებთ ეშაფოტზე თავის მოკვეთით.

ელისაბედი

(დაკინებთ შუქურის ლაისტერს)

ლორდი კარგს გვირჩევს და ეს სწორედ ასეც მოხდება.

9. ფრიდრიხ შილერი

ლ ა ი ს ტ ე რ ი

ჩემ ხარისხს უნდა სულ ადვილად გამოვეხსენი ამ სამწუხარო შინაარსის დავალებიდან, — იგი შეჭერის უფრო კარგად ვილაც ბერლების. მას კი, ვინც ასე ახლოსა დგას თვის დედოფალთან, არა მართებს, რომ აღასრულოს ბოროტი საქმე. მაგრამ მე, ჩემი ერთგულების დასამტკიცებლად, ჩემი დედოფლის სურვილი რომ დაკმაყოფილდეს, უარს ვაცხადებ ჩემს ხარისხზე, ჩემს უფლებებზე და აღეასრულებ ამ საზიზღარ მოვალეობას.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი

მაგ თქვენს მძიმე ხვედრს ლორდ ბერლიეც გაინაწილებს.
(ბერლის)

მილორდ, იზრუნეთ, რომ ბრძანება ახლავ გამზადდეს.
(ბერლიე გადის. გარედან მოისმის ზმაური)

მ ა ზ ვ ი დ ე გ ა მ ო ს ვ ლ ა

გ რ ა ფ ი კ ე ნ ტ ი დ ა ი გ ი ვ ე ნ ი

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი

რა ამბავია ეს, ლორდ კენტი? რამ აადლევა ჩემი ქალაქი? რას ნიშნავს ეს?

კ ე ნ ტ ი

ეს ხალხი არის, შენს სასახლეს რომ გარს ერტყმება. იგი თხოულობს, თავის ძვირფასი დედოფალი იხილოს თვალით.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი

რა სურს ჩემ ხალხსა?

კ ე ნ ტ ი

შეაძრწუნა ლონდონი შიშმა, რომ შენს სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე, რომ მკვლელნი, რომის პაპისგან მოგზავნილნი, გივლიან ირგვლივ, თითქოს კათოლიკთ ფიცი დადეს, რომ სტიუარტი ძალით დაიხსნან და დედოფლად გამოაცხადონ. ეს ბრბოსა სჯერა და მრისხანებს. მხოლოდ ერთი რამ

დაამშვიდებს მას: თუ ნახავენ დღესვე მოკვეთილს სტიუარტის თავს.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი

როგორ? უნდათ მე მაიძულონ?

კ ე ნ ტ ი

მათ გადაწყვიტეს, აქედან ფეხს არ მოიცილიან, ვიდრე განაჩენს დედოფალი ხელს არ მოაწერს.

მ ა რ ვ ე გ ა მ ო ს ვ ლ ა

ბ ე რ ლ ე ი, დ ე ვ ე ს ო ნ ი დ ა ი გ ი ვ ე ნ ი
ქ ა ლ ა ლ ი თ ხ ე ლ შ ი

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი

რა მოიტანეთ ეგ, დევისონ?

დ ე ვ ე ს ო ნ ი
(მიუახლოვდება, სერიოზულად)

შენ ხომ მიბრძანე,

დედოფალო, რომ...

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი

რა არის ეგ?

(სურს ქალაღი გამოართვას, მაგრამ დახვდავს და ათრთოლებული უკან დაიწევს)
ო, ღმერთო ჩემო!

ბ ე რ ლ ე ი

დაემორჩილე: ხმა ღვთისა და ხმა ერისაო.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი

(გაუბედავად, ებრძვის რა თავისთვის)

ძვირფასნო ლორდნო! ვინ მეტყვის მას, რომ მე ნამდვილად მთელი ქვეყნის და მთელი ხალხის ხმას ვისმენ ახლა! შე ის მაშინებს, რომ, როდესაც სურვილს ხალხისას დაემორჩილდები, გავიგონებ სულ სხვა ხმას მაშინ, რომ თვითონ იგი, ვინც ამ საქმეს მაიძულებდა, როს ასრულდება საქმე ესე, გამკიცხავს მკაცრად!

მეცხრე გამოცემა

გრაფი შრუსბერი და იგივენი

შრუსბერი

(შემოდის ძალზე აღელვებული)

შენ გაჩქარებენ, დედოფალი! დადექი მტკიცედ!
(შეაჩვენებს დევისონის ხელში ქაღალდს)

თუ ეს კიდევაც უკვე მოხდა? ნუთუ ნამდვილად?
მის ხელში ვხედავ ფურცელს, ავის მომასწავებელს.
დე ეს ფურცელი ნუ მოხვედება ჩემი დედოფლის
თვალია წინ ახლა.

ელისაბედი

ჩემო შრუსბერი! მაიძულებენ.

შრუსბერი

ვის შეუძლია გაიძულოს? მბრძანებელი ხარ,
დიდება შენი აქა გმართებს გამოიჩინო!
აიძულე და დაადუმე ეს მკაცრი ხმები,
რომლებიც ისე გათამამდნენ, რომ შენი ნება
სურთ აიძულონ, თვის კუთაზე წარმართონ იგი.
ხალხს დაეფულა ღრმა შიში და დაბნეულობა,
შენც უკვე თავი აღარ გახსოვს გაგულისებულს,
ადამიანი ხარ შენც ახლა, არ ძალგის განსჯა.

ბერლეი

უკვე დიდი ხნის განსჯილია. ჩვენ აქ სრულებით
არა ვეჭირდება გამოტანა განაჩენისა,
აქ მხოლოდ მისი აღსრულება არის საჭირო.

კენტი

(როზელიც შრუსბერის შემოსვლის დროს ვარეთ გავიდა, უკან ბრუნდება)
ძრწოლვა მატულობს და ხალხს დიდხანს ვერ შეევაკავებთ.

ელისაბედი

(შრუსბერის)

ხომ კარგად ხედავთ, მილორდ, როგორ მაიძულებენ!

შრუსბერი

მოვითხოვ მხოლოდ გადადებას. ხელმოწერა სწყვეტს
შენი სიცოცხლის სიმშვიდეს და ბედნიერებას.

მასზე ფიქრობდი მთელი წლების განმავლობაში,
აწ ნუთუ უნდა მშფოთარე წამს დაემორჩილო?
მხოლოდ მცირე ხნით გადადევ და შემოიკრიბე
სულის მხნეობა, დაელოდე უფრო მშვიდ საათს.

ბერლეი

(ცხარედ)

დაელოდე და იყოყმანე, ვიდრე სამეფო
ცეცხლის აღში არ გაეხვევა და სტიუარტი
არ მოახერხებს საბოლოოდ, რომ მოგაკედინოს.
ღმერთმა შენ სამჯერ აგაცილა ხელი მკვლელისა;
დღესაც ის ახლოს შეგებო და კვლავ სასწაულზე
დაიმედება, ღვთის გამოცდა იქნება მხოლოდ.

შრუსბერი

ღმერთი, რომელმაც ოთხჯერ გიხსნა საოცარ ხელით,
ვინც ძალა მისცა დღეს მოხუცის ღონიზილილ მაჯას,
რომ გაემარჯვა სასტიკ მტერზე—ღრისია ნდობის.
მართლმსაჯულების დასაცავად ხმას არ ვიმაღლებ
და ამის დრო არც არის ახლა. აწ, სულ ერთია,
ამ ქარიშხალში შენ არ ძალგის მოსმენა მისი,
მაგრამ მაინც გთხოვ მოისმინო ეს ერთი რჩევა!
შენ ეს ცოცხალი მარიამი გაძრწოლებს დიდად,
მაგრამ არ უნდა გეშინოდეს ცოცხლისა ასე.
შენ თრთოლვა გმართებს თავმოკვეთილ ცხედრის წინაშე;
იგი აღდგება, ვით ქალღმერთი განხეუქილების,
ვით შურმგებელი სული, კუნძულს მილად შემოვიღის
და შენი ხალხის ერთგულ გულებს ორგულად აქცევს.
ახლა ბრიტს მისი ეშინია, ამიტომ სძულს ის,
მაგრამ იგივე შურს იძიებს მკვდრისათვის შენზე.
არა მტერს თავის საკუთარი რწმენის, არამედ
მხოლოდ შეილიშვილს, შთამომავალს თავისი მეფის,
მარტოოდენ მსხვერპლს სიძულვილის, ექვიანობის,
გამოტირებულ დედოფალში ის დაინახავს!
ამ ცვილებსთვის შენ დიდხანს ცდა არ დაეჭირდება.
გაღი ღონდონში ამ სისხლიან საქმის შემდეგ და
უჩვენე იმ ხალხს, რომელიც შენ გარს გეხვეოდა,
მაშინ სულ სხვა ხალხს დაინახავ და სულ სხვა ინგლისს,
რადგან გარს აღარ მოგეცემა სიმართლის შუქი,
რომელიც ყველა გულებს ასე გიმორჩილებდა,

რადგანაც ში ში, საშინელი თანამზღებელი
ტირანისა, ყველგან თრთოლვით წინ წაგიძლევა
და დაგეცლება ხალხისაგან ყოველი ქუჩა.
შენ უკანასკნელ, უკიდურეს ზომას მიმართე.
რომელი თავი იგარძნობს მხრებზე სულის სიმშვიდეს,
თუკი ეს წმიდა ძირს გაგორდა განუკითხავად!

ელისაბელი

შრუსბერი! დღეს თქვენ დაიხსენით სიცოცხლე ჩემი,
მკვლელის ხანჯალი თავიდან თქვენ გადაშლილეთ...
რად შეაჩერეთ, რომ მას ის არ დაეკრა ჩემთვის?
ყოველგვარ დავას მაშინ ბოლო მოეღებოდა,
უცოდვლი და ეჭვებისგან თავისუფალი
დავისვენებდი ჩემს მღუმარე საფლაოში მაშინ.
მე სიცოცხლემ და მბრძანებლობამ მართლაც მომღალა!
თუკი ჩვენთანგან საჭიროა ერთი დაემოს,
რათა მეორემ ქვეყანაზე იცოცხლოს ამით—
და ვგარძნობ, სხვაგვარად ეს არც არის შესაძლებელი—
განა არ ძალმიძს გზა დაუთმო, ჩამოვეცალი?
დე ჩემმა ხალხმა აირჩიოს ის, ვინც მას უნდა,
მას ჩემს დიდებას და ჩემს გვირგვინს უკან ვუბრუნებ.
ღმერთი მოწყობა, რომ მე არა ჩემი თავისთვის,
არამედ ხალხის სიკეთისთვის ვიღვწოდი მხოლოდ.
თუ ჩემი ხალხი ელის ცბიერ სტიჟარტისგან,
ამ ახალგაზრდა დედოფლისგან, ბედნიერ დღეებს,
მაშინ გადმოვალ ტახტიდან მე და დაქრუნდები
ისევე ვუდსტოკის წყნარ, მღუმარე სიმარტოვეში,
სად უხმაუროდ გავატარე ახალგაზრდობა,
სადაც, შორს მყოფმა ამქვეყნიურ დიდებისაგან,
სულ სხვა დიდება ჰემმარიტი ჩემს თავში ეპოვე...
მე მბრძანებელი სრულებითაც არ ვარ ბუნებით,
ხელმწიფე უნდა მკაცრი იყოს,—მე გულჩვილი ვარ.
დიდხანს ვმართავდი მე ამ კუნძულს სვებედნიერად,
რადგანაც მისთვის მსურდა მხოლოდ ბედნიერება...
და პირველივე მძიმე ვალის აღსრულებისას,
ვგარძნობ ჩემს სისუსტეს, უძლურებას.

ბერლეი

როცა მე მესმის დედოფლისგან ისეთი სიტყვა,
ახ, ღმერთო ჩემო!

რომლის წარმოთქმა ხელმწიფეს არ შეეფერება,
რომ გავჩუმდე და მე ამაზე არაფერი ვთქვა,
ხომ ვულაღატებ საშობლოს და მოვალეობას.
— შენ ამბობ: გიყვარს შენი ხალხი შენს თავზე მეტად,
მაშ დავემტკიცე იგი ახლა! ნუ ირჩევ შენთვის
სულის სიმშვიდეს, ქვეყანას კი შფოთში ნუ აგდებ.
— ეკლესიაზეც იფიქრე შენ. ნუთუ კვლავ ძველი
კრურწმენა უნდა დაგვიბრუნოს ამ სტიჟარტმა?
ნუთუ ბერები ისევ უნდა გავგიბატონდნენ?
ნუთუ ლევატი მოგვევლინოს უნდა რომიდან,
რომ დაგვიკეტოს ეკლესია და ჩვენს მეფეებს
მოუსპოს ტახტი და წაართვას სკიპტრა-გვირგვინი?
— შენთა ქვეშევრდომთ ყველა სულზე შენ აგებ პასუხს,
მათი დალუპვა, გადარჩენა შენზე ჰკილია.
ადილი არ აქვს აქ ნახ, გულჩვილ ლმობიერებას,
ყველაზე მალა დგას თვით ხალხის კეთილდღეობა;
გრაფმა შრუსბერიმ დღეს დაიხანს სიცოცხლე შენი,
მე კი ინგლისის ხსნა მსურს—და ეს უფრო მეტს ნიშნავს!

ელისაბელი

ახლა მიხდა, რომ მართოდ დავრჩე. ამ დიდ საქმეში
აღამიანთან ვერ მივიღებ რაიმე რჩევას.
მსურს განვმარტოვდე უზენაეს მოსამართლესთან
და, რასაც იგი მიმითითებს, მას გავაკეთებ.
— დამტოვეთ, ლორდნო!

(დევისონს)

შეგიძლიათ, სერ, ახლოს დარჩეთ!
(ლორდები მიდიან. მხოლოდ შრუსბერი რჩება რამდენავე წუთს დედოფლის
წინაშე. შემდეგ მიდის. სახეზე ეხატება უდიდესი გულსტკივილი)

მეათე მამოსვლა

ელისაბელი

(მარტო)

ჰოი, მონობავ, სამარტცენიო კმობავ ხალხისა!..
როგორ დამღალა მე ამ კერპთან ფარისეულობამ,
რომელიც ჩემს სულს ასე ძლიერ შესძულებია!
როდის ვიქნები მე ამ ტახტზე თავისუფალი!
ხალხის აზრს უნდა პატივი ვცემ, რომ მოვიხვეწო
ხოტბა ამ ხალხის, სამართალი მივგავო იმ ბრბოს,

რომელსაც მოსწონს მხოლოდ მანქვა და თვალთმაქცობა.
ო, ის როდია ქეშმარიტი მეფე, რომელიც
ვალდებულია მთელი ქვეყნის გული მოიგოს.
მხოლოდ ის არის მეფე, ვინაც ისე მოქმედებს,
რომ არც ერთ კაცის მოწონებას არ საჭიროებს.

რატომ ვცდილობდი ვყოფილიყავ სამართლიანი
და თვინებობა რატომ მძულდა ყოველთვის ასე?
მიტომ ხომ არა, რომ პირველი შემთხვევის დროსვე,
როს საჭიროა ძალადობა, ხელნი შევიკრა!
მე მაგალითი ჩემი წყველად გადამქცევია!
რომ ვყოფილიყავ მე ტირანი, ვით ესპანელი
მარიამ იყო, ჩენზე უწინ ტახტის მფლობელი,
უსაყვედუროდ დაეპყვედი აწ მეფურ სისხლსა.
სამართლიანი ვიყავ ჩემი ნება-სურვილით? —
საჭიროებამ ყოვლის შემძლემ, მეფეთა ნებას
რომ ავიწროებს, მიბობა მე ეს სათნოება.

მტრებშემორტყმული ვინარჩუნებ ამ სადავო ტახტს
ჩემივე ხალხის წყალობით და სიყვარულითა.

ჭირივით ვძლუვარ მე ხმელეთის ყველა მბრძანებელს,
ყველა მიქადის სიკვდილსა და განადგურებას.
რომის პაპი მე თავზე მატებს წყევლას და რისხვას,
ძმური ამბორით საფრანგეთი ღალატს მიბირებს.

ხოლო ზღვაზე კი აშკარა და სასტიკი ომისთვის
ემზადებიან ესპანელები ჩემს წინააღმდეგ.

და მთელი ქვეყნის წინააღმდეგ ვიბრძვი მე ასე,
საბრალო ქალი, ყველასაგან მიტოვებული.

დიდმპყრობელური სათნოებით უნდა დაეფარო
სიწმივე ჩემი უფლებისა და ის ლაქები,

რომელიც მოსცხო მამაჩემმა ჩემს წარმოშობას,
რომლითაც ასე თავი მომჭრა და შემარცხვინა.

ამაოდ ვცდილობ მის დამალვას... მტრის სიძულელივინა
ის აშკარა ჰყო, დამიყენა წინ სტიჟარტი,

როგორც აჩრდილი, მრისხანე და შიშის მომგვრელი.
არა, აწ ამ შიშს უნდა მალე ბოლო მოელოს!

უნდა დაეცეს მისი თავი. სიმშვიდე მინდა.

— ის შურმაგებელი ფურიია ჩემი სიციხლის,
ვით მწვალბეგი სული ჩემ ბედს გადასჯაქვია.

იქ, სადაც ვრგავდი სინარულსა და ვზრდიდი იმედს,
ვით ჯოჯოხეთის გველი, ყველგან გაიწყა გზაზე.

ის შეყვარებულს მაცილებს მე და მტაცებს საქმროს!
გარიამ ჰქვია ყველა ჩემსა უბედურებას,
რომელიც მუდამ თავს მატუდება და მანადგურებს!
როდესაც ქაყნად ის ცოცხალი აღარ იქნება,
თავისუფალი შევიქნები, ვით მითის ჰაერი.

(დუმილი)

რა დამცინავი მძულვარებით მიმზერდა იგი,
თითქოს უნდოდა გაეგვიმირე თვალის ისრებით!
ო უსუსურო! მე უკეთეს იარაღს ვიხმარ,
ის სასიკვდილოდ მოგხვდება და მოგიღებს ბოლოს!

(სწრაფი ნაბიჯით მიდის მაგიდასთან და იღებს კალამს)

ნაბუშარი ვარ მაშ მე შენთვის?.. ო, უბედურო!
ღიახ ასეა, სანამდე შენ ცოცხლობ და სუნთქავ,
მაგრამ ამაზე მოისპობა ექვი მაშინვე,
როცა შენ მოგსპობ. მაშინ ბრიტსაც აღარ ექნება
სხვა არჩევანი და იმისთვის მე შევიქნები
კანონიერი მემკვიდრე და შააჰომავეალი.

(სწრაფად და მტკიცედ აწერს ხელს ბრძანებას, შემდეგ კალამს ხელიდან
გააგდებს და შემშინებული უკან დაიხუტს. რამდენიმე ხნის შემდეგ რეკავს)

მეთერთმეტი ბაჰოსვლა

ელისაბედი. დევისონი

ელისაბედი

სადა არიან სხვა ლორლები?

დევისონი

უკვე წავიდნენ
აღელვებული ხალხის სწრაფად დასამშვიდებლად.
მართლაც, რისხვა და მძვინვარება მაშინვე დასცხრა,
რაწანს გამოჩნდა მათ წინაშე გრაფი შრუსბერი.
„ის არის იგი! ეგ ის არის!“ — წამოიძახეს, —
„რომელმაც იხსნა დედოფალი! ყური დავუბღოთ
უმაძაცეს და პატიოსან კაცს ინგლისისას!“
და დაუწყო ხალხს ლაპარაკი გრაფმა შრუსბერმა,
სიშმაგისათვის ნაზ სიტყვებით დააშუნათა
და ესაუბრა ისე ძლიერ დამაჯერებლად,
რომ ყველაფერი წაის დაწინარდა და მოედინიდან
წავიდა ყველა.

ელისაბედი

ბრბო ყოველთვის ცვალებადია,
ყოველი ქარის დაბერვაზე ირყევა იგი!
ვაი მას, ვინც კი ამ სუსტ ლერწამს დაემყარება! —
კარგი, დევისონ. შეგიძლიათ წახვიდეთ ისევ.

(იმ დროს, როცა დევისონი კარისკენ გაემართება)

და ეს ფურცელიც, სერ დევისონ, წაიღეთ უკან, —
მას თქვენ გაბარებთ.

დევისონი

(სწრაფად დახედავს ფურცელს და შეშინდება)

დედოფალო! შენი სახელი!
ნუთუ შენ უკვე გადასწყვეტიტ?

ელისაბედი

მე უნდა ხელი
მომეწერა და ასეც ვქენი. ჯერ არაფერს სწყვეტს
ეს ფურცელი და ხელმოწერაც არ ნიშნავს სიკვდილს.

დევისონი

შენი სახელი, დედოფალო, ამ ხელმოწერით,
ყველაფერს სწყვეტს და სასიკვდილო მიზანში ურტყამს,
როგორც ფრთიანი ელვის სხევი... ეს ფურცელი ხომ
არის ბრძანება შერიფის და კომისართადმი,
იგი ახლავე ფორტინგიის გაემართება,
გამოცხადდება დედოფალთან შოტლანდიისა
და რიერაჟამდე დაამთავრებს მასთან ყველაფერს.
არავითარი გადადება აქ აღარ მოჩანს!
და სტიუარტი ხომ მაშინვე დაილუპება,
თუ ეს ფურცელი გაიცემა ჩემი ხელიდან.

ელისაბედი

ღიახ, დევისონ, ღმერთი აწ თქვენს სუსტ ხელს აბარებს
ასეთ დიდსა და სამძიმო ბედს. ევედრეთ მას, რომ
თავისი სიბრძნით განანათლოს გონება თქვენი.
მე მივალ, ამ ვალს თქვენს გაკისრებთ აღსასრულებლად.

(სურს წასვლა)

დევისონი

(წინ გადაუდგება)

ო, არა, ჩემო დედოფალო! ნუ მიმატოვებ,
ვიდრე შენს სურვილს აშკარად არ შემატყობინებ.
აქ ხომ არაა კიდევ სხვა რამ სიბრძნე საქირო,
თუ შენს ბრძანებას მე პირდაპირ მივიღო უნდა?
— შენ ხომ ამ ფურცელს იმისათვის მაძლევ; რომ იგი
დაუყოვნებლად მოვიყვანო აღსრულებას?

ელისაბედი

ჰქენით ის, რასაც გიკარნახებთ გონება თქვენი...

დევისონი

(შეშინებული სწრაფად შეაწყვეტინებს)

ო, ჩემი არა! ღმერთმა მიხსნას. მთელ ჩემს გონებას
შეადგენს მხოლოდ მორჩილება, თქვენი მსახური
აქ ვერაფერსაც ვერ გადასწყვეტს და ვერ გაბედავს.
აქ თვით პატარა შეცდომაც კი გადაიქცევა
მეფის მკვლელობად და საშინელ უბედურებად.
ნება მიბოძე, ამ უდიდეს, საშიშ საქმეში
ვიყო მე შენთვის მხოლოდ ჩუმი, ბრმა იარაღი.
მითხარ აშკარად, შენი აზრი გამაგებინე,
ამ სასიკვდილო ბრძანებას მე რა უნდა ვუყო?

ელისაბედი

— მისი სახელი ნათლად ამბობს პასუხს ამისას.

დევისონი

მაშ გსურს, რომ იგი აღვასრულოთ დაუყოვნებლად?

ელისაბედი

(ყოყმანით)

ეგ მე არ მითქვამს და ვართი, როცა ვფიქრობ მაგაზე.

დევისონი

შენ გსურს, რომ იგი შევიწახო მე კიდევ დიდხანს?

ელისაბედი

(სწრაფად)

მაშინ თქვენ აგებთ პასუხს მისი შედეგისათვის.

დევისონი
შე? ლმერთო ჩემო!.. დედოფალო, მითხარ, რა გინდა?

ელისაბედი
(მოუთმენლად)
შე ის მინდა, რომ ამ უბედურ საქმეზე კიდევ
ალარ დამჭირდეს დიხანს ფიქრი, რომ საბოლოოდ
და სამუდამოდ მოვიპოვო სულის მშვიდობა.

დევისონი
ერთადერთ სიტყვად გიღირს იგი. თქვი, გადაწყვიტე,
რა უნდა ვუყო მე ამ ფურცელს?

ელისაბედი
მე ეს უკვე ვთქვი
და ამის მეტად მაგ საქმეზე ნუ შემაწუხებთ.

დევისონი
შენ ეს უკვე თქვი? არა ჩემთვის ეგ არ გითქვია.
მაშინებე და გაიხსენე.

ელისაბედი
(დაუბაკუნებს ფეხებს)
აუტანელო!

დევისონი
მოწყალე მექმენ, დედოფალო! სულ რამდენიმე
თვე არის, რაც მე ვიმყოფები ამ სამსახურში.
კარგად არ ვიცილობ სასახლის და მეფეთა ენას...
მე აღზრდილი ვარ მდაბიო და სადა ჩვევებით
და შენს მონასთან მოთმინება გამოიჩინე!
ნუ დანანებ ჩემთვის სიტყვას, რომ უფრო ცხადად
შემადგენბინო ჩემი საქმე, მოვალეობა...

(მთუახლოვდება მუდარით აღსაყვ მხერთ. ელისაბედი ზურგს შეაკეცვს. დევი-
სონი დგას სასოწარკვეთილებაში ჩაფარდნილი. შემდეგ ლაპარაკობს გაბეღული
ტონით)

მიიღე უკან ეს ქაღალდი! მიიღე უკან!
ვით ანთებული ცეცხლი, იგი მე ხელებს მიწვავს.
მე ნუ ამირჩევ ამ საზარელ და სასტიკ საქმის
აღმასრულებლად.

ელისაბედი
შეასრულეთ, რაც გევალებათ!
(გადის)

მეთორმეტი ბაგოსვლა

დევისონი, მის კვალდაკვალ ბერლვი

დევისონი

იგი მიღის და მე კი მტოვებს აქ უნუგეშოდ,
სასოწარკვეთით მდგარს საშინელ ქაღალდით ხელში...
— რა ვუყო მე მას? შევინახო? გადავცე იგი?

(შემოსულ ბერლვის)

ო, რა კარგია, რომ მოხვედით, მილორდ ბერლვი,
ამ სახელმწიფო სამსახურში თქვენ მომიყვანეთ
და გთხოვთ, რომ თქვენვე დამითხოვოთ... ო, მაშინ ჩემთვის
უცნობი იყო მისი მძიმე მოვალეობა.
გამიშვით, ისევ უცნობ ბრბოში ვაგუჩინარდე,
სადაც მპოვეთ თქვენ! ამ ადგილზე არ გამოვდგები.

ბერლვი

რა გემართებათ, სერ? განხვედით! აბა, სად არის
განაჩენი? თქვენ დედოფალმა ხომ მისთვის გიხმოთ.

დევისონი

განრისხებულმა დამიტოვა მე იგი, მილორდ.
მირჩიეთ რამე! დამეხმარეთ! გამომიხსენით
ამ ჯოჯოხეთურ შიშისა და წამებისაგან!
აი, აქ არის განაჩენი ხელმოწერილი.

ბერლვი

ხელმოწერილი? მომეცით აქ!

დევისონი

ვერა ვებღაე...

ბერლვი

რა?

დევისონი

თავის სურვილი მან ცხადად არ გამაგებინა...

ბერლვი

ცხადად? ხელი ხომ მოაწერა. მომეცით ჩქარა!

დევისონი

მე მოვალე ვარ აღვასრულო... არც მოვალე ვარ...
ო, ღმერთო ჩემო! განა ვიცი, თუ რა უნდა ვქნა!

ბერლეი

(დაფინებული ძალდატანებით)

უნდა ახლავე სისრულეში მოვიყვანოთ ის.
თუ დააყოვნებთ, უსათუოდ დაილუპებით.

დევისონი

თუ დავაჩქარებ, მე მაშინაც განწირული ვარ.

ბერლეი

თქვენ სულელი ხართ, ჰკუთხელი! მომეცით მე ეგ!

(გამოსტაცებს ხელიდან ქალაღს და სწრაფად გადის)

დევისონი

(მისდევს აჩქარებით)

რას შერებთ, მილორდ? დაიცადეთ! თქვენ მაგით მღუპავთ!

მოქმედება მისუთე

სცენა: იგივე ოთახი, რაც პირველ მოქმედებაშია

პირველი გამოცდა

ანა კენედი, თალბით შემოსილი, თვალცრემლიანი და უდიდესი, ნახი მწუხარებას გამოხატავს. ბეჭდავს ქალაღებს და პაკეტებს. მწუხარების გამო ხშირად სწყვეტს მუშაობას და ჩუმიდ ლუღლუღობს. შემოდინ პოლეთი და დრორი, აგრეთვე შავ ტანსაცმელში. მათ მოსდევენ მსახურები, რომლებსაც შემოაქვთ ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი, სარკები, სურათები და სხვა ძვირფასი ნივთები და ამ ნივთებით ავსებენ ოთახის უკანა მხარეს. პოლეთი გადასცემს ძიძას ძვირფასი განძით სავსე ხარდახმას და ფურცელს. იგი ხელით ანიშნებს, რომ ეს ფურცელი წარმოადგენს მოჯანილი ნივთების აღწერილობით სიას. ამ სიპიდილის დანახვაზე, ძიძას კვლავ მწუხარება ეუფლება. ამასობაში ყველა გადის, ძიძის გარდა. შემოდის მეღვილი.

კენედი

(წამოიყვირებს, როგორც კი დაინახავს მეღვილს)

მეღვილი! ეს თქვენ ხართ! თვალმა ჩემმა გიხილათ ისე!

მეღვილი

ლიახ, კენედი, ერთმანეთი კიდევ ვნახეთ!

კენედი

შემდეგ ხანგრძლივი და მწუხარე განშორებისა!

მეღვილი

რა უბედური, რა მწუხარე შეხვედრა არის!

კენედი

ო, ღმერთო ჩემო! თქვენ მოხვედით...

მეღვილი

უკანასკნელად,

რომ ჩემს დედოფალს სამუდამოდ გამოვეთხოვო.

ქენელი

მხოლოდ ახლად, როცა მისი სიკვდილის დღეა,
 დედოფლის ნახვის ნება დართეს მის ქვეშევრდომებს,
 ო, ძვირფასო სერ, არ მსურს გკითხოთ, თუ რა გადაგხდათ,
 არც მოგიყვებით იმ ტანჯვაზე, რაც განვიცადეთ —
 მას შემდეგ, რაც ჩვენ დაგვაცილეს ერთმანეთს ძალით.
 ახ, ამისათვის ჩვენ საკმაო დროს ვაოვებთ კიდევ.
 ო, მეღვიო! მეღვიო! იმისთვის თუ უნდა გვეცოცხლა,
 რომ ამ ტანჯვის დღეს შევსწრებოდით.

მეღვიო

დე ჩვენ ერთმანეთს

ნუ აუჩვილებთ გულს! ვიდრე მე ცოცხალი ვარ,
 არ შემაშრება თვალზე ტრემლი და ჩემს ბაგეებს
 არ გადაკერება ღიმი ოღნავ. ამ თაღს სამოსსაც
 აღარ გავიხდი არასოდეს, ვიგლოვებ მუდამ;
 მაგრამ დღეს კი მსურს, რომ მხნედ ვიყო... და თქვენც შემპირდით,
 გულში ჩაიხშოთ თქვენი დარდი. — როს დანარჩენნი
 მიეციმიან წუხილსა და უიფეობას,
 დაე ჩვენ მაინც ნუ დავაკრავთ სულის მხნეობას
 და წინ გაუძღვეთ ჩვენს დედოფალს, რომ გამოვადგეთ
 ყუარჯნად მაინც სიკვდილისკენ მიმავალ გზაზე!

ქენელი

მეღვიო! თქვენ ცლებით, თუ გგონიათ, რომ დედოფალი
 საჭიროებს ჩვენს გამხნეებას და დახმარებას,
 რომ გაბედულად შეხვდეს სიკვდილს! იგი თვით გვაძლევს
 კეთილშობილი მამაციობის იშვიათ ნიმუშს.
 ნუ გეშინიათ! სტიუარტი ისე მოკვდება,
 როგორც დედოფალს, როგორც გმირ ქალს შეეფერება.

მეღვიო

მაშ მხნედ მიიღო დედოფალმა სიკვდილის ცნობა?
 ამბობენ, თითქოს, ამისათვის ის მზად არ იყო.

ქენელი

იგი ამისთვის მზად არ იყო. სულ სხვა შიშისგან
 შფოთავდა წუხელ ჩემი ლედი. არა სიკვდილი,
 არამედ იმას ათრთოლებდა თავისი მხსნელი. —

თავისუფლებას დაგვიბრდნენ ჩვენ... თვით მორტიმერმა
 მოგვცა სიტყვა, რომ მოგვიწყობდა გაქცევის წუხელ;
 სიკვდილის შიშს და იმედს შორის შფოთავდა იგი,
 თუ იმ გულზეიად და უტიფარ ქაბუქისათვის
 როგორ მიენდო თავის თავი, სინდისი თვისი...

და დედოფალი უცდიდა მას გათენებამდე.
 — უცებ ციხეში შემოგვესმა ხალხის ხმაური
 და შეგვადრწუნა კაკუნმა და ჩაქუჩათა ცემაში.
 ჩვენა გვეგონია ეს ნიშანი თავისუფლების,
 იმედი გვიხმობს, კვლავ იღვიძებს უცნაურ ძალით
 სიცოცხლისადმი მისწრაფება, ესოდენ ტკბილი,
 მაგრამ იღება კარი უცებ, შემოდის ჩვენთან
 პოლეთი იმის საუწყებლად, რომ ოსტატები
 ძირს, ჩვენს ფერხთა ქვეშ, ეშაფოტსა მართავენ უკვე.

(დიად შემუხუბული ზურგისკენ შებრუნდება)

მეღვიო

ღმერთო მართალო! ო, მითხარით, ვით აიტანა
 მან ეს სასტიკი, საშინელი შეცვლა იმედთა?

ქენელი

(რამდენიმე ხნის პაუზის შემდეგ, რომლის განმავლობაში
 კვლავ ეუფლება თავის თავს)

ნელ-ნელ არ ხდება სიცოცხლესთან გამოთხოვება,
 დროებითიდან მუდმივამდე ერთი წამია
 და ჩემს ქალბატონს ღმერთმა მისცა იმისი ძალა,
 რომ ამ ერთ წამში უკუეგდო ამქვეყნიური
 ყველა იმედი გაბედულად, გადაწყვეტილად
 და რწმენით სავსე მალალ ზეცას ზიარებოდა.
 არც შიშისაგან გაფითრებით, არც დაჩივლებით
 არ შეირცხვინა დედოფალმა თავი სრულებით.
 მხოლოდ მაშინდა, როს შეიტყო ურცხვი ლალატი
 ლაისტერის და მორტიმერის მწუხარე ბედი,
 როცა შეხედა მოხუც რაინდს ღრმად დამწუხრებულს,
 ვინაც სტიუარტს ანაცვალა უკანასკნელი
 თავის იმედი, — დააფრქვია ტრემლები ცხარე,
 და აატირა იგი არა თავისმა ბედმა,
 არამედ სხვისა მწუხარებამ, უბედურებამ.

მეღვილი

სად იმყოფება მარიამი? არ შეგიძლიათ,
ახლავე მასთან წამიყვანოთ?

კენელი

წუხანდელ ღამის
დარჩენილი დრო გაატარა მხურვალე ლოცვით,
ძვირფას მეგობრებს წერილობით გამოეთხოვა,
შემდეგ დაწერა საუთარი ხელით ანდერძი.
ახლა იზრუნა მან მცირე ხნის მოსვენებაზე,
უკანასკნელ ძილს თავი მისცა, რომ ენერგია
მით განიახლოს.

მეღვილი

ახლა მასთან ვინ იმყოფება?

კენელი

კარის ეკიმი ბურგონი და მოახლეები.

მორა გამოსვლა

მარგარიტა კერლი და იგივენი

კენელი

რას გვეტყვით, მისის? ლედიმ უკვე გამოიღვიძა?

კერლი

(ცრემლებს იწმენდს)

უკვე ჩაიცვა... დედოფალი თქვენა გკითხულობთ.

კენელი

ახლავ მოვდივარ.

(მეღვილს, რომელსაც სურს თან წაჰყვეს)

დაიცადეთ, ნუ გამოიყვებით,
სანამდე ლედის თქვენს შესახებ არ გაეაფრთხილებ.

(შედის ოთახში)

კერლი

მეღვილ! ჩვენო სახლთუხუცესო!

146

მეღვილი

ღიახ, ეს მე ვარ!

კერლი

ო, არ სჭირდება ამ სახლს უკვე სახლთუხუცესი!
— მეღვილ! მოდიხართ ლონდონიდან. ხომ არას მტყუვით
ჩემ ქმრის შესახებ?

მეღვილი

მას მაშინვე გამოუშვებენ,

როგორც კი...

კერლი

ჩვენი დედოფალი აღარ იქნება!
ო, საზიზღარო, უსირცხვილო მოლაღატო!
იგი გამცემი, მკვლეელი არის ძვირფასი ლედის.
ამბობენ, რომ მას მიუსაჯეს მისი ჩვენებით.

მეღვილი

ღიახ, ასეა.

კერლი

მისი სული წყეულიმც იყოს
ჯოჯოხეთამდე! სიცრუე თქვა მან ყველაფერი.

მეღვილი

მიღედი კერლი! დაუფიქრდით, რას ლაპარაკობთ.

კერლი

თვით სამსჯავროს წინ შემიძლია მე დავიფიცო,
ჩემი ქმრის წინაც შემიძლია გავიმეორო
და მსურს იგივე დაგვიყვირო ქვეყნის წინაშეც,
უბრალოდ კვდება დედოფალი...

მეღვილი

ო, ღმერთმა ქნას ეს.

მესამე გამოსვლა

ბურგონი და იგივენი, შემდეგ ანა კენელი

ბურგონი

(დაინახავს მეღვილს)

მეღვილი

147

მ ე ლ ვ ი ლ ი
(გადაუხვევა ბურგოინს)

ბურგოინ!

ბ უ რ გ ო ი ნ ი
(მარგარიტა კერლის)

ლეღისათვის აავსეთ თასი

წითელი ლეღით! აბა, ჩქარა შემოიტანეთ.

(კერლი გადის)

მ ე ლ ვ ი ლ ი

როგორა? ნუთუ დედოფალი ცუდად შეიქნა?

ბ უ რ გ ო ი ნ ი

თავს მტკიცედა გრძობს და ატყუებს გმირული სული, იგი ფიქრობს, რომ საკმელს სულაც არ საჭიროებს, მაგრამ, რადგანაც ელოდება წინ მძიმე ბრძოლა, დედოფალს არ სურს მისმა მტრებმა დაიტრაბახონ, რომ მისნი ლაწენი გაფერმკრთალდნენ სიკვდილის შიშით, როცა ბუნება ძლეულია სისუსტისაგან.

მ ე ლ ვ ი ლ ი

(ძიძას, რომელიც ოთახიდან გამოდის)

სურს ჩემი ნახვა?

კ ე ნ ე დ ი

ახლავე აქ გამოვა თვითონ.

— გატყობთ, გარშემო იცქირებით ვაკვირებული და თქვენი მზერა მეკითხება: რა საჭიროა

სიკვდილის ადგილს ეს ნივთები ფუფუნებისა?

— სერ! სიცოცხლეში განვიციდებით დიდ ვაკვირებას, სიკვდილთან ერთად გვიბრუნდება სიმდიდრე ისევე.

მეოთხე გამოცვლა

ი გ ი ვ ე ნ ი. მარიამის ო რ ი ს ხ ვ ა მ ო ა ხ ლ ე, სამგლოვარო ტანსაცმელში. მელეოსის დანახვაზე მათ ტირილი წასკდებათ.

მ ე ლ ვ ი ლ ი

ამას რას ვხედავ! ოჰ, როგორი შეხვედრა არის! გერტრუდა! როგა!

მ ე ო რ ე მ ო ა ხ ლ ე

დედოფალმა ჩვენ დაგვითხოვა!

შუანასკნელად მარტოსა სურს ბასი ლმერთთან.

წმინდის კიდევ ორი მოახლე ქალი; ისინიც, როგორც სხვა დანარჩენები, სამგლოვარო ტანსაცმელით არიან შემოსილნი. მღუმარე სახეებზე ეჩნევათ ღრმა ნალღელი)

მეხუთე გამოცვლა

მ ა რ გ ა რ ი ტ ა კ ე რ ლ ი და ი გ ი ვ ე ნ ი. კერლის მოაქვს ლეღით სავსე ოქროს თასი და დგამს მაგიდაზე. გაფითრებული და აკანკალებული დაყრდნობა სკამს.

მ ე ლ ვ ი ლ ი

რა დაგემართათ, მისის, ასე რამ შევაშინათ?

კ ე რ ლ ი

ლმერთო!

ბ უ რ გ ო ი ნ ი

რა მოხდა?

კ ე რ ლ ი

ოჰ, მე ახლა რა არა ვნახე!

მ ე ლ ვ ი ლ ი

დამშვიდდით, მისის, და გვითხარით, რაშა საქმე!

კ ე რ ლ ი

ამ თასით ხელში დიდ კიბეზე ამოვიდოდი. ქვევით დარბაზში, ლმერთო ჩემო, რას აკეთებენ! კარი გაიღო, შევიხედე და დავინახე... ო, ლმერთო ჩემო!..

მ ე ლ ვ ი ლ ი

რა იხილეთ? გამხნველეთ მისის!

კ ე რ ლ ი

შავი ქსოვილით დაფარული იყო კედლები და ემპოტიცი, შავ მაუღით გადაფარული, აღმართულიყო იატაკზე, შუა ადგილას მოჩანდა დიდი შავი კუნძი, ხოლო მის გვერდით, იდო ბალიში და ნაჯახი ფხაალესილი, მთელი დარბაზი ხალხით სავსე იყო და ყველას თვალებში მხოლოდ შმაგი ნღომა იხატებოდა: ისე ელიან სასიკვდილო მსხვერპლის დანახვას.

მოახლეები

ღმერთო მალალო, ძვირფას ლელის მოწყალე ექმენ!

მეღვილი

გამხნევლით ყველა! იგი მოდის!

ვეფხვან ბავოსვლა

იგივენი მარიაში. იგი თვით, სადღესასწაულო ტანსაცმელშია. ყვლე წერილბრთვლები. ნი ძეწკით ლეთის კრავის გამოსახულება აქვს ჩამოკიდებულო, ხოლო ქამარზე კრიალოსანი, ხელში უჭირავს ჯვარცხა, თავზე ადვას დიდება. გრძელი შავი მოსახაპის ბოლოები გადაყრილი აქვს უკან. მისი გამოჩენისას დამსწრენი გაიწვევენ ორივე მხარეზე და გამოხატავენ უდიდეს მწუხარებას. მეღვილი უნებური მოძრაობით დაეხიზა მუხლებზე.

მარიამი

(დიდებული სიმშვიდით ათვალეიერებს გარშემო მყოფთ)

რისთვისა სტირიბთ? რა გაიჩვილებთ? თქვენ ახლა უნდა ვიხაროდეთ, რომ ჩემი ტანჯვის დასასრულ მიზანს ვუახლოვდები საბოლოოდ, ჩემი ბორკილი იმსხვრევა უკვე, საპურობილის კარი მეღება და ანგელოზის ფრთებით მიჰქრის ცად ჩემი სული, რომ ეზიაროს მარადიულ თავისუფლებას. როს ზეიადი მტრის ხელში ვცაყ მე ჩავარდნილი, როცა ვითმენდი ყოველივეს, რაც დედოფლისთვის იყო უღირსი, სამარცხვინო, შეუფერებელ, ჩენო კეთილნო, თქვენ ტირილი გმართებდათ მაშინ! — ვით ქველმოქმედი, ვით მკურნალი, ვით მეგობარი, მიახლოვდება სიკვდილი მე და შავი ფრთებით ფარავს ჩემს სირცხვილს... აღამიანს, ქვეყნად განწირულს, კეთილშობილს ხდის მისი ბედი უკანასკნელი. კვლავ ჩემ თავზე ვგრძნობ მეფის გვირგვინს და კვლავ ღირსეულ სიამაყეს გრძნობს ჩემი სული კეთილშობილი.

(გადმოვდვას რამდენიმე ნაბიჯს)

მეღვილ, აქა ხართ? აგრე არა, სერ! წამოდექით! თქვენ ხომ ზეიმზე გამოცხადდით თქვენს დედოფალთან და არა მისთვის, რომ მის სიკვდილს დაესწროთ აქა. მე წილადა მხვდა ისე დიდი ბედნიერება, — როგორსაც არც კი მოველოდი წინათ არასდროს,

რომ სიკვდილის წინ მთლად მტრის ხელში არ ჩავარდნილა ჩემი დიდება და რომ აქაც შემომოჩენია მე კიდევ ერთი მეგობარი, თანამორწმუნე, ისე ვით მოწმე უკანასკნელ წუთების ჩემის. — მითხარით, მეღვილ, თუ აქამდე როგორ ცხოვრობდით ჩვენთვის ბოროტის მსურველსა და მტრულ ქვეყანაში, რაც ჩემს საყვარელ სამშობლოდან აქ ჩამოხვედით? მე თქვენზე დარდი, თქვენზე ზრუნვა გულს მიღონებდა.

მეღვილი

გაჭირვება და სილატაყე არ მაწუხებდა ისე ძალიან, როგორც დარდი, რომ არ შემეძლო სასახური რამ გამეწია შენთვის მცირედი.

მარიამი

ჩემი მოღარეთუხუცესი როგორღა არის იქნებ ცოცხალიც აღარაა — მოხუცი იყო.

მეღვილი

ღმერთმა ასეთი წყალობა არ ინება მისთვის, ის კვლავ ცოცხლობს, რომ მოწმე გახდეს შენი სიკვდილის.

მარიამი

ახ, სიკვდილის წინ იმის ბედი მაინც მქონოდა, რომ თუნდაც ერთი ნათესავი ჩემი ძვირფასი აქ მეხილა და გულმხურვალედ მიმეკრა მკერდზე!.. მაგრამ მე უნდა მოვეყვი მხოლოდ უცხოთა შორის, მხოლოდ იმათი ცრემლის ხილვა მრგებია წილა! — ჩემს უკანასკნელ სურვილს, მეღვილ, თქვენს გულს ვაბარებ: — ლოცვას ვუგზავნი ჩემს მამულს, მეფეს საფრანგეთისას, — საქრისტიანოს დიდ ხელმწიფეს, — და მასთან ერთად, ფრანგთა სამეფოს მთელ სასახლეს... ვლოცავ ჩემს ბიძას, კარდინალ გიზის და ჰაინრიხს, ჩემს დედამიშველს, ვლოცავ აგრეთვე მე რომის პაპს, ქრისტეს მოსაყდრეს, ვინც თავისი მხრივ არ მაქლებს მე ლოცვა-კურთხევას, და კათოლიკთა მეფეს, ისიც დიდსულოვნებით ამხედრდა შუტრის საძიებლად, ჩემს დასახსნელად. მე ჩემს ანდერძში მოვიგონე ყველა ისინი —

რაც უნდა მცირე იყოს ძღვენი სიყვარულისა,
ის მუდამ დიდი ყურადღების ღირსი იქნება.

(მიუბრუნდება თავის მსახურებს)

მე თქვენს შესახებ საფრანგეთის ხელმწიფეს ვთხოვე,
იგი იზრუნებს თქვენზე, ახალ სამშობლოს მოგცემთ.
და ჩემი თხოვნა ეს იქნება უკანასკნელი,
არავინ დარჩეთ აქ, ინგლისში, რომ ბრიტანელმა
ვერ გაიხაროს ხილვით თქვენი უბედურების,
რომ მან ვერ ნახოს მტერად ქცეულნი მსახურნი ჩემნი.
აღმითქვით ყველამ ამ ჯვარცმასზე, რომ ამ ქვეყანას
დასტოვებთ წამსვე, როს ცოცხალი აღარ ვიქნები.

მელვილი

(გმობს ჯვარცმას)

ყველას სახელით გეფიცები, რომ შევასრულებთ.

მარიამი

რაც კიდევ შემრჩა საბრალოს და განძარცულის ასე,
რაც კი აქამდე თავისუფლად ძალიმის განეგაგო,
სუყველაფერი მე თქვენს შორის გაგანაწილე,
ვფიქრობ, ჩემს სურვილს უკანასკნელს პატივს დანდებენ.
ესეც, რაც მიმაქვს სიკვდილისკენ მიმავალ გზაზე,
სუყველაფერი თქვენ გუკუთვით... ნება მიბოძეთ,
რომ ერთხელ კიდევ, ზეცისაკენ მიმავალ გზაზე,
თვალნი დავიტკბო ბრწყინვალეობით ამქვეყნიურით.

(მოახლეებს)

ჩემო ალისა, როზამუნდა, ჩემო გერტრუდა,
მე თქვენ ვიტოვებთ ჩემს ტანსაცმელს, ჩემს მარგალიტებს,
თქვენს ქალწულობას გაახარებს ეს მორთულობა.
მარგალიტა, შენ, უფლება გაქვს ყველაზე მეტი
მოსთხოვო ახლა ჩემს ქველმოქმედ დიდსულოვნებას,
რადგან ყველაზე უბედური შენ რჩები მართლაც.
შენი ქმრის გამო, რომ მე შენზე შურს არ ვიძიებ,
ამაში ცხადად დაგარწმუნებს ანდერძი ჩემი...
შენ კი, ძვირფასო ჩემო ანა, სულაც არ გხიბლავს
არც ოქრო და არც ბრწყინვალეობა ძვირფასთა ქვათა,
ძვირფასი განძი შენთვის ჩემი მოგონებაა.
მაშ მიიღე ეს ხელმანდილი. საკუთარ ხელით
მოვქარგე შენთვის მწუხარების მძიმე წუთებში,
152

• შიგ ჩავაქსოვე ჩემი მწარე, ცხელი ცრემლები.
ამ ხელმანდილით, ჩემო ანა, თვალს ამიხვევ,
როცა აქამდე საქმე მივა—ეს სამსახური
უკანასკნელად ჩემმა ანამ მსურს გამიწიოს.

კენელი

• ო, მელვილი! მეტი აღარ ძალმიძს!

მარიამი

აქ მოდით ყველა.

მიიღეთ ჩემი საბოლოო დამშვიდობება!

(იგი გაუწვივს ხელს. ყველა რიგრიგობით ემხობა მის წინ მუხლებზე და
ემთხვევა ხელზე ცხარე ცრემლების ფრქვევით)

მშვიდობით, ჩემო მარგარიტა... მშვიდობით ალის...
გმადლობთ ბურგონ უანგარო სამსახურისთვის...

შენი ტურები ცეცხლივით მწვავს, ჩემო გერტრუდა...
თუმცა ბევრს ვძულდი, მაგრამ უფრო ბევრს კი ვუყვარდი!

ჩემი გერტრუდა ქმართან ჰპოვებს ბედნიერებას,
რადგან სიყვარულს ითხოვს მისი გზნებარე გული...

გერტა! შენ უფრო კარგი ხედი რიგრიგობით...
მოგსურვებია ზეცის ქალწულ საცოლოდ ყოფნა.

ო, მაშ, იჩქარე, აღასრულე ეგ შენი აღთქმა!

ცრუ. ამაოა ქვეყნიური სიკეთე ყველა,
შენი დედოფლის მაგალითიც კი დაგარწმუნებს.

მშვიდობით, ჩემო ძვირფასებო, მშვიდობით მარად!

(სასწრაფოდ შეაქცევს მათ ზურგს. მელვილის გარდა, ყველა გადის)

მეზღვიე გაგონება

მარიამი. მელვილი

მარიამი

აწ ყველაფერი დავამთავრე ამ ქვეყანასთან
და, ვფიქრობ, არც ერთ კაცის ვალში არ დავრჩენილვარ,
ისე მივდივარ ამ სოფლიდან. მხოლოდ ერთი რამ
ჩემს დაჩაგრულ სულს არ აძლევს ჯერ საშუალებას,
რომ თავისუფლად, მხიარულად ამოდლდეს ცაში.

მეღვილი

გამომიგლანე. შენი გული შეამსუბუქე,
ეგ საზრუნავი გაანდე შენს ერთგულ მეგობარს.

მარიამი

მარადისობის ზღურბლთან ვდგევარ და უნდა მალე
წარვდგე წინაშე ზეციური მოსამართლისა,
მაგრამ ჯერ კიდევ წმინდანთან არ შევრიგებულვარ.
უარი მითხრეს ჩემი ტაძრის მოძღვარზე მტრებმა,
ყალბ მოძღვრისგან კი ზიარებას მე არ მივიღებ.
მე მინდა ჩემი ეკლესიის მორწმუნე მოვკვდე,
რადგან გვანიჭებს ნეტარებას ჩვენ მხოლოდ იგი.

მეღვილი

გთხოვ დაწყნარდე და დაიმშვილო მშფოთარე გული,
წმინდა სურვილიც ზეცისათვის საკმარისია,
როცა შენ მისი აღსრულება არ შევიძლია.
ძალმომრეობას ძალუძს მხოლოდ შებოჭვა ხელთა,
მაგრამ ლოცვა კი თავისუფლად მიფრინავს ღმერთთან;
სიტყვა მკედარა, ჩვენ სიცოცხლეს რწმენა გვანიჭებს.

მარიამი

ახ, მეღვილ, გული მარტოდმარტო ვერ დამშვიდდება,
რწმენას სპირდება საწინდარი ამქვეყნიურიც,
მაღალმა ზეცამ იგი თვისად რომ მიიკუთვნოს.
სწორედ ამისთვის ღმერთი იქცა ადამიანად
და უხილავი ზეციური ნიჭი და მაღლი
ასე იღუმალ შეიმოსა ხილულ სხეულით.
ეკლესიაა, რომ გვიშენებს ჩვენ წმიდა, მაღალ
და ზეციერი მეუფისკენ მიმავალ კიბეს.
იმიტომ ჰქვია მას საერთო, კათოლიკური,
რომ ყველას რწმენა განამუქიციებს რწმენას კაცისას-
სადაც გაისმის ათასების მხურვალე ლოცვა,
იქ ცეცხლისაგან იწვის გული და ფრთებშესხმული
მიფრინავს სული ზეციური სამყოფლისკენ, —
ბედნიერია ის, ვის ლოცვას დანაწევრებულს
აერთებს მთელში ზეციური მეუფის სახლი!
საქურთხეველი მორთულია, სანთლები ელავს,

ზარი გუგუნებს, კვამლი აღის საკმეველიდან,
ეპისკოპოსი დგას მორთული წმიდა სამოსით,
იღებს თასს ხელში და აკურთხებს, აუწყებს ყველას
უდიადესსა სასწაულსა დიდ გარდაქმნისას
და მართლმორწმუნე, ღვთისმოსავ ხალხს ღმერთის წინ ამხობს.
ყველა ამისგან მხოლოდ მე ვარ უკლავებული,
ზეცის კურთხევა ვერ აღწევს ჩემს საპყრობილემო.

მეღვილი

შენამდეც აღწევს, შენს ახლოა! ენდე შემოქმედს—
ხმელი კვერთხიც კი რტოთ იყრის მორწმუნის ხელში.
იმას კი, ვინაც სალი კლდიდან გამოიყვანა
ანკარა წყარო, შეუძლია საქურთხეველი
აღვიმართოს შენ, აქაც, ამ ბნელ საპყრობილემოში,
და ქვეყნიური სასმელი ეს, ამ თასში მდგარი,
შენთვის ერთ წუთში ზეციურად გადააქციოს.

(აიღებს მაგიდაზე მდგარ თასს)

მარიამი

მეღვილ, მიგიხვლით? დიახ, დიახ, მე თქვენ მიგიხვლით!
თუმცა არაა აქ მოძღვარი, არც ეკლესია,
არც ზიარება, მაგრამ მხსნელი ხომ გვეუბნება:
„სადაც შეხვდება ერთურთს ორი, ჩემი სახელით,
იქ, იმათ შორის, უსათუოდ მეც ვიმყოფები“.
ვის აქვს უფლება ღმერთის ენით ილაპარაკოს?
ვინც მართლა ცხოვრობს უმწიკლოდ და აქვს წმიდა გული.
იყავით ჩემი მოძღვარი, თუმც ნაკურთხი არ ხართ,
ღვთის მოციქული, ვისაც ჩემთან სიმშვიდე მოაქვს.
— მინდა თქვენ გითხრათ აღსარება უკანასკნელი
და საუკუნო ნეტარებაც მაუწყეთ თქვენვე.

მეღვილი

რაკი აქეთკენ შენი გული მიილტვის ძლიერ,
მაშინ იცოდე, დედოფალო, შენს სანუგეშოდ
ღმერთს შეუძლია სასწაულის მოხდენა აქაც.
ამბობ, არ არის აქ მოძღვარი, არც ეკლესია,
არც ზიარება? შენ მაგაში ძალიან სცდები.
აქ მოძღვარია და თვით ღმერთიც აქვე გვესწრება.
(თავს გადაიშიშვლებს და უჩინებს წმიდანთა ნაწილებს ოქროს თასში)

— მე მოძღვარი ვარ. და შენგან რომ მომესმინა მე უკანასკნელი აღსარება და სიკვდილისკენ მიმავალ გზაზე შემინდო მე ცოდვები შენთვის, მივიღე შეიდი აღსარება, სულს დაეუმიძიმე. ეს ნაწილებიც, რომელიც მე შენ მოგიტანე, წმიდა მამისგან წამოვიღე, თვით მან აკურთხა.

მარიამი

ო, ჩანს, რომ ახლაც, როს მივსულვარ სამარის კართან, მიშაღდება მე ზეციური ბედნიერება.

როგორც უკვდავი სული ციდან ოქროს ღრუბლებით დაბლა ეშვება, როგორც ერთხელ თვით ანგელოზმა გამოიყვანა მოციქული საპყრობილიდან,—

მას ვერ აჩერებს ვერც ურდული, ვერც მცველის ხმალი, ძლევამოსილად განვლის იგი დაკეტილ ჭიშკარს და პატიმრის წინ გიველინება შუქით მოსილი,— მეც სწორედ ასე მეველინება ღვთის მოციქული, როცა ამ ქვეყნის ყველა მხსნელმა მე მილაღატა.

— ვით თქვენ, მსახურო ჩემო წინათ, აწ მალალ ღმერთის წმიდა მსახურო, მისო ენავ და წმიდა ბაგევი, ჩემს წინ მუხლებზე ემხოზოდით მოკრძალებულად, სწორედ ასევე თქვენს წინ მტვერში ვემხოზი ახლა.

(იყრის მის წინ მუხლს)

მელვილი

(გადასახავს პირუჯვარს)

სახელითა მამისათა

და ძისათა

და სულითა წმიდისათა!

თუ გაქვს განცდილი, დედოფალო, ქენჯნა გულისა, თუ შეგიძლია აღთქმა მომცე და შემომფიცო, რომ აღიარებ ღვთის წინაშე ქმშარიტებას?

მარიამი

ღიაა ჩემი გული შენს წინ და ღვთის წინაშე.

მელვილი

რა ცოდვა აწვეს სინდისს შენსას იმის შემდეგ, რაც უკანასკნელად ღვთაებისგან ხარ შენდობილი?

მარიამი

გული აღსავსე მქონდა შურით და სიძულვილით, შურისძიების აზრი მკერდში არ მიცხვრებოდა. თვითონ ცოდვილი მოტყუებას ღვთისგან ველოდი, ხოლო მტრისთვის კი მბრძანებდა მე არ შემეძლო.

მელვილი

თუ ინანიებ დანაშაულს, თუ გადასწყვიტე გამოეთხოვო ამ ქვეყანას შერიგებული.

მარიამი

ნამდვილად, როგორც იმედი მაქვს ღვთისგან შენდობის.

მელვილი

სხვა რაღა ცოდვით გაქვს სული შენ დამძიმებული?

მარიამი

ახ, არა მარტო სიძულვილით, მე ღმერთი უფრო შეურაცხვევავი ცოდვიანი სიყუარულითა. ჩემი საბრალო გული მსხვერპლად შევწირე იმას, ვინც ვერაგულად მიმართავა და გამაწბილა!

მელვილი

თუ ინანიებ დანაშაულს და შენი გული ცრუ კერპისაგან ღვთაებისკენ თუ შეაბრუნე?

მარიამი

გადავიტანე მძიმე ბრძოლა და საბოლოოდ დამსხვრეულია ბორკილები ამქვეყნიურში.

მელვილი

სხვა რაღა ცოდვას შეგლაღადებს სინდისი შენი?

მარიამი

ახ, სისხლიანი ცოდვა, რაც მე დიდი ხნის წინათ მოვინანიე, კვლავ ახალი. საშინელ ძალით უკან ბრუნდება, უკანასკნელ ანგარიშს ითხოვს და ზეცის ჭიშკარს იგი შავად აჰფარებია. ჩემი მეუღლე, ჩემი მეფე მოვაკვლევინე და ჩემს შემცდენელს ვუძღვენი გული და ჩემი ხელი!

მოინანიე თუმც მე იგი სასჯელით დღით,
მაგრამ ვერასდროს სული მიანიც ვერ დავიმშვიდე.

მეღვილი

კიდევ რა ცოდვას გიგრძნობს გული, რომელიც დღემდე
არც აღიარე, არც არასდროს მოინანიე?

მარიამი

რაც გულს მიმიძიებს, ყველაფერი შენ იცი უკვე.

მეღვილი

გაიხსენე, რომ ყოვლის მცოდნე შენს ახლოს არის!
რომ ეკლესია სასტიკად სჯის იმ აღსარებას,
რომელიც კიდევ დამალული არის რაიმე.
ესაა ცოდვა საუკუნოდ მომაკვდინებელი
და წმიდა სულის წინააღმდეგ დანაშაული,

მარიამი

ღე ზეცამ ისე გამარჯვებით დამაჯილდოვოს
მე ამ ბრძოლაში, სასტიკში და უკანასკნელში,
როგორც მე შენთვის არაფერი არ დამიმაღავს,

მეღვილი

როგორ? უმაღლესი შენს ღვთაებას იმ დანაშაულს,
რომელსაც ხალხი ბრალად გდებს? არ მეუბნები,
რა ბრალი გიძღვის იმ ღალატს და გამცემლობაში,
რომელიც პერის და ბებინგტონს აქეთ ჩადენილი?
ამ საქმისთვის შენ დროებითი სიკვდილით გსჯიან,
და სამუდამო სიკვდილითაც გსურს დაისაჯო?

მარიამი

საიქიოში წასასვლელად სული მზად არის
და წუთის ისრის მობრუნება კმარა სრულიად,
ღვთაების ტახტის წინაშე რომ მნახონ წამდგარი,
მაგრამ კვლავ ვამბობ: აღსარება ჩემი სრულია.

მეღვილი

ქარგად დაფიქრდი. გული ჩვენი გვატყუებს ხოლმე.
შენ შეიძლება ცბიერი რამ ორანჯოვანობით,
რომ დამნაშავედ არვის ეცან, გაეძევი სიტყვას,

მაგრამ სურვილით ცოდვა იგი გაიზიარე.
ქარგად იცოდე, ცბიერებით ვერ მოატყუებ
იმ ანთებულ თვალს, შენს სულში რომ ღრმად იხედება.

მარიამი

ყველა ხელმწიფეს წერილობით ვევედრებოდი,
რომ დავეხსენი სამარცხვინო ბოკილებიდან,
მაგრამ არასდროს, არც განზრახვით და არცა საქმით
არ მიცდია, რომ შეეხებიყავ სიცოცხლეს მტრისას.

მეღვილი

ნუთუ სიყალბე უჩვენეს მაშ შენმა მწერლებმა?

მარიამი

როგორც ვთქვი უკვე, ეს ასეა. მათ ჩვენებას კი
თვით ღმერთი განსჯის!

მეღვილი

მაშ, სრულიად დარწმუნებულ
შენს სიმართლეში, თავს დასდებ აწ ჯალათის კუნძუზე?

მარიამი

ღმერთი ღირსად მხდის ამ სიკვდილით, რომელიც მე არ
დავიმსახურე, ძველი ცოდვა გამოვისყიდო.

მეღვილი

(აქურთხებს)

მაშ ამ სიკვდილით ცოდვა იგი გამოსყიდე!
საკურთხეველთან დაემხე, ვით მორჩილი მსხვერპლი!
სისხლიან ცოდვის გამოსყიდვა სისხლსავე ძალუძს.
შენ კი სცოდავდი მხოლოდ ქალურ სისუსტის გამო.
განსვენებულ სულს, ზეციური შუქით შემოსილს,
მოკვდავთ სისუსტე საიქიოს თან არ მიჰყვება.
ღვთისგან ჩემდამი მონიჭებულ უფლების ძალით,
გიტევებ ყველას, რაც კი ცოდვა ჩაგიდენია!
როგორც თვითონ გწამს, შენდობილიც იქენი ისე!

(აძლევს წმიდა ნაწილებს)

მიიღე წმიდა ნაწილები ქრისტეს სხეულის,
შენთვის გაეკრა ჯვარზე მსხვერპლად სისხლდათხეული.

იღებს მაგიდაზე მდგარ თასს და აკურთხებს ჩუმი ლოცვით. შემდეგ მას გაუწყ-
დის სტიუარტს. მარიამი აყოენებს მის მიღებას და თასს ხელით უკან გასწევს).

მიიღე სისხლი, რომელიც მან დაღვარა შენთვის!
თვით რომის პაპი გოგზანის შენ ამ მოწყალებას!
სიკვდილის დროსაც ისარგებლე იმ დიდ უფლებით,
რაც შეფეებს და წმიდა მოძღვრებს მინიჭებიათ.

(მარიამი თასს იღებს)

და ისე, როგორც ამ ქვეყნიურ სხეულით ახლა
შენ საიდუმლოდ შეუერთდი ღვთაებას შენსას.
ასე იქაც, მის სამეფოში სიხარულისა,
სად არეინაა ცრემლმფრქვეველი, ცოდვით ვნებული,
გასხივოსნებულ საენაში უკვდავ სულისა,
იქნები მარად ღვთაებასთან შეერთებული.

(ღვამს თასს დაბლა. მოისმის ხმაური. მღვდილი სასწრაფოდ იფარავს თავს
და კარისკენ მიდის. მუხლებზე დამხობილი მარიამი ჩუმად ლოცულობს)

მ ე ლ ვ ი ლ ი

(უკან დაბრუნებული)

შენ კიდევ მკაცრი ბრძოლა უნდა ვადაიტანო.
გრძნობ თუ არა თავს საკმაოდ მხნედ, რომ ყველაფერი
მწარე გულისთქმა, სიძულვილი დასთრგუნო შენში?

მ ა რ ი ა მ ი

შიში აღარ მაქვს ბოროტების დაბრუნებისა,
მე ღმერთს შეეწირე სიძულვილი და სიყვარული.

მ ე ლ ვ ი ლ ი

აბა, მაშ ახლა მოემზადე ლორდთ შესახვედრად,
ლორდ ბერლემ და ლორდ ლაისტერ მოვიდნენ უკვე.

მ ა რ ი ა მ ი

ი გ ი ვ ე ნ ი. ბერლემი. ლაისტერი და პოლემი. ლაისტერი რჩება
სცენის სიღრმეში თავიანთი. ბერლემი, რომელიც შეამჩნევს მის განწყობილუ-
ბას, ჩადგება დედოფალსა და ლაისტერს შორის.

ბ ე რ ლ ე ი

ლემი სტიუარტ, გამოცხადდი აქ იმისთვის, რომ
უკანასკნელი ბრძანებები მივიღო თქვენგან.

მ ა რ ი ა მ ი

გმადლობთ; მილორდი!

160

ბ ე რ ლ ე ი

ღედოფალმა ჩემმა ისურვა,
რომ კანონიერ თქვენს სურველზე უარი არ ვთქვათ.

მ ა რ ი ა მ ი

ყველა სურვილი ჩემს ანდერძში მოვიხსენიე
და რაინდ პოლემს ჩავაბარე საკუთარ ხელში.
გთხოვთ, რომ ერთგულად აღმისრულოთ სურვილი ყველა.

პ ო ლ ე ტ ი

ნუ შეწუხდებით მაგის გამო.

მ ა რ ი ა მ ი

გთხოვთ, ჩემს მსახურებს
უფლება მისცეთ გაეგზავრონ შოტლანდიაში,
ან საფრანგეთში, სადაც ჰოითონ მოისურვებენ.

ბ ე რ ლ ე ი

ღე ასე იყოს, როგორც თქვენ გსურთ.

მ ა რ ი ა მ ი

და რადგან ჩემი

გვამი აქაურ უკურობს მიწას მიებარება,
გთხოვთ, ნება დართოთ ამ ჩემს მსახურს, რომ გული მაინც
წაასვენოს ფრანგთ ქვეყანაში, ჩემიანებთან.
— იქ იყო მუდამ ჩემი გული.

ბ ე რ ლ ე ი

ასე მოხდება.

კიდევ რას ითხოვთ?

მ ა რ ი ა მ ი

გადაეცით დედოფალს თქვენსას

სალამი დისა და უხიაროთ, რომ წარუღვი გულით
ჩემი სიკვდილი მსურს შევეწოდო. ვთხოვ მაპატიოს,
გუშინ რომ ასე გავაბრაზე. მაღალმა ღმერთმა
დაიფაროს და ბედნიერად ამეფოს იგი.

ბ ე რ ლ ე ი

თქვით! უკეთესი არჩევანი ვერ მოახდინეთ?
ჩვენი ღვთისა დახმარებას გაუზრებით ისევ?

11. ფრიდრიხ შილერი.

151

მარიამი

მე უკვე ჩემს ღწერის შევურობდი. რაინდო პოლეთ,
თუმც ბრალი არ მაქვს, მოგაყენეთ წუხილი დიდი,
მოხუცს იმედი გამოგტაცეო... ნება მიბოძეთ,
ვიმედოვნო, რომ სიძულვილთ არ მომიგონებთ.

პოლეთი
(ხელს ართმევს)

ღმერთმა შეგინდოს! მოგენიქოს გზა მშვიდობისა!

მეცხამ გამოსვლა

ი გივენი. ანა კენედი და დედოფლის სხვა მოახლე ქალები შეშინ-
ბულნი შემოვარდებიან. მათ შეოპყვება შერიფი, თუარი კერთხით ხელში.
შერიფის უკან ღიად დატოვებულ კარიდან მოჩანან შეიარაღებულ ქალები.

მარიამი

რა მოვდის, ანა? დიახ, ახლა დრო არის უკვე!
აი შერიფიც, სასიკვდილოდ რომ წაგვიყვანოს.
უნდა დავშორდეთ! მაშ მშვიდობით! მშვიდობით ყველა!

(ქალები მწარე გულსტკივილით ეხვევიან; მეღვიღს)

ღირსეული სერ, და შენ, ჩემო ერთგულო ანა,
გთხოვთ, გამაცილოთ სიკვდილისკენ მიმავალ გზაზე.
მილორდ, ნუ მეტყვიეთ უარს მე ამ მოწყალეობაზე.

ბერლეი

ამის უფლება მე არა მაქვს.

მარიამი

როგორა, მილორდ?

მეცირე თხოვნაზე შეგიძლიათ უარი მითხრათ?
პატრივი ეცით ჩემს სქეს მაინც! მაშ სხვამ ვინ უნდა
გამიწიოს ეს სამსახური უკანასკნელი?
არ შეიძლება ეს ჩემი დის სურვილი იყოს,
რომ ჩემს სქეს ჩემში მიაყენონ შეურაცხყოფა
და მე შეემხოს მამაკაცის უხეში ხელი!

ბერლეი

არ შეიძლება ეშაფოტზე ქალი ამოყვეთ,—
დედაკაცების გოდება და წივილ-კვივილი...

მარიამი

იგი გოდებას არ დაიწყებს. მე ვაგებ პასუხს
მხნეობაზე და მტკიცე სულზე ჩემი ძიძისა.
გთხოვთ შევიბრალოთ, სიკვდილის წინ ნუ განაშორებთ
ჩემს ძვირუას აღმზრდელს, ჩემს საყვარელ და ერთგულ ძიძას.
ის მე პატარას მატარებდა თავისი ხელით,
დაე ამ ხელით მიმიყვანოს მან სიკვდილთანაც.

პოლეთი
(ბერლეის)

დე ასე იყოს!

ბერლეი
იყოს ასე.

მარიამი

ახლა ამ ქვეყნად

აღარაფერი დამრჩენია.

(იღებს ჯვარცმას და ემთხვევა)

ო, ჩემო მხსნელო!

როგორც ამ ჯვარზე გადაშალე მკლავები შენი,
ახლაც გაშალე ეგ მკლავები ჩემს მოსახვევად.

(შემობრუნდება წასასვლელად. ამ დროს მისი მხერა შეჩერდება ლაისტერზე,
რომელიც მარიამის წასვლის დროს უნებურად შეირხევა და შებადეს მარიამს,
მისი შეხედვის გამო სტიუარტი აჯანკალდება, მუბლები ეყვება და უნდა წაიქცეს.
ლაისტერი მას ხელს შუაშეგლებს და იკერს. სტიუარტი რაჰდინივე ხანს ლაი-
სტერს მდუმარედ და მკაცრად უცქერის. ლაისტერს აღარ შეუძლია მისთვის
თვალეში შეხედვა. ბოლოს სტიუარტი ლაპაოკობს)

ოქვენ შეასრულეთ თქვენი სიტყვა, გრაფო ლაისტერ,
ოქვენ ხელს შემპირდით, რომ ციხიდან გამოგიყვანეთ,
და, მართლაც, ახლა თქვენ მე იგი გამომიწოდეთ!

(ლაისტერი დგას, როგორც განადგურებული. მარიამი განაგრძობს ნახი ხმით)

დიახ, ლაისტერ, არა მარტო თავისუფლებას
მპირდებოდა მე თქვენი ხელი, არამედ უნდა
თავისუფლება გაგეხადათ ძვირფასი ჩემთვის—
და თქვენი წრფელი სიყვარულით ბედნიერქმნილი
ღამეტკბარიყავი განახლებულ სიცოცხლით ისევ.
ახლა კი, როცა ვეთხოვები მე ამ ქვეყანას
და როცა ზეტარ სულად უნდა გადავიქმე,
ვისაც გულისთქმა ქვეყნიური ვეღარ შეაძენს,

მილორდ ლაისტერ, შემიძლია გაუწითლებლად ჩემი სისუსტე ვალიარო და გამოგიტყდეთ...
მშვიდობით, და თუ კიდევ ძალგაძობ, იბედნიერეთ!
თქვენ-სცალეთ ხელის გაწოდება ორ დედოფლისთვის,
დქვენ უკუაგდეთ გული ნაზად შეყვარებული
მხოლოდ იმისთვის, რომ ზვიადი გული მოგეგოთ.
მაშ დაიჩოქეთ კვლავ ფეხებთან ელისაბედის!
თქვენ ეგ პატივი სულს-ხსჯელით არ ვაგვიწყებთ!
...მე ყველაფერი დავამთავრე დელამიწაზე.

(მიღის. შერიფი წინ მიუძღვება. მეღვილი და ძიძა გვირდით მიჰყვებიან მათ მისდევნ ბერლი და პოლტო. დანარჩენები კი ქეითინგენ და თვალთ ავილებენ მარიაშ, სანამდე იგი თვალს არ მიუფარება. შემდეგ ისინი გადიან ორი სხვა კარიდან)

მათე გამოსვლა

ლაისტერი
(მარტოდ დარჩენილი)

კვლავ ცოცხალი ვარ! შემიძლია სიცოცხლე კიდევ!
ჩემს თავზე ხომ არ ჩამოინგრა ეს მძიმე ქერი?
ანდა უფ კრულმა ნეტავ პირი ხომ არ დაალო,
რომ უცებ შთანთქას საცოდავი ქნილება ქვეყნის?
რარივ ძვირფასი საუნჯე მე ვაკარგე ახლა!
რარივ ძვირფასი მარგალიტი გადაეტყორცნე შორს-
და უკუვადე ზეციური ბედნიერება!
— ის მიღის, როგორც სხივმოსილი სული დიადი,
მე კი აქ მტოვებს უწყველისაგან სასოწარკვეთილს.
— აბა, სადღა ჩემი სიტყვა, განზრახვა მტკიცე,
რომ მე უგრძობლად დამეთრგუნა ლელვა გულისა?
მენახა დასჯა სასიკვდილოდ განწირულისა?
იქნებ შეხილავა გაპილვიდა სირცხვილი ისევ?
იქნებ შენ ბოკა კვლავ ჯაჭვებით სიყვარულისა?
— ო, განკიცხულო, შენი ხვედრი ნუთუ ეს არის,
რომ სიბრალულმა, ვით დიაცი, მოვალბოს წამსვე?
შენთვის არ სუფევს სიყვარულის ბედნიერება,
უნდა აღმართო შუბლი მალა, როგორც კლდე სალი,
და მეკრდი ჯავშნით დაიფარო მხნეობით სავსემ!
თუ გინდა, ჯილდო ამ საზიზღარ საქმის. ბოროტის,
არ დაგეკარგოს, დაასრულე, მიჰყეუ ბოლომდის!

თვალნო, გაქვავდით! სიბრალულო, დადუმდი ისევ!
მსურს მოწმე გახდეთ, უნდა ენახო სიკვდილი მისი.

(გაბღუღი ნაბიჯით მიდის კარისკენ, სადაც მარიაში გავიდა, მაგრამ ჩერდება შუა გზაზე)

ო, ამაო! შიშისაგან ღონე მეღვება,
არ შემიძლია ვუცქირო იმ საშინელებას.
არა. ვერ ვუმზერ მე მის სიკვდილს... ჩუ! ეს რა არის?
ისინი უკვე ძირს არიან... აქ, ჩემს ფეხებს ქვეშ,
უკვე მზადდება საშინელი, ბოროტი საქე.
უკვე ხმა მესმის მე იმათი... შორს! შორს აქედან!
შორს ამ სახლიდან, სად შიში და სიკვდილი სუფევს!

(სურს სხვა კარებიდან გაქცევა, მაგრამ ისინი ჩაეტილი ხდება და უკან ბრუნდება)

როგორ? ღმერთმა თუ მიმაჯაჭვა მე ამ ადგილზე?
უნდა ვისმინო ის, რის ხილვაც მე ასე მზარაფს?
უკვე გაისმის დეკანის ხმა... ის მას არწმუნებს...
შეაწყვეტინა სტიჟარტმა... ჩუ! მან ხმაშალა
ლოცვა დაიწყო... სიჩუმე... სრული სიჩუმე!
მხოლოდ ქეითინი და ქალების ტირილი ისმის.
ტანსაცმელს ხდიან... ჩუ! ოჰ, უკვე სკამი მისწივს...
უკვე იჩოქებს ის ბალიშზე... კუნძზე თავსა სდებს...

(წარმოსთქვამს რა ზამ სიტყვებს გაძლიერებული სასოწარკვეთილებით, იგი დადუმდება და უცბად გრძობადაკარგული დაეცემა ძირს. ამავე დროს დაბლიდან მოისმის ყრვ გუჟუნე ბუბისა, რომელიც დიდხანს არ წყდება)

მეორე ოთახი მეოთხე მოქმედებისა

მეთერთმეტე გამოსვლა

ელისაბედი

(გამოდის გვერდის კარიდან. მისი სიარული და მთელი მოძრაობა გამონატაუს დიდ სულიერ შემოთვებას)

კიდევ არ მოჩანს აქ არავინ... არც რამე ცნობა...
ალარც ლამდება! იქნება მზეც გაჩერდა ცაზე?
მე კი ამ ხანგრძლივ მოლოდინით უნდა ვეწამო.
— უქვე შესრულდა? თუ ჯერ არა? ორივე მაშინებს
და ვერცა ვებედავ, რომ ვეკითხო ამის შესახებ!
გრად ლაისტერი აქ აღარ ჩანს, არც ბერლეია,
მათ დაევაღე აღსრულება განაჩენისა.

ისინი უკვე ლონდონიდან გასულან, ალბათ,
შესრულდა უკვე და ისარი გატყორცნილია,
მიფრანავს იგი მოსახვედრად და კიდევ მოხდება;
მე ვერ შევიძლებ, თუნდა ფასად იმპერიისა,
რომ შევაჩერო იგი ახლა... ჰა, მანდ ვინ არის?

მეთორმეტე გამოსვლა

ელისაბედი. პაეი

ელისაბედი

მარტო დაბრუნდი?.. სად არიან ლორდები ნეტავ?

პაეი

მილორდ ლაისტერ და ბერლეი...

ელისაბედი

(უდიდესი მოუთმენლობით)

ჰო, სად არიან?

პაეი

აღარ არიან აქ, ლონდონში...

ელისაბედი

მამ სად წავიდნენ?

პაეი

ვერაინ მითხრა მე რაიმე ამის შესახებ.

ჯერ რიყრაყი არ დამდგარიყო, ორივე ლორდმა
აჩქარებით და საიდუმლოდ დატოვა თურმე
ჩვენი ქალაქი.

ელისაბედი

(შუადრის გალოცვლებით)

მე ინგლისის დედოფალი ვარ.

(ძლიერ აღუვებული დაიარება წინ და უკან)

წადი... მომიხმე... არა, დარჩი... იგი მკვდარია!

ამ ქვეყანაზე თავისუფლად ძლიერ ვიგრძენ თავი.

რა მაკანკალებს? რაღა შიშმა შემპყრო ახლა?

ჩემს შიშს ხომ ახლა უკვე მიწა დაეფარება

და ვინ გაბედავს იმის თქმას, რომ ჩე მქენი ესა!

ოღონდაც ცრემლი არ დავხოვო დასატირებლად!

(პაეს)

შენ კვლავ აქ დგებარ? სწრაფად უხმე დევისონს ჩემთან,
კაცი გაგზავნეთ შრუსბერისთანც... აგერ ის თვად.

(პაეი გადის)

მეცამეტე გამოსვლა

ელისაბედი. გრაფი შრუსბერი

ელისაბედი

სალამი, მილორდ! რა ამბავზე გარჯილხართ ამ დროს?
მცირე რამეზე ასე გვიან არ მოხვიდოდით.

შრუსბერი

დღეს, დედოფალო, ზრუნვამ თქვენი დიდებისათვის
ტოიერისკენ გამიტაცა, სად შეპყრობილნი
სხედან კერლი და ნო, მწერლები მარიამისა,
რომ ერთხელ კიდევ უფრო კარგად გამოემრკვია
მათი ჩვენების სისწორე და ქეშმარიტება.

აზრდაბნეული, დარცხვენილი ზედამხედველი,

ტოიერისა დიდხანს უარს მეუბნებოდა

და არ მიშეებდა, რომ მენახა შეპყრობილები.

მხოლოდ ძალით და დამუქრებით შევიძელ შესვლა.

— ო, ღმერთო ჩემო, რა იხილა იქ ჩემმა თვალმა!

თმაბურძენილი და უაზროდ მზერი თვლებით,

ვით ჯოჯოხეთის სულებისგან გაწანებული.

შოტლანდიელი კერლი იწვა თავის საწოლზე.

როგორც კი მიცნო უბედურმა, შემომხეცია

მუხლებზე წამსვე და აბლაღვლა სასოწარკვეთით.

იკლანებოდა ქიასავით და მაფიცებდა,

მეცნობებინა მისთვის მისი დედოფლის ბედი,

რადგანაც ცნობას სასიკვდილო განაჩენისას

შეუღწევია ტოიერის საპყრობილშიც.

და როდესაც მე სინამდვილე დავეუდასტურე,

თან დაესძინე, რომ ის დაღუპა მისმა ჩვენებამ,

წამოხტა წამსვე და მივარდა თავის ამხანაგს,

დასცა იგი ძირს, იატაკზე, და, ვით შეშლილმა,

დაუწყო ხრჩობა. ძლიერდობით გამოვგლიჯეთ ჩვენ

განრისხებულის ხელებიდან ის უბედური.

ახლა თავის თავს მოუბრუნდა და გაცოფებით დაიწყო მერღში მუშტის ცემა და საშინელი წყევლა თავის და თავისივე აზნაგისა. მან აღიარა, რომ სიცრუე თქვა სანსჯავროზე, რომ ბებინვტონთან ნიწერილი ყველა ბარათი ყალბი იყო, თუმცა ის ჰფიცავდა მათ სინამდვილეს, რომ ის სხვას წერდა, დედოფალი სხვას კარნახობდა და რომ ეს საქმე ჩაიდინა ნოს ჩაგონებით. შემდეგ მივარდა ფანჯარასთან და გამოალო, დაბლა ქუჩაში ჩასძახოდა ისე ხმამაღლა, რომ მთელი ხალხი შემოგროვდა საპრობილესთან. ყვიროდა, რომ ის სტიუარტის მწერალი არის, რომელიც ისე შეჩვენდა, რომ ცილი დასწამა, რომ წყევულია და სიყალბის დამმოწიებელი.

ელისაბედი

თვითონვე თქვით, რომ ის არ იყო თავის კუთხზე, ხოლო სიტყვები სულელის და კუთხზე მცდარის არაფერს ნიშნავს.

შრუსბერი

მაგრამ თვით ეს კუთხზე შეშლა უკვე ძალიან ბევრსა ნიშნავს. ნება მიბოძე, დედოფალო, რომ შეგევედრო, ნუ აჩქარდები, უბრძანე საქმე ხელმეორედ გამოიძიონ.

ელისაბედი

კარგი, უბრძანებ — იმის გამო, რომ თქვენ ასე გსურთ, და იმის გამო კი არა, რომ მჯეროდეს: თითქოს ჩემმა პერებმა აჩქარება გამოიჩინეს ამ დიდ საქმეში... ეს მხოლოდ თქვენს დასამშვიდებლად იყოს, როგორც გსურთ. კარგია, რომ ჯერ კიდევ დროა. ჩვენს მეუღრ სინდისს, სახელსა და პატროსნებას ახლოს არ უნდა გაეკაროს ჩრდილი ეკვისა.

მთითხვათე გამოსვლა

დემონი იგივენი

ელისაბედი

სერ, განაჩენი, რომელიც მე თქვენ გაზმოგეცით, სად არის ახლა?

168

დევისონი

(დიდად გაოცებული)

განაჩენი?

ელისაბედი

რომელიც გუშინ

თქვენ გადმოგეცით შესანახად...

დევისონი

მე, შესანახად?

ელისაბედი

ხალხი მთხოვდა მე განაჩენზე ხელის მოწერას, მეცა მმართველმა, რომ ეს მექნა და ასეც ვქენი. ხელი უნებურ მოვაწერე და ის ქალაქი თქვენ გადმოგეცით, დროს მოგება მინდოდა ამით. თქვენ იცით, მაშინ რაც გითხარით... აბა, მომეცით!

შრუსბერი

გადავით, სერ! შეიცვალა მდგომარეობა, უნდა განახლდეს ისეც საქმის გამოძიება.

დევისონი

უნდა განახლდეს? — ჰოი, ღმერთო ყოვლად მოწყალე!

ელისაბედი

ნულარა ფიქრობთ ასე დიდხანს. სად არის იგი?

დევისონი

(სასოწარკვეთილი)

მე დავიღუბე, განწირული ვარ სასიკვდილოდ!

ელისაბედი

(სწრაფად შეაწვევტივებს)

მე იმედი მაქვს, რომ ის თქვენ არ...

დევისონი

განწირული ვარ!

მე ის აღარ მაქვს.

ელისაბედი

რაო? როგორ?

169

შრუსბერი
ღმერთო მალალო!

დევისონი

ის გუშინს აქეთ იმყოფება ბერლეს ხელში.

ელისაბედი

ო, უბედურო, ნუთუ ასე მემორჩილებით?
მე ხომ სასტიკად გიბრძანეთ, რომ ის შეგენახათ?

დევისონი

ეგ, დედოფალო, შენ ჩემთვის არ გიბრძანებია.

ელისაბედი

გინდა სიცრუეც კი დამწამო, შე საცოდავო?
როდის გიბრძანე, ბერლესთვის მიგეცა იგი?

დევისონი

არა გარკვევით, ცხადი სიტყვით, მაგრამ მაინც კი...

ელისაბედი

ო, საზიზღარო! მაშ შენ ბედავ, რომ ჩემი სიტყვა
ასე განმარტო და მას მისცე თავისი აზრი,
სისხლიანი და სასიკვდილო?.. ვაი შენ მაშინ,
თუ ამ შენ საქმეს უბედური ბოლო მოჰყვება,
ჩემს წინ პასუხი უნდა აგო შენი სიცოცხლით.
— თქვენც კარგად ხედავთ, გრაფო შრუსბერ, ჩემი სახელით
როგორ ბოროტად სარგებლობენ.

შრუსბერი

ვხედავ... ოხ, ღმერთო!

ელისაბედი

რაო, რას ბრძანებთ?

შრუსბერი

თუ სკეპირმა თქვენს უკითხვად
ასეთი საქმე თავის ნებით მოიმოქმედა,
მაშინ ის უხდა გადაეცეს პერთა სამსჯავროს,
რადგან მან ამით შეურაცხყო სახელი შენი
და საუკუნო ზიზღის საგნად აქცია იგი.

170

უკანასკნელი მამოსვლა

იგივენი. ბერლესი, ბოლოს კენტი
ბერლესი

(ცალ მუხლს იხრის დედოფლის წინაშე)

დიდხანს იცოცხლოს დედოფალმა ბრიტანეთისამ
და ამ კუნძულის ყოველგვარ მტერს მოეღოს ბოლო,
როგორც მოელო დღეს სტიუარტს!

(შრუსბერი იფარავს სახეს, დევისონი სასოწარკვეთილებით აღსაგსე
ხელებს იფუნეტს)

ელისაბედი

მითხარით, მილორდ!

სიკვდილით დასჯის ბრძანება თქვენ ჩემგან მიიღეთ?

ბერლესი

ო, არა, ჩემო მბრძანებელო! — დევისონისგან.

ელისაბედი

და დევისონმა ის გადმოგცათ ჩემი სახელით?

ბერლესი

არა! მას შენი სახელით არ გადმოუცია...

ელისაბედი

და თქვენ იჩქარეთ აღსრულება მისი ისე, რომ
არც კი ეცადეთ, ჯერ გაგეგოთ სურვილი ჩემი.
ჩვენ განაჩენის სისწორეზე ვერვინ გაგვკიცხავს;
მაგრამ უფლება ვინ მოგცათ თქვენ, რომ ანგარიში
არ გაუწიეთ ჩემი გულის ღმობიერებას?..
ამიტომ ჩვენგან განიღვევეთ აწ სამუდამოდ!

(დევისონს)

თქვენ კი მოგელთ სასამართლო უსასტიკესი,
უფლებას თქვენსას ბოროტად რომ გადააქარბეთ
და საწინდარი უწმინდესი ვერ შეინახეთ.
დე ტოიერში წაიყვანონ! მე ასე მნებავს,
სიკვდილ-სიცოცხლის სამსჯავროზე განსაჯონ იგი.
— ჩემო ტალბოტი! მარტოდენ თქვენმილა ვპოვე
მრჩეველი სწორი, ერთგული და სამართლიანი.
იყავით ჩემი წინამძღოლი და შეგობარი...

171

შ რ უ ს ბ ე რ ი

ო, ნუ განდევნი, დედოფალო, ერთგულ მეგობრებს,
საპყრობილეში ნუ ჩაამწყვდევ იმათ, რომელნიც
შენთვის ცდილობდნენ, ახლაც სდუმან შენი გულისთვის.
— მე კი, დიადო დედოფალო, ნება მიბოძე,
რომ ეს ბეჭედი, რომელიც შენ თორმეტ წელს მანდე,
ახლა უკანვე ჩაგაბარო საკუთარ ხელში.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი

არა, შრუსბერი, თქვენ მე ახლა ზურგს ნუ შემაქცევთ,
ნუ მიმატოვებთ...

შ რ უ ს ბ ე რ ი

მაპატიე, ძალზე მოვხუცდი
და ჩემს ხელს უკვე აღარ ძალუძს, რომ ეს ბეჭედი
დაუსვას შენთა ახალ საქმეთ.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი

უნდა დამტოვოს
ახლა იმან, ვინც ერთხელ ჩემი სიცოცხლე იხსნა?

შ რ უ ს ბ ე რ ი

ძალიან ცოტა გავაკეთე... ვერ ვიხსენ იგი,
რაც შენში იყო ჭეშმარიტად კეთილშობილი.
იცოცხლე დიდხანს და იმეფე სვებედნიერად!
უკვე მკვდარია შენი მტერი. ამიერიდან
აღარა გმართებს არაფერზე შიში და თანაც
სრული უფლება გაქვს პატივი არ სცე არავის.

(გადის)

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი

(გრაფ კენტს, რომელიც შემოდის)

გრაფ ლაისტერი გამოცხადდეს!

კ ე ნ ტ ი

ლორდ ლაისტერი
პატიებას გთხოვთ, გაემგზავრა საფრანგეთს უკვე.
(ელისაბედი თავის თავს ეუფლება და რჩება მშვიდი გამომეტყველებით. ფარდა
ეშვება)